ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

„ახალი თაობა“ +
„ქართული მწერლობის საუნჯე“
მეორე ტომი
8 ლარი
3 ოქტომბრიდან
17 ოქტომბრამდე

ორშაბათი, 3 ოქტომბერი, 2011 | №234 (5614) | ფასი: 30 თეთრი



## ცხინვალი სამოქალაქო ომის ზღვარზე

...ომის თანამშრომლები ... მხარეს გადადიან



## გურჯაანის პოლიციის უფროსი მასწავლ... გა... გამო მო...



რატომ არის ... მეტის ღირსი

## თელავში შუალედური არჩევნები დარღვევების ... ჩატარდა



## სოსო ცისკარიშვილი: „2012 წლის არჩევნებზე იქნება დამოკიდებული, მიგვიღებენ თუ არა ნატოში“



## „პირველი არხის“ შენობა იყიდება, „მეორე არხი“ კი ქუთაისში გადადის?

## დავით გულუა: „არავის ... იმის უ... რომ ს... და... სამხე... დააბრ...

რატომ ა... შეკარდნა... მიმართუ... ყარყარაშვილს



3090
sms განცხადებები „ახალ თაობაში“

თუ გსურთ ბინის, ავტომანქანის ან სხვა რამის ყიდვა ან გაყიდვა, აკრიფეთ თქვენს მობილურ ტელეფონში შესაბამისი ტექსტი და გააგზავნეთ sms ნომერზე **3090** მაგთიდან და ჯეოსელიდან.

თქვენი განცხადება გამოქვეყნდება გაზეთ „ახალი თაობის“ უახლოეს ნომერში.

განცხადებები, რომლებშიც საკუთარი ტელეფონის ნომერი არ იქნება, არ დაიბეჭდება!

1 sms-ის ფასია 50 თეთრი.

ISSN 1987-9385

3 როდის გველირსება ნორმალური საარჩევნო კოდექსი

4

5

6

ლურჯი წითელი ყვითელი შავი

შედით საიტზე atb.ge „%!!

# ცხინვალი სამოქალაქო ომის ზღვარზეა

## ომონის თანამშრომლები თედეევის მხარეს გადადიან

თეა მარხვაი ე

**სამხრეთ ოსეთი სამოქალაქო დაპირისპირების საფრთხის წინაშე დგას. 30 სექტემბერს მომხდარმა ინციდენტმა ყველას ნათლად დაანახვა, რომ აქ სისხლი ყოველ წუთს შეიძლება დაიღვაროს. მართალია, კოკოითიმ ამჯერად თავის მიზანს მიაღწია და მთავარ ოპონენტს არჩევნებში მონაწილეობის უფლება არ მისცა, მაგრამ ეს ამბავი ამით არ დამთავრდება. ძამბოლატ თედეევი ის კაცი არაა, რომელსაც წყენის დავიწყება მარტივად შეუძლია.**



რუსეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელი თავისუფალ ჭიდაობაში ძამბოლატ თედეევი აქტიურ პოლიტიკაში 2008 წლის ბოლოს ჩაება. მაშინ მან ოლეგ თეზიევთან და ალბერტ ჯუსოევთან ერთად ოპოზიციური ფრონტი შექმნა. რამდენიმე თვის წინ კი ღიად განაცხადა, რომ საპრეზიდენტო არჩევნებში მიიღებდა მონაწილეობას. ცესკოში განაცხადი სექტემბრის დასაწყისში შეიტანა. ცესკომ მას განაჩენი 30 სექტემბერს გამოუტანა.

ამ დღეს თედეევის 1000-მდე მხარდამჭერმა ცხინვალის ცენტრში მოიყარა თავი. მათ მთავრობის და ცესკოს შენობა ალყაში მოაქციეს. შეეცადნენ გავლენა მოეხდინათ ცესკოზე, რომელიც მათი ლიდერის რეგისტრაციის საკითხს განიხილავდა. რამდენიმე ათეული ადამიანი ძამბოლატ თედეევის მეთაურობით ცესკოში შეჭრასაც შეეცადა. ამის შემდეგ ხელისუფლებამ გადაწყვიტა გადამწყვეტი ზომები მიიღო. ადგილობრივმა ომონმა მათი დაშლა მხოლოდ ცეცხლის გახსნის შემდეგ მოახერხა.

ამ ინციდენტის გამო ცესკომ მუშაობა დროებით შეწყვიტა. ცესკომ სხდომა მას შემდეგ განაახლა, როცა ვითარება შედარებით განიმუხტა. თედეევის საკითხის განხილვამ მაინც დიდი დრო წაიღო. ცესკომ ბოლოს თედეევის რეგისტრაციაში გატარებაზე უარი განაცხადა. მის რეგისტრაციას მხარი 6 კაცმა დაუჭირა, 7 კი წინააღმდეგი წავიდა.

ამ გადაწყვეტილებასთან შეგუებას სულაც არ აპირებს რუსეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელი. ის ცესკოს გადაწყვეტილებას უკანონოდ მიიჩნევს და მის გასაჩივრებას გეგმავს.

— ცესკოს წევრებზე ხელისუფლების წარმომადგენლებმა ზეწოლა განახორციელეს. ისინი რიგ-რიგობით დაიბარეს უშიშროების და შს სამინისტროში. სამწუხაროდ სამხრეთ ოსეთში ხალხის ნებას ანგარიშს არავინ არ უწევს. ხალხი, ვინც ქვეყნის ბედს განაგებს კონსტიტუციას არღვევს. ისინი პირადად წყვეტენ გაატარონ თუ არა ესა თუ ის კანდიდატი რეგისტრაციაში. ცესკომ ჩემთან დაკავშირებით უკანონო გადაწყვეტილება მიიღო. ამ გადაწყვეტილებას ჩვენ უზენაეს სასამართლოში გავასაჩივრებთ. მერე კი ვნახოთ, — განაცხადა გამოცემა „ვზგლიადთან" საუბარში თედეევმა.

ის არც საპროტესტო აქციების გამართვაზე ამბობს უარს. ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი პირობას დებს, რომ ხელისუფლების უკანონობას წინ ყველანაირად აღუდგება.თედეევი კატეგორიულად უარყოფს იმ ფაქტს, რომ მისმა მომხრეებმა ცესკოს შენობის შტურმით აღება სცადეს.

ხელისუფლების წარმომადგენლების მტკიცებით, კი მათ სხვა დანაშაულიც ჩაიდინეს. შტურმის მცდელობის გარდა, მათ ხელისუფლების და ცესკოს წევრების დედის გინებაშიც ედებათ ბრალი. სხვათა შორის ეს არ არის პირველი შემთხვევა, როცა თედეევმა ადგილობრივ ხელისუფლებას აგინა.

პირველად ასეთი ინციდენტი აპრილის თვეში მოხდა. მაშინ თედეევი ცხინვალს საკმაოდ წარმომადგენლობით დელეგაციასთან ერთად ეწვია. ამ დელეგაციაში მსოფლიოს, ევროპის და ოლიმპიური ჩემპიონები შედიოდნენ. როცა დელეგაცია უკან ბრუნდებოდა მათ ადგილობრივმა ომონმა ცეცხლი გაუხსნა.

იმ დღეს ინტერნეტით გავრცელდა ვიდეო-რგოლი, სადაც ჩანს როგორ აგინებს „მერსედესში" მჯდარი მამაკაცი ომონელებს და კოკოითის დედას. ხელისუფლების მტკიცებით, ეს კაცი თედეევი იყო. თედეევი იმ გინებასაც უარყოფს და ამ გინებასაც. ამტკიცებს, რომ ცესკოს წევრებს სამხრეთ ოსეთის გენპროკურორმა აგინა.

— მე ცესკოში 11 საათიდან ვიყავი. ყველაფერი მშვიდად მიდიოდა. 16 საათზე ჩემი საკითხი უნდა განეხილათ. სხდომაზე დასასწრებად წავედი. ჩემთან ერთად იყო კიდევ 2 ადამიანი. ერთ-ერთი მათგანი დაცვამ შენობაში არ შემოუშვა. მეც გარეთ დავრჩი. ამ დროს შენობაში შემოვარდა გენპროკურორი, ის მთვრალი იყო. დედის გინებით ავიდა მესამე სართულზე. სადაც ცესკოს სხდომა მიმდინარეობდა. გენპროკურორის ასეთი ქმედება იმით იყო გამოწვეული, რომ ცესკო ჩემს რეგისტრაციაში გატარებას აპირებდა. ეს რომ ჩემმა მომხრეებმა გაიგეს, პროტესტის ნიშნად შენობაში შემოვარდნენ. ისინი ვერ დაუშვებდნენ პროკურორს ცესკოზე ზეწოლა მოეხდინა, — ამბობს თედეევი.

ცნობისათვის, სამხრეთ ოსეთის გენპროკურორი თეიმურაზ ხუგაევი კოკოითის მემკვიდრე უნდა ყოფილიყო. თუმცა მოსკოვის მოთხოვნით, ადგილობრივმა ხელისუფლებამ პრეზიდენტის პოსტზე ანატოლი ბიბილოვის კანდიდატურა დაასახელა. რაც შეეხება ხუგაევს ის, კოკოითის ძმის რობერტის ქვისლია.

თედეევი ამბობს, რომ ცესკოს გადაწყვეტილებას უზენაეს სასამართლოში გაასაჩივრებს. რუსულ მედიასთან საუბარში ის იმედიან პროგნოზებს აკეთებს. და სჯერა, რომ სამართალს მაინც მიაღწევს.

ხელისუფლების მტკიცებით, კი თედეევი არჩევნებში მონაწილეობას ვერ მიიღებს იმის გამო, რომ ის ბოლო ათი წელი სამხრეთ ოსეთში არ ცხოვრობდა. ეს ის შემთხვევაა, როცა კოკოითი არ იტყუება. თედეევი მართლაც ათ წელზე მეტია რაც რუსეთში ცხოვრობს.

ამის მიუხედავად მან ცესკოს წარუდგინა დოკუმენტები, რომლითაც მტკიცდება, რომ ის ცხინვალში ცხოვრობდა. არავინ იცის როგორ მაგრამ მან სამხრეთ ოსეთის მოქალაქეობაც მიიღო.

სხვათა შორის ათი წლის წინ არც კოკოითი იყო სამხრეთ ოსეთის მოქალაქე. და როცა არჩევნებში მონაწილეობა მიიღო მასზე ძებნა იყო გამოცხადებული.

მასზე სამხრეთ ოსეთის პროკურატურამ ძებნა 2000 წლის დასაწყისში გამოაცხადა. კოკოითის ცხინვალის მერის გატაცება ედებოდა ბრალად. ამჟამინდელმა პრეზიდენტმა თავის თანამზრახველთან ერთად ცხინვალის თავი 1999 წლის მიწურულს გაიტაცა.

გატაცების მიზეზი წმინდა წყლის პოლიტიკური იყო. კოკოითი თავის თანამოაზრეებთან ერთად მაშინდელ პრეზიდენტ ლუდვიგ ჩიბიროს აუმხედრდა. იმ დროისთვის მათი საპრეზიდენტო კანდიდატი რეზო ხუგაევი იყო. კოკოითის კი ხულიგნური ქმედებების ჩადენა ევალებოდა.

ცხინვალის მერი კი მხოლოდ იმიტომ გაიტაცეს, რომ ის ქალაქის ცენტრში მიტინგის ჩატარებაზე ნებართვას არ იძლეოდა. ოს ხულიგნებს მერი მანამდე ჰყავდათ ტყვეობაში, ვიდრე მან მიტინგის ჩატარებაზე სანქცია არ გასცა. ცხინვალში მიტინგი ჩატარდა. კოკოითი კი გაიქცა, პროკურატურამ მასზე ძებნა გამოაცხადა.

რაღაცნაირად ისე მოხდა, რომ მან საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობა მიიღო და გაიმარჯვა. რაც ძამბოლატ თედეევის და მისი ძმის აწ გარდაცვლილი იბრაგიმის დამსახურებაა. როგორც უკვე ავღნიშნეთ, ძებნილმა კოკოითიმ არჩევნებში კეჭი ისე იყარა სამხრეთ ოსეთის მოქალაქეობა არ ჰქონდა.

— მან მოქალაქეობა მხოლოდ მეორე ტურში მიიღო. კოკოითის ეს პრობლემა დიმიტრი სანაკოევმა მოუგვარა. ის მაშინ სამხრეთ ოსეთის პრემიერ-მინისტრი იყო, — განაცხადა რუსულ მედიასთან საუბარში თედეევმა.

იმავე ინტერვიუში განაცხადა თედეევმა, რომ მისი რეგისტრაციის საკითხი მოსკოვიდან განხორციელებული ზარით გადაწყდებოდა. როგორც ჩანს ეს ზარი არ განხორციელდა. რადგანაც თედეევი რეგისტრაციაში არ გაატარეს. თავად თედეევი მიიჩნევს, რომ ბრძოლა დამთავრებული არ არის. ის პასუხს უზენაესი სასამართლოდან ელოდება. და ამის შემდეგ აპირებს სათანადო ზომების მიღებას.

მას ცხინვალში და რუსეთში დიდი გავლენა აქვს. ჰყავს გავლენიანი მფარველები კრემლში. სწორედ ესაა მიზეზი იმისა, რომ კოკოითი მას ვერაფერს უხერხებს. როგორც ამბობენ 30 სექტემბრის ინციდენტის შემდეგ მისი დაპატიმრებაც იგეგმებოდა, თუმცა ბოლო მომენტში გადაიფიქრეს. რადგანაც მიხვდნენ, რომ ამას ძალიან ცუდი შედეგები მოჰყვებოდა.

რეგისტრაციაში უარის თქმამდე, თედეევს კოკოითის დაცვის უფროსი შეხვდა. რომელმაც მას ცხინვალიდან წასვლა ურჩია. წაუსვლელობის შემთხვევაში მას მკვეთრი ზომების მიღებით დაემუქრა. თედეევს კი ასეთი ზომების სულაც არ ეშინია და ცხინვალიდან ფეხი არ გაუდგია. წასვლას არც ახლო მომავალში აპირებს. პირობას დებს, რომ კოკოითის სამაგიეროს გადაუხდის.

ოსური მედიის ცნობით, 30 სექტემბერს ცხინვალში კიდევ ერთი ინციდენტი მოხდა. როგორც გამოცემა „ოსეტია.კვაისა" იუწყება ოსმა სამართალდამცავებმა ცხინვალში შესვლის უფლება არ მისცეს რუსეთის ოლიმპიური ნაკრების წევრებს. რომელმთა შორის მსოფლიოს და ოლიმპიური ჩემპიონები ხაჯი-მურატ გაცალოვი, არტურ ტაიმაზოვი და ბესიკ კუდუხოვი იყვნენ.

ეს უკანასკნელი რამდენიმე კვირის წინ მეოთხედ გახდა მსოფლიოს ჩემპიონი. თავისი ჩემპიონობა მან თედეევს მიუძღვნა. და ალბათ ხვდებით, რომ ახლაც მის მხარდასაჭერად მიდიოდა ცხინვალში. მაგრამ მას და მის მეგობრებს კოკოითის ბანდფორმირებებმა გზა გადაუღობეს.

ცხინვალში შესვლის უფლება არც ორგზის ოლიმპიურ ჩემპიონ ტაიმაზოვს მისცეს. რომელიც სამი წლის წინ კოკოითიმ ღირსების ორდენით დააჯილდოვა და ცხინვალის მოედანზე, როგორც გმირი ისე მიიღო.

გუშინ ცხინვალში გაემგზავრა რუსეთის დუმის დეპუტატი არსენ ფაძაევი. რომელიც თედეევსა და კოკოითის შეხვდება. ოსური მედიის ცნობით, ის შეეცდება მხარეები შეარიგოს. თედეევი შერიგებაზე უარს ამბობს. მითუმეტეს მას შემდეგ რაც სამართალდამცავებმა მისი მომხრეები დააკავეს. „კავკაზსკი უზელის" ცნობით, მილიციამ თედეევის 90-მდე მომხრე დააკავა.

თედეევის თქმით, დაკავებულები ცხინვალის, ჯავის და ზნაურის წინასწარი დაკავების იზოლატორებში ჰყავთ გადაყვანილი. მის მხარეს კი სამხრეთ ოსეთის „ომონის" 19 თანამშრომელი გადავიდა და მათ სამსახურიდან წასვლის შესახებ განცხადება უკვე დაწერეს. მისმა მომხრე რამდენიმე ათეულმა ადამიანმა ცხინვალში, ოსტროვსკის ქუჩაზე კარვები გაშალა.

# ილია II: „დიდგორის ომი ჯერ არ დამთავრებულა"

**სამების საპატრიარქო ტაძარში საკვირაო წირვის დასრულების შემდეგ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ ქადაგებისას ბრძანა, რომ ქართველებმა უნდა გააანალიზონ ერის წარსული.**

პატრიარქის თქმით, ქართველებს საკუთარი წარსულით სიამაყე ახასიათებთ.



— აუცილებლად ანალიტიკური აზროვნება უნდა შემოვიდეს სასწავლებლებში, თორემ მრავალ შეცდომას დავუშვებთ. ჩვენ უნდა გავაანალიზოთ, რა შეცდომები დავუშვით. ჩვენ ვამაყობთ ჩვენი წარსულით. იმით, რომ დიდგორი მოვიგეთ. მაგრამ მე მინდა გითხრათ, რომ ეს ომი არ არის დამთავრებული, — ბრძანა უწმინდესმა და დასძინა, რომ დიდგორის ომი არ დამთავრდება მანამ, სანამ საქართველო იარსებებს.

მისი თქმით, ყოველდღე ომია მთელს მსოფლიოში და ყოველდღე საშიშროება ემუქრება ამა თუ იმ ერს. ჩვენზე დიდი და მრავალი ერი იყო, რომლებიც აღიგვნენ პირისაგან მიწისა.

— სად არიან ბაბილონელები, ეგვიპტელები. ისინი ვინც დღეს ეგვიპტეში ცხოვრობენ, არიან არაბები და ამბობენ, რომ მცირე ნაწილი არის დარჩენილი ნამდვილი ეგვიპტელებისა. ამიტომ არ უნდა ვიფიქროთ დღევანდელ დღეზე. მთავარი ის არ არის, რა ვჭამოთ და რით გავერთოთ, — აღნიშნა პატრიაქმა.

მან მრევლს მოუწოდა, ღრმად გააანალიზონ, როგორ წარმოუდგენიათ საქართველო ხვალ. ემუქრება თუ არა მას საშიშროება, თუ ეს იქნება მშვიდობიანი ცხოვრების ქვეყანა.

ქადაგების დასრულების შემდეგ პატრიარქმა ნორიოს ეკლესიის მღვდელმსახური დეკანოზის ხარისხში აიყვანა და დამშვენებული ჯვრის ტარების უფლებით დააჯილდოვა. დამშვენებული ჯვრის ტარების უფლებით დაჯილდოვდა ასევე იღუმენი სერგი კურცხელიძე.

**მედიანიუსი**

# საქართველო და უკრაინა ტრანსპორტის სფეროში თანამშრომლობას გააღრმავებენ

საქართველო და უკრაინა ტრანსპორტის სფეროში თანამშრომლობის გაღრმავებაზე შეთანხმდნენ, — იუწყება უკრაინის მთავრობის ოფიციალური ვებგვერდი.

წყაროს ცნობით, ამ საკითხზე პოლონეთში გამართულ აღმოსავლეთ პარტნიორობის სამიტზე საქართველო ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა ვერა ქობალიამ და უკრაინის ინფრასტრუქტურის მინისტრმა ბორის კოლესნიკოვმა იმსჯელეს.

ისინი შეთანხმდნენ, რომ ორ ქვეყანას შორის „ღია ცის" შეთანხმება გაფორმდება. მხარეებმა იმედი გამოთქვეს, რომ აღნიშნული შეთანხმების გაფორმება ბათუმის სამიტამდე მოხერხდება. ამასთან, ისინი უკრაინისა და საქართველოს, კერძოდ, ბათუმის პორტებს შორის საბორნე მიმოსვლის დაწყების შესაძლებლობის განხილვასაც აპირებენ.

**მედიანიუსი**

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 84-92-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-39-34
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# გურჯაანის პოლიციის უფროსი მასწავლებლის გატაცების გამო მოხსნეს

შალვა ჯოხა ე

**გურჯაანის შს სამმართველოს უფროსი 2009 წლის აპრილიდან დღემდე არ გამოცვლილა, მაშინ თანამდებობაზე რუსთავის კრიმინალური პოლიციის ყოფილი ხელმძღვანელი, ლევან ბიწკინაშვილი დაინიშნა.**



გურჯაანის პოლიციის უფროსის თანამდებობა ვაკანტური მას შემდეგ იყო, რაც სოსო მარტაშვილი რეგიონული ჟურნალისტების სისტყვიერი შეურაცხყოფისა და მუქარების გამო გაათავისუფლეს. გავიდა ხანი და ხალხზე ძალადობას გადაჰყვა ლევან ბიწკინაშვილის თანამდებობაც. ის მასწავლებელი ქალის გატაცებისა და მისთვის შეურაცხყოფის მიყენების გამო დაისაჯა. ბიწკინაშვილს სამსახურიდან წასვლის შესახებ განცხადება საკუთარი ხელით დააწერინეს.

გურჯაანის პოლიციის უფროსის მოვალეობას ამჟამად მისი მოადგილე გოჩა სიბაშვილი ასრულებს. ის კახეთის გუბერნატორის პირველი მოადგილის გიორგი სიბაშვილის ძმაა.

ფაქტი, რომლის გამოც ბიწკინაშვილს თანამდებობა დაატოვებინეს, კახეთის საინფორმაციო ცენტრმა გაახმაურა. ცენტრის წარმომადგენლებმა გაარკვიეს, რომ 26 სექტემბერს მელაანში სააკაშვილის ვიზიტის დროს ყოფილი მასწავლებელი ლამზირა ყორჩიშვილი, გურჯაანის პოლიციის უფროსის ლევან ბიწკინაშვილის მანქანით გაიტაცეს. ამ ქალბატონს სააკაშვილისთვის წერილის გადაცემა უნდოდა, რსი საშუალებაც არ მისცეს. კახეთის საინფორმაციო ცენტრის ცნობით, მერსედესის„ მარკის ვერცხლისფერი მანქანა სახელმწიფო ნომრით „გეგ 020“, რომლითაც მასწავლებელი წაიყვანეს, გურჯაანის პოლიციის სამმართველოს ბალანსზეა.

კახეთის საინფორმაციო ცენტრმა ვიდეომასალაც გაავრცელა, სადაც ლამზირა ყორჩიშვილი ამბობს, რომ ის მელაანში პრეზიდენტის ვიზიტის დროს სამოქალაქო ფორმაში ჩაცმულმა პირებმა გაიტაცეს. ცემის შედეგად ქალბატონმა გონება დაკარგა. გამტაცებლებმა ის კაჭრეთის სასწრაფო სამედიცინო დახმარების პუნქტში დატოვეს. მათ ექიმებს უთხრეს, რომ გონებადაკარგული ქალი გზაზე იპოვეს და დახმარება აღმოუჩინეს. პედაგოგს სხეულზე სხვადასხვა დაზიანება აღენიშნება. ექიმის დასკვნით, მას ტვინის შერყევა აქვს მიღებული.

— პრეზიდენტი ხალხთან ჯერ მოსული არ იყო, რომ უცნობი მამაკაცი მოვიდა და მითხრა, აქედან წადიო. რატომ მეთქი, ვკითხე. აქედან გაეთრიეო. ისევ უარი ვუთხარი, პრეზიდენტთან საქმე მაქვს და უნდა შევხვდე მეთქი. ამ დროს ორი ზორბა ბიჭი დამესხა თავს და გამათრიეს. კი დავიწყე ყვირილი, მაგრამ ვერავინ მომეშველა. ყველას შეეშინდა. იქაურობა პრეზიდენტის დაცვის ხალხით იყო სავსე. ნახევარი კილომეტრი გზაზე მათრიეს. უკან ვერცხლისფერი მანქანა მოგვყვებოდა. მითხრეს, ჩაჯექიო. არ ჩავჯექი, შემეშინდა, სადმე არ გადამაგდონ მეთქი. ჯერ თავი მარტყმევინეს მანქანაზე და თან ძალით, წიხლებით მტენიდნენ. მერე რა მოხდა, აღარ მახსოვს. გონზე რომ მოვედი კაჭრეთის სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრში ვიყავი. ექიმმა მითხრა, რომ შემოგიყვანეს უგონოდ იყავიო. როცა ვკითხე, ვინ შემომიყვანა მეთქი, მითხრა, სამნი იყვნენ მსუბუქი მანქანით. ასე თქვეს, გზაზე ვიპოვეთ გონებადაკარგული და მოვიყვნეთ, ჩვენც ქრისტიანები ვართო, — აცხადებს დაზარალებული ქალბატონი.

# შალვა შავგულიძე: „გირგვლიანის საქმეზე ხელახალი გამოძიება უნდა ჩატარდეს“

შორენა კოწოწაშვილი

**ადვოკატი შალვა შავგულიძე დარწმუნებულია, რომ ხელისუფლება 50 000 ევროს შესაბამის ლარს სიამოვნებით გადაუხდის გირგვლიანის ოჯახს. თუმცა მას უფრო მეტად საქმეზე ევროსასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულება აინტერესებს და დარწმუნებულია, რომ ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის სათანადო ზეწოლის გარეშე სააკაშვილის ხელისუფლება საქმის ხელახალ და ობიექტურ გამოძიებას არ დაიწყებს.**

**გთავაზობთ ინტერვიუს „თავისუფალი დემოკრატების“ წევრთან, ადვოკატ შალვა შავგულიძესთან.**



სანდრო გირგვლიანი



შალვა შავგულიძე

***— ბატონო შალვა, როგორი ვითარება შეიქმნა სამართლებრივი კუთხით ქვეყანაში იმ რეფორმების შედეგად, რომელსაც პრეზიდენტი დასავლურ ტრიბუნებზე წარმატებულს უწოდებს და რომლითაც ქვეყანამ რეიტინგით მსოფლიო წამყვან ათეულში გადაინაცვლა?***

— მე არ ვიცი, რის ლიდერთა ათეულში მოვიაზრებით. თუ შევხედავთ ეკონომიკას, მე მგონი, სავალალო მდგომარეობა გვაქვს. თუ შევხედავთ ნებისმიერ დარგს, ეს იქნება ჯანდაცვა, სოფლის მეურნეობა თუ განათლება, ყველგან ჩავარდნა გვაქვს. რის ლიდერთა ათეულში ვართ, მე არ ვიცი. მოდით, მე შევეხები იმ სფეროს — სამართალწარმოებას, რაშიც გარკვეული კომპეტენცია გამაჩნია. მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ სამართალწარმოების სფეროში „ვარდების რევოლუციის“ შემდგომ პერიოდში გვაქვს მხოლოდ რეგრესი, უკუსვლა. ვინაიდან სამართალწარმოება შედგება გარკვეული პრინციპებისაგან, სტანდარტებისაგან, რომელთა დაცვა განაპირობებს, თუ რა ხარისხით არის უზრუნველყოფილი მართლმსაჯულება ამა თუ იმ ქვეყანაში. ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სტანდარტს და პრინციპს სამართალწარმოებისა წარმოადგენს მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპი. ჩვენს შემთხვევაში გატარებულია მთელი რიგი საკანონმდებლო ცვლილებები და ბოლოს, სისხლის სამართლის ახალმა საპროცესო კოდექსმა დააგვირგვინა, რომლითაც აბსოლუტურად არათანაბარ მდგომარეობაშია დაყენებული დაცვის და ბრალდების მხარეები ბრალდების მხარის ანუ პროკურატურის სასარგებლოდ. ევროპის ადვოკატთა ასოციაციის და სამართლის საზოგადოების საბჭოს დღევანდელ სემინარზეც გამომსვლელმა ევროპელმა სტუმრებმაც აღნიშნეს, რომ ახალი საპროცესო კოდექსი არ უზრუნველყოფს მხარეთა თანასწორობას და ხშირ შემთხვევაში ძალიან სერიოზულად არღვევს თანასწორობის პრინციპს პროკურატურის სასარგებლოდ. უფრო კონკრეტულად რომ ვთქვა, მტკიცებულებათა მოპოვების თვალსაზრისით ბრალდების მხარეს შეუძლია ჩაატაროს ჩხრეკა, განახორციელოს ფარული მიყურადება და ჩაწერა, ამოღება, რისი მოთხოვნის უფლებაც დაცვის მხარეს არ აქვს. მას შემდეგ, რაც საქართველო გახდა ევროსაბჭოს წევრი 1999 წლიდან, შემოღებულია ეს ინსტიტუტი. ჩვენი ქვეყანა ძალიან ამაყობდა, რომ დამოუკიდებელი ექსპერტიზა იქნა დაშვებული და დაცვის მხარეს მიეცა ამის საშუალება. დღევანდელი ახალი საპროცესო კოდექსით ფაქტობრივად დამოუკიდებელი ექსპერტიზის ეფექტურობა ნულამდეა დაყვანილი, იმიტომ რომ მხოლოდ სახელმწიფო საექსპერტო დასკვნას შეიძლება ემყარებოდეს ისეთი მნიშვნელოვანი საპროცესო გადაწყვეტილებები, როგორიცაა სისხლის სამართლებრივი დევნის არდაწყება ან შეწყვეტა. ეს ემყარება მხოლოდ სახელმწიფო სასამართლო ფსიქიატრიული ექსპერტიზის დასკვნას. განაჩენის აღსრულების გადავადებაც მხოლოდ სახელმწიფო საექსპერტო დასკვნას ემყარება. ფაქტობრივად მხარეს იმის უფლებაც კი არ ეძლევა, რომ კვლევის ობიექტი მოითხოვოს გამოძიებისაგან. თუ კვლევის ობიექტი არ არის, შესაბამისად, ექსპერტიზასაც ვერ ჩაატარებ. ასევე არსებობს მრავალი ნორმა, რომელიც ადასტურებს, რომ მხარეთა თანასწორობის პრინციპი უბრალოდ იგნორირებულია. ანალოგიური მდგომარეობა გვაქვს სხვა ძირითად პრინციპებზე, რაც განაპირობებს და განსაზღვრავს მართლმსაჯულების დემოკრატიულობის და სამართლიანობის ხარისხს.

***— შევარდნაძის ხელისუფლების დროს უფრო დაცული იყო მხარეთა თანასწორობის პრინციპი სამართალწარმოებაში?***

— რა თქმა უნდა, 1999 წელს მიღებული საპროცესო კოდექსი გაცილებით უფრო შეესაბამებოდა ევროპულ და საერთაშორისო სტანდარტებს სამართალწარმოებისა. ჩვენი საპროცესო კანონმდებლობა შესაბამისობაში იქნა მოყვანილი ევროპულ კანონმდებლობასთან. რევოლუციის შემდგომ პერიოდში დაიწყო საკანონმდებლო ცვლილებები, რამაც დაგვაშორა ამ საერთაშორისო სტანდარტებს.

***— ამ ცვლილებებს ჩვენც თვალს ვადევნებთ და ფაქტია, ხელისუფლება იქამდე მივიდა, რომ კონკრეტული პატიმრიდან გამომდინარეც შეჰქონდა კანონში ცვლილებები. ამის მაგალითია იგივე გირგვლიანის საქმეც. სადამდე მივიდა ხელისუფლება სს პოლიტიკით?***

— სრულიად გეთანხმებით. მე მახსოვს, ასლან აბაშიძის ინტერესებს ვიცავდი. იმ საქმის განხილვის დროსაც იქნა მიღებული საპროცესო ცვლილება და ჩვენ წაგვერთვა უფლება, გაგვესაჩივრებინა სააპელაციო სასამართლოში განაჩენი, რომელიც ბათუმის სასამართლომ გამოიტანა. განაჩენის გამოტანა რამდენიმე დღით გადაიდო და ამ პერიოდში იქნა მიღებული ეს საპროცესო ცვლილება. სულხან მოლაშვილის საქმეზე იქნა განხორციელებული საპროცესო ცვლილება. გირგვლიანის საქმეზეც რამდენიმე საკანონმდებლო ცვლილება შეიტანეს. ეს ყველაფერი უკვე გახდა ევროპის სასამართლოს მსჯელობის საგანი. განახევრდა სასჯელი იმ მუხლისთვის, რითიც ბრალდებულები გასამართლდნენ და ა.შ. ცვლილება შევიდა პატიმრობის შესახებ კანონშიც და ერთ საქმეზე ბრალდებული პირების ერთ საკანში ჯდომა დასაშვები გახდა და ა.შ. ფაქტობრივად მოხდა რა: მართლმსაჯულებაში დომინირებული როლი მიეცა ბრალდების მხარეს. ბრალდების მხარის ნება დომინირებს თავად სასამართლოს ნებაზე და სასამართლო იძულებული ხდება, მოიქცეს ბრალდების გავლენის ქვეშ. ამ ტენდენციას ძალიან ცუდისკენ მივყავართ. ამას მივყავართ იქითკენ, რომ სამართალწარმოება კარგავს თავის ფუნქციას და ის გადაიქცა სადამსჯელო იარაღად მმართველი პოლიტიკური გუნდის ხელში.

***— პრობლემაა ქვეყანაში ობიექტური მართლმსაჯულება?***

— ობიექტური მართლმსაჯულება არათუ პრობლემაა, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში არ არსებობს. სამწუხაროდ, რევოლუციის შემდგომ პერიოდში სამართალწარმოების პრაქტიკაში ჯერ ხდებოდა მნიშვნელოვანი დარღვევები და კანონის დარღვევა. შემდგომ უკვე სასამართლო პრაქტიკა იქნა წარმოებული ისეთი, რომ სამართალწარმოების საერთაშორისო სტანდარტებს ეწინააღმდეგება. შესაბამისად, დღეს არა გვაქვს სამართლიანი და იბიექტური მართლმსაჯულება, რაც მიუღებელია. შეუძლებელია ამ გარემოებასთან დიდხანს შეგუება. ამას ვერ შეეგუება ვერც ერთი საზოგადოება. საბოლოოდ, ეს თუ ცივილიზებულად არ გადაწყდა, ისევ სათანადო საკანონმდებლო ცვლილებებით, თუ არ მოხდა სერიოზული ჩარევა საერთაშორისო ორგანიზაციებისაგან, იგივე ევროპის სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების თვალსაზრისით და არ აიძულეს ჩვენი ხელისუფლება, რომ ჩვენი კანონმდებლობა საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში იქნეს მოყვანილი, მაშინ ხალხი თვითონ დაიწყებს სამართლის ძებნას. და როცა ხალხი თვითონ იწყებს სამართლის ძებნას, ეს უკვე ძალიან სერიოზულ კატასტროფამდე მიდის. ამის მაგალითი ბევრია ისტორიაში. ხალხი მერე თვითონ აღასრულებს სამართალს და ამას რევოლუციამდე მივყავართ.

***— გამოდის, საერთაშორისო ზეწოლის იმედად დავრჩით ობიექტური მართლმსაჯულების დამკვიდრების მხრივ?***

— ასეა. ჩვენ დღეს მხოლოდ საერთაშორისო ზეწოლის იმედად ვართ.

***— ბატონო შალვა, მოდით, გირგვლიანის საქმეზე ვისაუბროთ. ხელისუფლება ისე წარმოაჩენს, თითქოს ეს საქმე სტრასბურგში ნაწილობრივ მოიგო კიდეც.***

— ასე აგვისტოს ომიც მოიგო საქართველომ და კიდევ ბევრი რამე მოვიგეთ. მაგრამ, სამწუხაროდ, ასე არ არის. გირგვლიანის საქმესთან დაკავშირებით ევროპულმა სასამართლომ აღიარა, რომ დაირღვა კონვენციის მეორე მუხლი — სიცოცხლის უფლება მის პროცედურულ ასპექტში. სახელმწიფოს დაეკისრა, რომ მომჩივან გურამ გირგვლიანს გადაუხადოს 50 ათასი ევრო. ამ გადაწყვეტილების აღსრულება აუცილებლად გულისხმობს ხელახალი გამოძიების და შესაბამისი სასამართლო განხილვების ჩატარებას. ლოგიკურია, როდესაც მეორე მუხლის ანუ სიცოცხლის უფლების დარღვევა ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია იმის გამო, რომ ამ საქმის გამოძიება და სასამართლო განხილვები საქართველოში ჩატარდა არასრულად, ცალმხრივად და არაობიექტურად. როგორ შეიძლება ამ დარღვევის აღმოფხვრა? ერთადერთი, იმავე საქმის ობიუქტურად და სამართლიანად განხილვით. ჩვენ მივმართეთ იუსტიციის მინისტრს, დავუსაბუთუთ, რომ ამ გადაწყვეტილების აღსრულება გულისხმობს ხელახალ გამოძიებას და სასამართლო განხილვებს. დავინტერესდით, როდის და როგორ აპირებენ ამის უზრუნველყოფას, ამასთან, მოვითხოვეთ, რომ ხელახალი გამოძიებისა და განხილვის პროცესში უზრუნველყოფილი უნდა იყოს დაზარალებული მხარის და მისი ადვოკატების მონაწილეობაც, იმიტომ რომ ახალი საპროცესო კანონმდებლობით დაზარალებული საერთოდ აღარ არის მხარე. თუ გამოძიებას დაიწყებენ, იმას მაინც უზრუნველყოფენ, როგორმე გირგვლიანის ადვოკატებმა დაზარალებული არ ჩართონ.

***— იუსტიციის სამინისტრომ რა პასუხი მოგწერათ?***

— იუსტიციის სამინისტროდან მივიღეთ ორაზროვანი პასუხი. მათ ასე კატეგორიულად ველარ უარყვეს გირგვლიანის საქმეზე ახალი გამოძიების დაწყების საჭიროება. როგორ კატეგორიულ განცხადებებსაც ადრე აკეთებდნენ იუსტიციის მინისტრის მოადგილე თინა ბურჯალიანი და აკაკი მინაშვილი.

## სააპელაციო სასამართლოში ბადრი ბიწაძის საქმის განხილვა 5 ოქტომბრიდან დაიწყება

თბილისის სააპელაციო სასამართლო სასაზღვრო პოლიციის ექს-უფროსის, ბადრი ბიწაძის საქმის განხილვას 5 ოქტომბრიდან დაიწყებს.

როგორც „მედიანიუსს“ ბიწაძის ადვოკატმა ლევან სამუშიამ განუცხადა, სააპელაციო სასამართლოში ბიწაძის საქმეზე მოსამართლეთა კოლეგიას მარინა ხოლუაშვილი უხელმძღვანელებს.

სამუშიას განცხადებით, იმ შემთხვევაში, თუ სააპელაციო სასამართლო უსამართლო გადაწყვეტილებას მიიღებს და იგივეს უზენაესი სასამართლოც გაიმეორებს, ბიწაძის საქმე სტრასბურგის ადამიანის უფლებების ევროპულ სასამართლოში მოხვდება.

შეგახსენებთ, რომ ბადრი ბიწაძეს ბრალი „პოლიციის მუშაკის მიმართ წინააღმდეგობაში, ასევე საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისათვის ხელის შეშლაში“ ედება. თბილისის საქალაქო სასამართლომ პროკურატურის შუამდგომლობით მას გირაოს სახით 100 000 ლარის გადახდა დააკისრა, რის გადახდაზეც ბიწაძის ოჯახმა უარი განაცხადა.

თბილისის საქალაქო სასამართლომ ბადრი ბიწაძე დამნაშავედ ცნო წარდგენილ ბრალდებაში და მას სასჯელის სახედ და ზომად 5 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.

როგორც ცნობილია, ბიწაძის ამჟამინდელი ადგილსამყოფელი უცნობია, მისი მეუღლის „დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერის, ნინო ბურჯანაძის განცხადებით, ბიწაძე ერთ-ერთ ევროპულ ქვეყანაში თავშესაფარს ელოდება.

**მედიანიუსი**

# თელავში შუალედური არჩევნები დარღვევების ფონზე ჩატარდა

## რატომ არის თელავი მეტის ღირსი

თეა მარხვაი ე

**გუშინ თელავში პოლიტიკურად ძალიან ცხელი დღე იყო. თელაველებს მაჟორიტარი დეპუტატი უნდა აერჩიათ. შუალედურ არჩევნებში სამი პოლიტიკური პარტია — ნაციონალური მოძრაობა, ქრისტიან-დემოკრატები და მრეწველები — მონაწილეობდნენ.**

**ნაციონალებმა თავიანთ რჩეულად თელავის ყოფილი გამგებელი ვასილ დავითაშვილი დაასახელეს, მრეწველებმა — ვასილ არაბული, ქრისტიან-დემოკრატებმა კი — ნიკოლოზ ლაშხი.**



არჩევნების ხათრით ეს სამი პარტია თელავში ბოლო ერთი თვეა დიდ დროს ატარებს. თან რთველში ღებულობდნენ მონაწილეობას და თანაც წინასაარჩევნო აგიტაციას ეწეოდნენ.

თელაველები უკვე წუხდნენ მათი აქტიურობის გამო, ჩიოდნენ, ისე ვერსად წავსულვართ, ესენი რომ სადმე არ გადაგვეყარონო.

არჩევნებში მონაწილე ორივე ოპოზიციური პარტია კონსტრუქციულობაშია ეჭვმიტანილი. შესაბამისად ნაციონალებს წინასაარჩევნო დარღვევების გამო კონსტრუქციულად აკრიტიკებდნენ.

თელაველების იუმორი საყოველთაოდ არის ცნობილი. წინასაარჩევნო პერიპეტიებსაც ისინი დიდი ხალისით ხვდებოდნენ. სახალისო კი პოლიტიკოსების გადამკიდეებს ნამდვილად ჰქონდათ.

სპეციალისტების განმარტებით მოსახლეობისთვის დიდ საფრთხეს შეიცავს მცენარე ამბროზია, რომელიც თელავში საკმაოდ მრავლად არის. ქდმ-ს კანდიდატმა ნიკოლოზ ლაშხმა ამბროზიის საწინააღმდეგო კამპანია წამოიწყო, რამაც თელაველებს საშაყიროდ ახალი თემა მისცა.

შაყირი და გართობა მაშინ უნდა გენახათ ქალაქის ქუჩებში დეპუტატობის ნაციონალების კანდიდატის პლაკატები რომ გამოჩნდა. „თელავი მეტის ღირსია“, ასეთი წარწერა ამშვენებდა ვასილ დავითაშვილის გამოსახულებიან პლაკატებს.

არჩევნებამდე ერთი დღით ადრე თელავს საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი შეხვდა. შეხვედრა თელავის თეატრში შედგა. პრეზიდენტთან შესახვედრად ხალხი საგანგებოდ შეარჩიეს. იქ მხოლოდ სერიოზული ხარისხის მიშისტები შეუშვეს. პრეზიდენტის დანახვაზე მათ ისეთი ტაში ატეხეს, ბარსელონას ფანებსაც რომ გაუკვირდებოდათ.

თავის ფანებს პრეზიდენტი თელავის მნიშვნელობაზე, რუსეთის აგრესიაზე და ღვინის ემბარგოზე ესაუბრა.

ისე, ამ შეხვედრამდე ცოტა ხნით ადრე ოპოზიციამ თელაველებს პრეზიდენტის მორიგი მზაკვრობის შესახებ ამცნო. მათი მტკიცებით, სააკაშვილი თელაველებისთვის სათაყვანებელი მეფე ერეკლეს ძეგლის სიღნაღში გადატანას აპირებს. ამ ამბით შეშფოთებულმა რამდენიმე თელაველმა პატარა კახის ძეგლზე თვალთვალი დააწესა. ადგილობრივმა ხელისუფლებამ ისინი ძლივს დაარწმუნა, რომ ერეკლეს არავინ არ შეეხება.

მოდით, ისევ პრეზიდენტთან გამართულ შეხვედრას დავუბრუნდეთ, სააკაშვილი ბუნებრივია წინასაარჩევნო საკითხებსაც შეეხო და აღნიშნა, რომ რამდენიც არ უნდა გააკეთონ, ყოველთვის იტყვის, რომ თელავი მეტს იმსახურებს.

— ჩვენი ხელისუფლების ნებისმიერი წარმომადგენელი კარგად ვგრძნობთ ერთ რაღაცას — ბევრი რამე კეთდება სიღნაღში, გურჯაანში, საგარეჯოში, დედოფლისწყაროში, ყვარელში, ლაგოდეხში, ბევრი რაღაცა იცვლება ახმეტაში და ეს არის განსაკუთრებული კუთხე საქართველოსი, მაგრამ არავის არც ერთი წუთით არ გვავიწყდება, რომ კახეთის ცენტრი და საქართველოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ცენტრი თელავია. რაც არ უნდა გავაკეთოთ, რამდენიც არ უნდა ვიშრომოთ, მე ყოველთვის ვიტყვი, რომ თელავი იმსახურებს კიდევ უფრო მეტს და ბევრად მეტია გასაკეთებელი, — განაცხადა სააკაშვილმა.

თელავში მართლაც ბევრია გასაკეთებელი, მათ შორის ამბროზიაა გასაწყვეტი. მაგრამ ამაზე მაღალ კაცს კრინტი არ დაუძრავს. კონკურენტებს ხომ არ მოჰპარავდა იდეას.

როგორც წესი და რიგია, არჩევნები თელავში დილის 8 საათზე დაიწყო. კახეთის საინფორმაციო ცენტრის ცნობით, თელავის საარჩევნო ოლქში 56 932 ამომრჩეველია დაფიქსირებული. 54 საარჩევნო უბანი დილის 7 საათზე გაიღო.

როგორც ყველა, არჩევნებზე აქაც არაერთი დარღვევა დაფიქსირდა. კანონს არღვევდნენ როგორც ნაციონალები, ასევე ოპოზიციონერებიც.

კახეთის საინფორმაციო ცენტრის ცნობით, ფშაველის 32-ე საარჩევნო უბანში ინციდენტი მოხდა. ამავე სოფელში მცხოვრები, 60 წლამდე მამაკაცი საარჩევნო უბანში შევიდა და ხელისუფლების მისამართით გინება დაიწყო. მამაკაცი აპროტესტებდა, რატომ იყო საარჩევნო უბანი განთავსებული ლუკა რამაზაშვილის კუთვნილ შენობაში.

როგორც სოფლის მაცხოვრებლებმა კახეთის საინფორმაციო ცენტრს განუცხადეს, შენობა ლუკა რამაზაშვილის საკუთრებაა. რამაზაშვილი პარტია „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“ ყოფილი თავმჯდომარეა. 2006 წელს დააპატიმრეს და 8 წლით თავისუფლების აღკვეთა აქვს მისჯილი.

ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციისა და „სამართლიანი არჩევნების“ დამკვირვებლებმა სოფელ თეთრიწყლების მე-19 და სოფელ ყარაჯალას 39-ე საარჩევნო უბნებზე საჩივრები დაწერეს. როგორც კახეთის საინფორმაციო ცენტრს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თელავის ოფისის ხელმძღვანელმა მარეხ მგალობლიშვილმა განუცხადა, საკონტროლო ფურცლებზე არ იყო მითითებული შევსების დრო. ყარაჯლის საუბნო-საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ საჩივრის მიღების შემდეგ საკონტროლო ფურცელი შეავსო. მგალობლიშვილის თქმით, კომისიის თავმჯდომარეს ამის უფლება არ ჰქონდა.

თელავის საარჩევნო ოლქში მე-3 საარჩევნო უბანზე ამომრჩეველმა არჩილ უტიაშვილმა ხმა მარკირების გარეშე მისცა. როგორც კახეთის საინფორმაციო ცენტრს საუბნო-საარჩევნო კომისიის, ნაკადის მომწესრიგებელმა წევრმა განუცხადა, ამომრჩეველი მისი ბიძაშვილია და მარკირების გაკეთება დაავიწყდა. მას შემდეგ, რაც კახეთის საინფორმაციო ცენტრმა ამომრჩევლის გამოკითხვა დაიწყო, კომისიის წევრებმა ის საარჩევნო უბნიდან დაუყოვნებლივ გაიყვანეს. ამომრჩეველს საარჩევნი ყუთში ბიულეტენი უკვე ჩაგდებული ჰქონდა.

ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი ვასილ დავითაშვილი არჩევნების დღესაც საარჩევნო კამპანიას ეწეოდა.

— დავიწყე სისტემების გაუმჯობესება. სოციალური ფენისთვის უკეთესი პირობების შექმნა, სოფლის მეურნეობის, ტურიზმის, მევენახეობის განვითარება. ვაპირებ ქალაქის ისე მოწყობას, როგორც ისტორიულისას, ისე როგორც დღეს ვითარდება თბილისი და ბათუმი, — აღნიშნა ვასილ დავითაშვილმა ტელეკომპანია „იმედისთვის“ მიცემულ ინტერვიუში, რომელიც ეთერში 11:00 საათზე გავიდა. საარჩევნო კოდექსით კი არჩევნების დღეს ყოველგვარი საარჩევნო კამპანია იკრძალება.

საინტერესო ფაქტი მოხდა გულგულას 16 საარჩევნო უბანზე. კახეთის საინფორმაციო ცენტრის ცნობით, ერთ-ერთი მოქალაქე, რომელიც ვინაობას არ ამხელდა, ნაციონალური მოძრაობის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის ვასილ დავითაშვილის საარჩევნო პლაკატებით იყო შესული. საუბნო-საარჩევნო კომისიის წევრმა, რომელსაც ნაკადის მოწესრიგება ევალება, განაცხადა, რომ ვერ დაინახა მოქალაქე უბანში ბუკლეტებით როდის შევიდა.

კახეთის საინფორმაციო ცენტრის ჟურნალისტებმა ყარაჯალას საარჩევნო უბნებზე დააფიქსირეს, რომ ნაციონალური მოძრაობის მიკროავტობუსებით კენჭისყრის შენობებში მიყვანილ ამომრჩევლებს, რომლებიც აცხადებენ, რომ ვერ ხედავენ, კაბინებში ხმის მიცემის დროს ერთი და იგივე პირები ეხმარებიან. ყარაჯალას 37-ე, 38-ე და 39-ე საარჩევნო უბნებში ამომრჩევლების ნახევარზე მეტი აცხადებს, რომ მხედველობა უჭირთ, სათვალე თან არ აქვთ და დახმარებას საჭიროებენ.

ყარაჯალას საარჩევნო უბნებზე ცესკო-ს წარმომადგენლები თამაზ შარმანაშვილი და გია სეხნიაშვილი კახეთის საინფორმაციო ცენტრის ჟურნალისტებს, დარღვევების გადაღებისას, მუშაობაში ხელს შეუშალეს. 37-ე და 38-ე საარჩევნო უბნებზე, დილის 8 საათიდან, ხმის მიცემის კაბინებში ერთდროულად რამდენიმე ადამიანი შედის. ცესკო-ს წარმომადგენლების და საუბნო-საარჩევნო კომისიების ხელმძღვანელების გაღიზიანება სწორედ ამ ფაქტების გადაღებამ გამოიწვია. მათ ჟურნალისტები ხმის მიცემის ფარულობის დარღვევაში დაადანაშაულეს და გადაღების გაგრძელების შემთხვევაში უბნიდან გაძევებით დაემუქრნენ.

კახეთის საინფორმაციო ცენტრი, დამკვირვებლები და არასამთავრობოები კიდევ ბევრი დარღვევის მომსწრენი გახდნენ. ამ დარღვევებზე დეტალური ინფორმაციები უკვე ამ დღეებში გამოქვეყნდება. მართალია დარღვევები იყო, მაგრამ არჩევნებმა თელავში ასე თუ ისე მშვიდობიანად ჩაიარა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამ არჩევნებში მონაწილეობა ორმა ოპოზიციურმა პარტიამ მიიღო. დანარჩენებს ამ არჩევნებისთვის თავი არ შეუწუხებიათ. ზოგიერთებზე კი ლეიბორისტების განცხადებამ იმოქმედა. ცოტა ხნის წინ ლეიბორისტებმა ოპოზიციას მოუწოდეს არჩევნებისთვის ბოიკოტი გამოეცხადებინათ. მათი რჩევა 2 პარტიამ არ გაითვალისწინა. რითიც ლეიბორისტების რისხვა დაიმსახურეს. ლეიბორისტთა ერთ-ერთმა ლიდერმა გიორგი გუგავამ გუშინდელ არჩევნებს დიდი ფარსი უწოდა..

### „სახალხო კრება“ ექვსიანს არ შეუერთდება

„სახალხო კრება“ პოლიტიკურ „ექვსიანთან“ გაერთიანებას არ აპირებს და არგუმენტად ზეპარტიულობას ასახელებს. „სახალხო კრებას“ „ექვსიანთან“ შეერთებისკენ, „ტრადიციონალისტთა“ ლიდერმა აკაკი ასათიანმა მოუწოდა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ „სახალხო კრების“ პრესსამსახურიდან აცნობეს, მიუხედავად იმისა, რომ კრების აღმასრულებელი საბჭო პატივს სცემს ყველა იმ პიროვნებისა თუ პოლიტიკური ძალის პოზიციას, ვინც არსებული რეჟიმის შეცვლით რეალურადაა დაინტერესებული — „სახალხო კრება“ არც ერთი პოლიტიკური სუბიექტის გაერთიანებას არ შეუერთდება.

აღნიშნულის მიზეზად კი პრესსამსახური კრების ზეპარტიულობას ასახელებს.

— ჩვენ, დღიდან ჩამოყალიბებისა, ვცდილობთ იმ იდეის ირგვლივ გავაერთიანოთ ყველა პოლიტიკური ძალის ძალისხმევა, რასაც საქართველოს გადარჩენა, ქვეყანაში ნამდვილი დემოკრატიული არჩევნების ჩატარება და რეალური დემოკრატიის დამყარება ჰქვია და ამ იდეისთვის ბრძოლას ბოლომდე გავაგრძელებთ, — აცხადებენ „სახალხო კრებაში“.

**ინტერპრესნიუსი**

### ანაკლიის ხიდის ნარჩენებს ზღვაში ეძებენ

პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის მიერ გახსნილი ანაკლია-განმუხურის 500-მეტრიანი ხიდი ქარბორბალამ წაიღო.

როგორც „მედიანიუსს“ ადგილობრივმა მოსახლეობამ აცნობა, ხიდის დეტალებს ზღვაში სპეციალური ტექნიკით ეძებენ და ამწეებით ამოაქვთ.

მათი თქმით, ქარმა მხოლოდ ხიდის ნაწილი წაიღო, რადგან ანაკლიის საკურორტო ქალაქად გამოცხადების მეორე დღესვე ის დაშალეს და ერთი ნაწილი სვანეთში წაიღეს.

მოსახლეობის თქმით, მოგვიანებით გაარკვიეს, რომ ეს ხიდი დროებითი იყო, რადგან ანაკლიის საკურორტო ქალაქად გამოცხადების ღონისძიებაზე გასახსნელად პრეზიდენტის დავალებით ნაჩქარევად ააშენეს.

**მედიანიუსი**

### თურქეთში 45 ქართველი არალეგალი დააკავეს

თურქული მედიის ცნობით, თურქეთში იზმირთან ახლოს მდებარე ერთ-ერთ ქალაქში 45 ქართველი არალეგალი დააკავეს.

დაკავებულთაგან 17 ქალია. ერთ-ერთი დაკავებული 70 წლისაა.

ამ დროისათვის ყველა დაკავებული თურქმა სამართალდამცავებმა იზმირში გადაიყვანეს, საიდანაც მათი საქართველოში დეპორტაცია მოხდება.

თურქი სამართალდამცავების განცხადებით, ამჟამად ისინი იმ თურქებს ეძებენ, რომლებმაც არალეგალები ქვეყანაში ჩაიყვანეს და სამსახურს დაპირდნენ.

**მედიანიუსი**

# ბოკერიას შსს-ს დაშლის უფლებას არ მისცემენ

## რატომ ვერ მიაგნო ოპოზიციამ ხელისუფლებასთან ბრ ოლის ეფექტურ გზას

შორენა კოწოწაშვილი

### ინტერვიუ ადვოკატ გელა ნიკოლაიშვილთან

***— ბატონო გელა, ექსპერტი ცისკარიშვილი მიიჩნევს, რომ თუ ოპოზიცია არ გაერთიანდა, სააკაშვილის ხელისუფლების შეცვლა ძალიან გაჭირდება. ეთანხმებით ამ მოსაზრებას?***

— ხელისუფლების ჩამოცილება ხელისუფლების სათავიდან ოპოზიციის გაერთიანების შემთხვევაშიც ძალიან გაჭირდება. გაერთიანების გარეშე კი წარმოუდგენელი იქნება. ხელისუფლება უკვე აქტიურად ემზადება არჩევნებისთვის. საკმაოდ დიდ მუშაობას ატარებს იმისათვის, რომ თავისი ელექტორატი კონკრეტულად დაიანგარიშოს. ისიც არ არის შემთხვევითი, რატომ გაზარდეს დეპუტატების რაოდენობა 150-დან 190-მდე. რაც არ უნდა ხალხის მოტყუება სცადოს სააკაშვილმა, რომ ეს ოპოზიციას უნდოდა და მე არაო, ამას არავინ დაიჯერებს. რაც სააკაშვილს არ უნდოდა, ის არც გაუკეთებია, იმიტომ რომ ამის საშუალებას აძლევს ოპოზიცია. აქედან გამომდინარე, ის 83 ადგილი, რომელიც პრაქტიკულად გარანტირებული აქვს ხელისუფლებას, ანუ 83 მაჟორიტარი დეპუტატი, ესეც დათვალეს და 107 ადგილი პროპორციული წესით ასევე გადანაწილებული აქვთ იმგვარად, რომ ორი-სამი პარტია მაინც მოხვდება პარლამენტში, რომ დაერქვას არაერთპარტიული ამ პარლამენტს. დანარჩენი ორი მესამედი ჯამში შეადგინოს ხელისუფლებამ. რა ფორმებით და მეთოდებით, ჩვენ ეს უკვე არაერთხელ გვინახავს. დაშინება და მოსყიდვა — ეს არის ხელისუფლების სტრატეგიის ორი ძირითადი მიმართულება, რომელსაც ის ყოველთვის წარმატებით ახორციელებს.

***— თქვენ ხელისუფლებას ერთ გუნდად მოიაზრებთ, თუმცა ბევრს საუბრობენ გუნდის შიგნით დაპირისპირებაზე, ბოკერიას გავლენის ზრდასა და ინტერესების დაკმაყოფილებაზე.***

— ეს დადასტურებული ინფორმაცია არ არის, ეს მხოლოდ მორალური ხმებია. თუმცა, როგორც ჩანს, ამ ხმებს საფუძველი აქვს. გასაკვირი იქნებოდა, ასე რომ არ ყოფილიყო. სააკაშვილის დასაყრდენი, უსიტყვოდ მონა-მორჩილი გუნდი არსებობს, ერთი მხრივ, ცალკე. მათ შეიძლება დავარქვათ „აპარატჩიკები“ ბიუროკრატია. მეორე მხრივ, არსებობს გუნდი, რომელსაც პრეტენზია აქვს პოლიტიკოსობაზე. ეს არის თავისუფლების ინსტიტუტის გუნდი. მოგეხსენებათ, „აპარატჩიკები“ და ბიუროკრატია პოლიტიკას არ ქმნიან. ისინი შემსრულებლები არიან. პოლიტიკას ქმნიან პოლიტიკოსები — ბოკერიას გუნდი, რომელშიც არიან უგულავა, თარგამაძე, სხვათა შორის, საუბრების დროს ამ გუნდში მოიაზრებენ საკმაოდ გავლენიან ნიკა რურუასაც, რომელიც არ შეიძლება უბრალო ბიუროკრატად და ჩინოვნიკად ჩავთვალოთ, იმიტომ რომ მას ფიზიკური ძალაც დიდი აქვს. აქ მის ძალოვან დაჯგუფებას ვგულისხმობ, რომელიც მისი და მისი ძმის ნახევრად ოფიციალური, გასამხედროებული დაჯგუფებაა. აქედან გამომდინარე, ეს დაპირისპირება პერსპექტივაში რეალური ჩანს. თუმცა, სადამდე მივა ეს დაპირისპირება, არავინ იცის. მაგრამ, მაინც სავარაუდოა, რომ ისინი ისეთ დაპირისპირებამდე არ მივლენ, მთელი გუნდი რომ გაიხლიჩოს და ცალ-ცალკე გამოვიდნენ ისინი ავანსცენაზე. მათ იციან, რომ ერთმანეთზე არიან გადაბმული და, მგონი, სათავისოდ გონება ეყოფათ, რომ ამით თავი არ დაისუსტონ და ოპოზიცია არ

გაგრძელება მე-5 გვერდზე

# ბოკერიას შსს-ს დაშლის უფლებას არ მისცემენ

დასაწყისი მე-4 გვერდზე

გააძლიერონ. ნებისმიერ შემთხვევაში, რომელმა მხარემაც არ უნდა წააგოს ამ დაპირისპირებაში, ღია დაპირისპირება თუ მოხდება, მეორე მხარე იქნება საკმაოდ ძლიერი მოწინააღმდეგე, იმიტომ რომ პოტენციურად ოპოზიცია ისედაც ძლიერია და ამას კიდევ დაემატოს ოპოზიციაში გადასული დამარცხებული სახელისუფლებო გუნდი, მე მგონი, გამარჯვებულს იმის იმედი არ უნდა ჰქონდეს, რომ მისთვის სასიკეთოდ დამთავრდება ეს ყველაფერი. ამიტომაც, ვფიქრობ, ბოლო მომენტში ისინი შეეცდებიან, საერთო ენა გამონახონ. თუ ეს მოახერხეს, გადარჩებიან, თუ არადა, ალბათ ეს იქნება ერთ-ერთი ყველაზე დიდი ბომბი ხელისუფლებისთვის, რომელმაც შეიძლება ააყირავოს მათ მიერ დასტაბილურებული სიტუაცია. სიტუაცია რომ დასტაბილურებულია, ეს ყველანაირად ჩანს. დასტაბილურებულში იმას არ ვგულისხმობ, რომ სიტუაცია კარგია, მაგრამ ის, რომ ხელისუფლებამ მოახერხა და მიაწყნარა ისე სიტუაცია, რომ მათთვის სახიფათო რაოდენობის მასები არც გარეთ გამოდიან და ვერც ხელისუფლების არჩევნების დროს გაბედავენ ალბათ მათ საწინააღმდეგოდ ხმის მიცემას, დღეს ეს სიტუაციაა. რა იქნება ერთი წლის შემდეგ, ამას მომავალი გვიჩვენებს.

***— ამბობენ, ბოკერიას ინტერესებშია, შსს დაშალოს და მერაბიშვილის გავლენა შეასუსტოს.***

— ბოკერია ცდილობს უშიშროების საბჭოს მდივნის ფუნქციის გაძლიერებას. რამდენად მოახერხებს, ვნახოთ. თუმცა, ეს ადვილი არ იქნება, იმიტომ რომ რეალური ფიზიკური ძალა დღეს სწორედ მერაბიშვილის ხელშია, რომელიც დამოუკიდებლად, რადგან პოლიტიკოსი არ არის, ვერ წარმოადგენს რაიმე მნიშვნელოვან პოლიტიკურ ძალას. მაგრამ, რადგან ფიზიკური ძალა გააჩნია თავისი ძალოვანი სტრუქტურების მორჩილებაში ყოფნით, ეს აძლევს მას იმის საშუალებას, რომ იყოს დამოუკიდებელი ბოკერიას გუნდისგან. მიუხედავად იმისა, რომ საგარეო ფაქტორები, როგორც პოლიტიკური წონა, თუნდაც პოლიტიკური გავლენა, იგივე საერთაშორისო კავშირები შეიძლება ბოკერიასა და მის გუნდს უფრო მეტი ჰქონდეს, მაგრამ ხელისუფლების დასაყრდენი და ხერხემალი ისევ რჩება ვანო მერაბიშვილის უწყება.

***— ამ ყველაფრის ფონზე ბოკერიას გაუჭირდება, მერაბიშვილს უწყება დაუშალოს და ამით შეასუსტოს?***

— ვფიქრობ, რომ გაუჭირდება, იმიტომ რომ სააკაშვილი თავის თამაშს თამაშობს. ის ამ ბრძოლაში განზე გამდგარი არ იქნება. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ მისი დასაყრდენი სწორედ მერაბიშვილია და ის ფიქრობს პარლამენტში საკუთარი გუნდით უმრავლესობით მოსვლას და არ დაანებებ ბოკერიასა და სხვებს თავისი უმრავლესობით მოსვლას, ვინაიდან სწორედ ის საპარლამენტო უმრავლესობა აირჩევს იმ თანამდებობის პირს, რომელზეც თვალი მას უჭირავს, ანუ პრემიერ მინისტრს. აქედან გამომდინარე, ვფიქრობ, დღეისათვის ბოკერიას შანსები ნაკლებია. სააკაშვილისთვის საშიში მერაბიშვილი არ არის და არც არასდროს იქნება, ალბათ არც ადეიშვილი, ეს მთავარ მოთამაშეებზე მაქვს საუბარი, ვინაიდან ისინი პოლიტიკოსები არ არიან. იმის გამო, რომ ბოკერია და მისი გუნდი ძირითადად პოლიტიკოსებისგან შედგება და აქვთ პოლიტიკოსობის ამბიცია, ამიტომ სააკაშვილი აქ გადამწყვეტი ფაქტორი იქნება. ის ამ ეტაპზე ბოკერიას არ მისცემს არც მერაბიშვილის დასუსტების საშუალებას და არც პარლამენტში ბოკერიას მხარდამჭერი გუნდის უმრავლესობით მოსვლას დაუშვებს. თუმცა ბოკერიას ყველაზე მძლავრი ბერკეტი იქნება დასავლეთის მხარდაჭერა, თუნდაც იმ საკითხში, რასაც ჰქვია შს სამინისტროს დაშლა.

***— სააკაშვილმა ყველა ის თანაგუნდელი ჩამოიშორა და დასაჯა, რომელმაც დამოუკიდებელი თამაში წამოიწყო და გაძლიერდა. ბოკერიაც უნდა ელოდეს სააკაშვილისგან გარკვეულ წნეხს?***


გელა ნიკოლაიშვილი

— რა თქმა უნდა. სააკაშვილი ემიგრაციაში და ციხეში ბოკერიას, ცხადია, არც გაუშვებს, ვერც გაუშვებს. ეს არც მის ინტერესებში შედის. მაგრამ ის შეეცდება, გარკვეული ზღვრის იქით ის არ გაძლიერდეს, იმიტომ რომ სააკაშვილმა კარგად იცის ბოკერიას პოტენციური შესაძლებლობები. აქედან გამომდინარე, მაგალითი გვაქვს ჩვენ როგორც ოქრუაშვილის, ასევე ბურჯანაძის. როდესაც ბურჯანაძემ მოინდომა პარლამენტში რეალური ძალაუფლების მოპოვება, მაშინვე გვერდზე გააჩოჩეს. როდესაც ოქრუაშვილმა მოინდომა მისივე უკვე არსებული საკმაოდ ძლიერი პოზიციების უფრო განმტკიცება და გამყარება, რომელიც სააკაშვილის კონტროლიდან მთლად გამოვიდოდა, დაინახეთ, რომ მას შესთავაზეს ეკონომიკის მინისტრობა. ჩააჩოჩეს იმ თვალსაზრისით, რომ დაასუსტეს. ამიტომ ბოკერიას ან არ გაუძლიერებენ საკანონმდებლო დონეზე იმ თანამდებობას, რომელზეც თვითონ არის, ან, თუ მან ზედმეტი მოინდომა და, ასე ვთქვათ, იმ ზღვარს გადასცდა, რომლის იქითაც სააკაშვილი არ დაუშვებს თავის გვერდზე ძლიერი კონკურენტის ყოლას, ბოკერიამ შეიძლება დაკარგოს უშიშროების საბჭოს მდივნის პოსტი. შეიძლება სააკაშვილმა მასაც მინისტრობა შესთავაზოს რომელიმე სფეროში, ვთქვათ, სასჯელაღსრულების მინისტრობა ანდა ელჩობა რომელიმე ქვეყანაში. ამერიკაში მისი ელჩობა უფრო საშიშია, ამიტომ რომელიმე სხვა ქვეყანას შესთავაზებს. ასე რომ, ეს გამორიცხული არ არის.

***— რატომ ვერ მიაგნო ოპოზიციამ ხელისუფლებასთან ბრძოლის ეფექტურ გზას, ხელისუფლების სიძლიერის გამო?***

— როდესაც ქვეყანაში არის პოლიციური სახელმწიფო, ასეთ შემთხვევაში ოპოზიციის შესაძლებლობები შეზღუდულია. ასეთ დროს ოპოზიციის სიძლიერე დამოკიდებულია საზოგადოების განწყობასა და გაბედულებაზე. აქედან გამომდინარე, რადგანაც ხელისუფლებამ შეძლო საზოგადოებაში, ერთი მხრივ, დაეთესა შიში, მეორე მხრივ — ხელჩაქნეულობა, ძალიან ძნელია ოპოზიციისთვის ასეთ საზოგადოებაში რაიმე წარმატების მიღწევა. ჩვენთვის რომ ვთქვათ, საქართველოს ზრდასრული მოსახლეობის რა ნაწილს შეადგენენ ხელისუფლების მხარდამჭერები? ეს არის დაახლოებით 20-25%. ესენი რეალურად დასაქმებული ადამიანები არიან, საბიუჯეტო ორგანიზაციებში დასაქმებული ხელისუფლების მომხრე ადამიანები. დაახლოებით 25% ისეა დაშინებული, რომ შეიძლება არ მოსწონდეს ეს ხელისუფლება, მაგრამ ხმას შიშის გამო მაინც მას მისცემს. მესამე, 25-30%-ს ხელი აქვს ჩაქნეული და აღარც ოპოზიციის სჯერა და აღარც ხელისუფლების. დარჩენილი 20%-დან კი ბევრი ფიზიკური გადარჩენის ზღვარზეა მისული. მას აქციაზე მისვლის საშუალებაც არ აქვს. თუ ასე ოთხ-ხუთ კატეგორიად დავყოფთ ადამიანებს, გამოდის, რომ მებრძოლი, გაბედული ადამიანები, რომლებიც უკან არ დაიხევენ და საკუთარი სიცოცხლე და ჯანმრთელობა სასწორზე დადონ, ძალიან ცოტაა. აქედან გამომდინარე, უკვე ოპოზიციას არ რჩება ის ელექტორატი, რომელთანაც უნდა იმუშაოს.

# ალასანია დიდი ოპოზიციური გაერთიანების შექმნას ხელს უშლის

## ვის არ აწყობს ოპოზიციური ექვსიანის საარჩევნო ბლოკად ჩამოყალიბება

ქეთი ხომერიკი

**ოპოზიციურ ექვსიანზე ბოლო ხანებში უფრო მეტი ხუმრობა, შარჟი და ანეკდოტი იწერება, ვიდრე საქმიანი, სერიოზული სტატიები. არჩევნები და საარჩევნო გარემო საშარჟო და სალაღობო თემად გადაიქცა — კი მაგრამ, ხელისუფლებას რომ ნორმალური არჩევნების ჩატარება არ უნდა, გასაგებია, მაგრამ ეს რვიანის ნარჩენები რატომ უწყობენ, ნებსით თუ უნებლიეთ, ამაში ხელს, ამის ახსნა არც ისე ადვილია... რა საარჩევნო გარემო, რის საარჩევნო გარემო, როცა მთელი პოლიტიკური სპექტრი ხელისუფლებიან ჩამოექვსიანებულ რვიანიანად გამწარებული ეძებს გამოსავალს, როგორმე ისე დაიშალოს ეს ექვსიანი, რომ არც „პრიჩოსკა“ გაუფუჭდეს და არც მთავრობას მოეჭრას ბოლომდე საერთაშორისო ორგანიზაციებთან, ჩვენში დარჩეს და, ისედაც მოჭრილი თავი, — ამბობს „ახალი თაობის“ კონფიდენციალური წყარო.**


ირაკლი ალასანია

მოკლედ, ოპოზიციურმა რვიანმა ჯერ კიდევ სანამ შეიქმნებოდა, მანამდე მოასწრო და აჩვენა საზოგადოებას, რომ არავითარი აზრი არ ჰქონდა არც ამ მოლაპარაკებების დაწყებას, არც იმ რვიანის ფორმატს, იმიტომ, რომ საფუძვლიანი ეჭვი გაჩნდა მაშინვე, ეს პროცესი ყალბი და ხელოვნურიაო. შემდგომმა მოვლენებმა მნიშვნელოვანწილად დაადასტურა ეს ვარაუდი, ყოველ შემთხვევაში, თვითონ იმ დარჩენილი ექვსიანის ლიდერებსაც კი არ სჯერათ არც მომავალში რაიმეს შეცვლის პერსპექტივისა და, სხვათა შორის, არც იმის, რომ წარსულში მიაღწიეს რაღაც პოზიტიურს.

ერთი სიტყვით, შექმნილი ჩიხი, თუ კრიზისი იმდენად გამძაფრდა, რომ ან უნდა პარტიებს საბოლოოდ დაენებებინათ თავი პოლიტიკური მოღვაწეობისთვის და მთლიანად ჩიხში შესული მოლაპარაკების იარლიყით მისულიყვნენ არჩევნებამდე, ან რაღაცა გამოსავალი უნდა მოეძებნათ შექმნილი სიტუაციიდან. ძალიან საინტერესოა რა გამოსავალი უნდა მოეძებნათ ისეთი, რომ ხალხს დაეჯერებინა ეს რვიანის მონაწილე პარტიები რაღაცას მართლა აკეთებდნენო და არა.... ჰოდა, ორიოდე დღის წინ სერიოზული შელაპარაკება მომხდარა ექვსიანში და დაპირისპირებულ მხარეებად (კი თამაშია, მაგრამ თამაშშიც არსებობენ მხარეები, აცხადებს წყარო) ისევ „ეროვნული ფორუმი“ და „ჩვენი საქართველო–თავისუფალი დემოკრატები მოგვევლინენ“, — გვითხრა ჩვენმა კონფიდენციალურმა წყარომ.

წყაროს ინფორმაციით, „ეროვნული ფორუმი“ – „გაუბრაზებია“ იმ ამბავს, რომ საკმაოდ რთულადაა საქმე და პოლიტიკური ვითარება ექვსიანში და მოუთხოვიათ ექვსიანის გასუქება. და მათ წარმომადგენელს ბატონ გუბაზ სანიკიძეს ულტიმატუმის ტონით შეუთავაზებია ექვსიანში შემავალი სუბიექტებისთვის ექვსიანში ეკა ბესელიას, კახა კუკავასა და ლევან გაჩეჩილაძის შემოყვანა, თანაც ისეთი იდეოლოგიური სარჩულით ფინანსებში მთლად კარგად ვერა ვართო, (პროდუქტების ბოლოდროინდელმა გაძვირებამ მართლა სერიოზულად დასვა ფინანსების საკითხი პარტიების წინაშე) ამიტომ დამატებითი დაფინანსების მოსაძიებლად ფორუმმა ისევ რუსეთისაკენ გაიხედა, ოღონდ არ უნდა დავუკარგოთ ფორუმს ეროვნული თემატიკის სიყვარული, რუსული ფული კი არ აინტერესებს, რუსეთში მოღვაწე ქართველი მინდია გულუას მამულიშვილურ გრძნობებზე გაკეთდა აქცენტი და ითქვა ბესელიას, კუკავას და გაჩეჩილაძის შემოყვანით ექვსიანის წონა მოიმატებს, მადაც გაიზრდება, ფსონიც და მეტ დაფინანსებასაც გამოვკრავთ ხელსო, — ირწმუნება წყარო. ექვსიანის წევრების ნაწილმა მხოლოდ მხრები აიჩეჩა, ვერც ჰო თქვა და ვერც არა. „რესპუბლიკელებმა“ თავი შეიკავეს, რაც შეეხება თავისუფალ დემოკრატებს, თავი ველარ შეიკავეს, მათმა ლიდერმა ალასანიამ პროტესტი გამოხატა და კატეგორიული უარი თქვა ამ წამოწყებაზე. რუსული ფულის შემოსვლა არ შეიძლება, სამშობლოს ღალატია ამ საკითხის თუნდაც იდეის დონეზე დასმაო, უთქვამს ალასანიას. აღშფოთებული იყო საქართველოს გზაც, ხოლო ეროვნული საბჭოს დავითაშვილი-ძიძიგურის ფრთამ მთლიანად ცივი წყალი გადაასხა ორივე მხარეს და ექვსიანის დაშლის საკითხიც კი დასვა, — გვიყვება წყარო.

მერე რა? — იკითხავს ამ ამბებს უკვე დიდი ხნის წინ შეჩვეული და თავმობეზრებულიც კი მკითხველი — ამ ხალხის ნაწილს როცა ფულიც ჰქონდა, ხალხიც ჰყავდა, სახეირო მაშინ ვერაფერი გააკეთა და ახლა რაში გვაინტერესებს, რის საფუძველზე დაუპირისპირდნენ ერთმანეთს? მთლად ასე მარტივადაც არ არის საქმე. წყაროს თქმით, მართლაც რაღაც გამოსავალი მოსაძებნია — ეს არ არის მარტო ექვსიანის კრიზისი, მთელი პოლიტიკური სცენარის კრიზისია, მეორე, ეს დაპირისპირება უფრო ერთი ცენტრიდან, კერძოდ, ხელისუფლებიდან დაკვეთილ დაპირისპირებას ჰგავს — ვიდრე იმ პარტიების დაპირისპირებას, რომლებიც ამომრჩევლის მოხიბვლას თავისი პროგრამის და მიზნების პროპაგანდით აპირებენ. მესამე, მთლად დარწმუნებული არ ვართ იმაში, რომ გულუა მართლაც აპირებს მოსუქებული ექვსიანის დაფინანსებას. „ახალი თაობის“ კონფიდენციალური წყაროს ინფორმაციით, არა მარტო არ აპირებს, წარმოდგენაც კი არ აქვს, რომ მისგან ვიღაცა ფულს ელოდება, თორემ დიდი ხნის წინ გაუბაზრდებოდა ეს ამბავი. წყაროს თქმით, ხელისუფლებამ დაუკვეთა ფორუმს პარტიებისთვის დაფინანსებისა და გულუას თემის შეგდება. ჯერ ერთი იმიტომ, რომ ფორუმი ექვსიანის დატოვებას ცდილობს და მიზეზი მოსაძებნია. ასეა თუ ისეა, ხელისუფლებას უნდა კიდევ ერთხელ დაანახოს ქართულ ელექტორატს, რომ ეროვნული ფორუმი და სხვა პარტიები გულდამწვარი რუსეთუმეები არიან, თანაც, ქართული ნაციონალური ინტერესების გადარჩენის გზას რუსული ფულის მოზიდვაში ხედავენ... ყოველ შემთხვევაში, გუბაზ სანიკიძის სიტყვები რომ მოვიშველიოთ (ჯერ არ უთქვამს, მაგრამ წყაროს თქმით, მსგავს ტექსტებს მალე მოვისმენთ) ალასანიამ კიდევ ერთხელ შეუშალა ხელი დიდი და სერიოზული ოპოზიციური გაერთიანების შექმნას.

„ახალი თაობა“ ჩვენი კონფიდენციალური წყაროს მიერ მოწოდებული ინფორმაციის გადასამოწმებლად „ეროვნული ფორუმის“ წარმომადგენელს ანი მიროტაძეს დაუკავშირდა.

**ანი მიროტაძე:**

— შეხვედრა რამდენიმე დღის წინ ნამდვილად შედგა. ეროვნულმა ფორუმმა საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებასთან დაკავშირებით შესთავაზა გაფართოება ექვსიანს, ანუ ეს რას ნიშნავს იცით, თვითონ ექვსიანში კი არ უნდა შემოვიდეს რომელიმე სხვა პარტია, ჩვენ შევთავაზეთ, რომ გავაკეთოთ უფრო ფართო ფრონტი. ექვსიანი რჩება ექვსიანად, მაგრამ საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებასთან დაკავშირებულ ბრძოლაში სხვა სუბიექტების ჩართვაც შევთავაზეთ. ჩემი ინფორმაციით, საკითხი დარჩა ღია. შემდეგი შეხვედრა იქნება ზუსტად ამ საკითხთან დაკავშირებით, ყველას პოზიციის მოტანა მოხდება. შემდეგი შეხვედრა უნდა შედგეს რამდენიმე დღეში მე რამდენადაც მაქვს ინფორმაცია. რაც შეეხება ირაკლი ალასანიას, ის ამის წინააღმდეგი არ ყოფილა, თქვენ შესაძლოა გქონდეთ ცოტა სხვა ინფორმაცია, ანუ იქ იყო მეორე წინადადებაც, რომ ბლოკი შექმნილიყო და ამ წინადადებაზე, დაბლოკებაზე თქვა ალასანიამ უარი. ამ ეტაპზე მას ეს არ მიაჩნია სწორად და, სხვათა შორის, არც ფორუმს. ალასანიას და ჩვენი პოზიციაა, რომ ექვსიანში საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებასთან დაკავშირებულ ბრძოლაში ჩაერთონ სხვა სუბიექტებიც, ამაში ჩვენი პოზიცია არის ერთნაირი. კონკრეტულად ვერ გეტყვით, შეიძლება ბურჯანაძეზეც, ქართულ პარტიაზეც და გაჩეჩილაძეზეც იყო ლაპარაკი. იყო საუბარი იმაზე, რომ ეს ექვსი პარტია ამ ბრძოლას არ ყოფნის. საუბარი იყო იმაზე, რომ უნდა იყოს უფრო ფართო ფრონტი, მოდით, ვიფიქროთ ამაზე, რომ ეს პროცესი გავხადოთ უფრო საყოველთაო. ვიმეორებ, როგორც ვიცი, ალასანია ეთანხმება ამას და შემდეგი შეხვედრა შედგება სწორედ ამ თემაზე, ანუ ვის როგორ წარმოუდგენია ეს. რაც შეეხება გულუას, ის აცხადებს, (ერთ-ერთ ინტერვიუში) რომ ამ პოლიტიკურ სუბიექტებთან, რომელიც არის დღეს ქართულ პოლიტიკურ სივრცეში, მას არ მიაჩნია სწორად თანამშრომლობა. არც ერთი შემოთავაზება ჩვენი მისამართით მისი მხრიდან არ ყოფილა.

***— ჩვენი წყაროც ამას ამბობს... მისი თქმით, ფორუმს გულუას მხრიდან მათი დაფინანსების თემის შემოგდება ხელისუფლებამ დაავალა, თორემ რეალურად ის თქვენს დაფინანსებას არც აპირებს...***

— ეს არის აბსურდის თეატრი, ეს სრული აბსურდია. რაც შეეხება იმას, რომ ფორუმი ხელისუფლების პროექტია, ძალიან სირცხვილია ამის თქმა, როგორ უნდა ვილაპარაკო ამაზე? ყველა დანარჩენ პარტიას ეტყობა მეტ-ნაკლებად როგორ ურთიერთობაშიც არის ხელისუფლებასთან. და რატომ უნდა ხდებოდეს ფორუმის ასოცირება ხელისუფლებასთან მაშინ, როცა მართლა არაფერი არ ეტყობა პარტიას ამის, თუ არ გინდა რაღაც დააბრალო ხომ.

„ახალი თაობა“ ჩვენი საქართველო-თავისუფალი დემოკრატების პრესამსახურის ხელმძღვანელს **ვაკო ავალიანსაც** ესაუბრა.

ვაკო ავალიანი: — შეხვედრა შედგა, თუმცა განსაკუთრებული მნიშვნელობის არ ყოფილა, ხშირად ხვდებიან ექვსიანში შემავალი პარტიის ლიდერები ერთმანეთს. საუბარი ბლოკზე ნამდვილად არ არის. არჩევნები რომ ჩატარდეს წესიერად, ეს ზოგადად ყველა პარტიას უნდა, ეს არის ყველას მიზანი და ამოცანა, მაგრამ გაფართოებაზე ნამდვილად არ არის საუბარი. არ ვიცი, მიროტაძემ რა გითხრათ, უფრო ფართო ფრონტის შექმნაზე საუბარი არ ყოფილა.

# სოსო ცისკარიშვილი: „2012 წლის არჩევნებზე იქნება დამოკიდებული, მიგვიღებენ თუ არა ნატოში“

ნათია ხურცილავა

**პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე მიიჩნევს, რომ ევროკავშირი სისტემურ პოლიტიკას ატარებს საქართველოსთან მიმართებით.**

**ცინცაძე ამბობს, რომ დღეს ევროკავშირს რომელიმე სახელმწიფოს მიმართ დამაიმედებელი დაპირებების მიცემა არ შეუძლია.**


სოსო ცინცაძე

## ინტერვიუ სოსო ცინცაძესთან

***— ბატონო სოსო, ვარშავაში აღმოსავლეთ პარტნიორობის სამიტზე რომ ვისაუბროთ, რა სიახლეებია ევროკავშირის კუთხით საქართველოსთვის?***

— არაფერი სიახლე არ არის. რაც იყო შარშან, შარშანწინ, ის არის ახლაც. კიდევ გვეტყვიან, კარგი ბიჭები ხართ, ბევრი რამე გააკეთეთ, მაგრამ გასაკეთებელი კიდევ ბევრია. რა პოლიტიკასაც ევროკავშირი ატარებდა ორი წლის წინ, იმავე პოლიტიკას ატარებს ახლაც. ეს უკვე სტანდარტია. ჩემთვის, მაგალითად, ცოტა შეურაცხმყოფელიც არის, არასერიოზულ ხასიათს იღებს. მაგალითად, ისევ ჩამოვა ნატოს გენარალური მდივანი რასმუსენი და გვეტყვის, ბევრი რამე გააკეთეთ, მაგრამ ნატოში მიღებისთვის კიდევ ბევრი რამე გაქვთ გასაკეთებელი. ასე შეიძლება უსასრულოდ გაგრძელდეს.

***— ღრმა და ყოვლისმომცველი ვაჭრობის შესახებ მოლაპარაკების დაწყებას რა მნიშვნელობა ექნება ჩვენი ქვეყნისთვის?***

— თავისუფალ ვაჭრობასთან დაკავშირებით ჩვენ პირობები გვაქვს წამოყენებული და ის პირობები უნდა შევასრულოთ. პირველ რიგში, უნდა აღდგეს ანტიმონოპოლიური სამსახური. ასევე დასაქმებულთა უფლებები უნდა განმტკიცდეს. ასეთი შრომის კოდექსით ძნელი წარმოსადგენია ამ მიმართულებით რაიმეს მიღწევა. რამდენიმე პირობა უნდა შევასრულოთ. ბენდუქიძეს არ უნდა ანტიმონოპოლიური სამსახურის აღდგენა.

***— რატომ?***

— არ ვიცი, ბენდუქიძემ თქვა, მექრთამეობას უწყობს ხელსო, მაგრამ ახლა ხომ აღარ არის კორუფცია. ხომ თავად ამბობენ, კორუფცია მოვსპეთო, მაშინ უნდა აღდგეს ანტიმონოპოლიური სამსახური. რატომ გვაქვს ასეთი დრაკონული შრომის კოდექსი, მრეწველები ტყემალაძე და მისი თანაპარტიელები კარგი ბიჭები რომ გამოდიან, ესენი იყვნენ პარლამენტში ამ შრომის კოდექსის მხარდამჭერები. ბიზნესის საკეთილდღეო კოდექსია და არა სახელმწიფოსი. დამსაქმებლისაა ყველა უფლება. როდესაც უნდა მოხსნის, გააგდებს, არც შვებულება და არც დეკრეტი. დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის სამართლებრივი ურთიერთობა ძალიან მნიშვნელოვანი მოთხოვნაა, რომელიც უნდა გაითვალისწინოს ხელისუფლებამ. სხვა პირობებიც არის, მაგრამ ერთ-ერთი მთავარი პირობები ეს არის.

***— კონკრეტულ სარგებელზე რომ ვისაუბროთ?***

— თავისუფალ ვაჭრობას, მაშინ აქვს დიდი სიკეთე, როდესაც საექსპორტო პოტენციალი გაქვს. თუ გასაყიდი არაფერი გვაქვს, მაშინ უცხოურ ბაზარსაც არაფერი ფასი არ აქვს.

***— ღვინო, მინერალური წყლები ხომ გვაქვს?***

— კი გვაქვს, მაგრამ ჩვენს მინერალურ წყლებსაც და ღვინოსაც ადამიანი უნდა შეეჩვიოს. ახალ კომპიუტერსა და მობილურს ადამიანი ადვილად ეჩვევა, მაგრამ ახალ მინერალურს — რთულად. როდესაც მთელი ევროპა „ვიშის“ და სხვა მინერალურ წყალს სვამს, უცებ მათთვის „ბორჯომი“ რთულად შესაგუებელია. ევროპაში ათასნაირი ღვინოა. მხოლოდ ერთი იტალიური „ჩინზანო“ ოთხნაირია. სხვათა შორის, ძალიან იაფი ღირს. ასევეა გერმანიაში. ცნობილი ესპანური „ხერესი“ რომ დავლიე, პირველად მხოლოდ ერთი ჭიქა მივირთვი, დანარჩენი გადავღვარე, რადგან მწარეა ჩვენთვის, შეუჩვევლები ვართ. ასევეა ევროპელისთვის ქართული ღვინო. ამიტომ არის, რომ რუსული ბაზარი ქართული მინერალური წყლებისთვის და ღვინოსთვის კარგი და მიმზიდველია. რუსები ასი წელი ეჩვეოდნენ და ბოლოს შეეჩვივნენ. ევროპა ძნელად ეჩვევა. სამწუხაროდ, ჩვენ არ გვაქვს ელექტროპროდუქცია, როგორც იაპონიას, ის რომ გავიტანოთ ევროპაში. ტექნიკა უფრო ადვილად შესაგუებელია, ვიდრე საკვები და მასთან დაკავშირებული პროდუქტები. მაგალითად, ბაყაყის ჭამას ქართველი 100 და 200 წელი არ ეყოფა. ბაზარს შესწავლა უნდა, საჭიროა ტრადიციების, კულტურის გათვალისწინება. რთული საკითხია, ამიტომ არის, რომ ასე ნელ-ნელა ზოზინ-ზოზინით მიდის.

***— პოლიტიკური ნაბიჯები რამდენად არის მნიშვნელოვანი. დემოკრატიული პროცესიის პროგრესი?***

— ევროკავშირში მიღება-არმიღების საკითხს, სამწუხაროდ, დღეს მხოლოდ დემოკრატიულობის ხარისხი არ განსაზღვრავს, რადგან დღეს ევროკავშირი კრიზისისაკენ მიდის. მორიგი ფინანსური კრიზისის მოლოდინშია ევროპა. ის, რაც მოხდა საბერძნეთში რთულად აისახება ევროკავშირში მიმდინარე პროცესებზე. ამ მიმართულებით რიგში დგას პორტუგალია და ესპანეთი.

***— ფინანსური კრიზისის რიგში?***

— დიახ. ახლა ირკვევა, რომ საბერძნეთს თურმე 400 მილიონი ევრო არ ეყოფა. საბერძნეთში ლამის რევოლუცია დაიწყოს, ხალხი პროტესტით გამოდის, სოციალური პოლიტიკის მიმართ. არასტაბილური სიტუაცია იქმნება. არასტაბილურ სოციალურ ფონში ფულის ჩადება არავის უნდა. შეიკრა ჯადოსნური წრე. ბრიუსელი სოციალური პროგრამების შემცირებას ითხოვს. ბრიუსელი პოლიტიკის გატარება რევოლუციური სიტუაციის ფასად უჯდება საბერძნეთს. ამ ვითარებაში ევროკავშირმა კიდევ ახალი წევრი რომ მიიღოს ან რაღაც გარანტიები მისცეს, ეს გამორიცხულია.

***— თუმცა, დიდი ბრიტანეთი მხარს გვიჭერს, გამოდის, ეს მხოლოდ დიპლომატიური განცხადებაა და სხვა არაფერი?***

— ზოგადად მხარს ყველა გვიჭერს. ეს უნივერსალური პოლიტიკაა. მაგალითად, ნატოში გაწევრიანებაზეც არავის ეუბნებიან, რომ შენ არასოდეს მიგიღებ ნატოშიო. ყველას ეუბნებიან: კარი ღიაა. ეს არის უნივერსალური პრინციპი, მაგრამ, ამ ღია კარში მაშინ შემოგიშვებ, როდესაც ყველა რეფორმას გაატარებ. დღეს გამორიცხულია, რომ საქართველოს ნატოში მიღების ვადა დაასახელონ.

***— რუსეთის ფაქტორის გათვალისწინებითაც? თბილისიდან 40 კილომეტრში რუსული ჯარი რომ დგას...***

— რასაკვირველია. თუ ევროპაში კრიზისი გამძაფრდა, რეცესია თუ დაიწყო, მაშინ ევროპა უფრო მეტად დამოკიდებული გახდება რუსეთზე. საბოლოო ჯამში, ამას მოჰყვება ენერგომატარებლებზე ფასების დაცემა, მაგრამ რეალობა სულ სხვა იქნება. ამდენად, პრიორიტეტი, ის რომ ნატოსთვის ან ევროკავშირისთვის პრიორიტეტი იყოს საქართველოს მიღება ანუ ამ საკითხის დაუყოვნებლივ გადაწყვეტა, ასე არ არის. ეს უფრო პერსპექტივის საკითხია, მომავლის საქმე. საქართველო აუცილებლად იქნება ევროკავშირის, ნატოს წევრი, მაგრამ როდის, ამას არავინ გვეუბნება.

***— 2012 წლის არჩევნებს აქვს მნიშვნელობა?***

— რასაკვირველია, აქვს. მართალია, 2012 წელს თუ დემოკრატიული არჩევნები ჩავატარეთ, ეს იმას არ ნიშნავს, რომ 2013 წელს ევროკავშირში მიგვიღებენ ან ნატოში, მაგრამ, თუ დემოკრატიული არჩევნები არ ჩავატარეთ, ეს ნიშნავს, რომ პერიოდი, რომელიც იქ მისასვლელად უნდა გავიაროთ, უფრო გახანგრძლივდება.

# როდის გველირსება ნორმალური საარჩევნო კოდექსი

## ხელისუფლება დემოკრატიულობას თამაშობს

**საპარლამენტო არჩევნებამდე სულ რაღაც ერთი წელი დარჩა. ყველა წესით, ეს პერიოდი დაძაბული და სანახაობებით აღსავსე უნდა იყოს, თუმცა, ოპოზიციური სპექტრი ჯერ ისევ ფიქრის რეჟიმშია. პიარტექნოლოგიებში დახელოვნებულ ნაცმოძრაობასთან ჭიდაობა იოლი რომ არაა, ეს არაერთმა არჩევნებმა დაამტკიცა, მით უმეტეს, რომ სახელისუფლებო პარტიას ძველუბურად მაგრად უკავია ხელთ ყველა საარჩევნო ბერკეტი ფინანსურ-ადმინისტრაციული რესურსებით და არც ერთის გაშვებას არ აპირებს.**

ნინო მეტრეველი

იმის ნაცვლად, რომ ოპოზიციას შტურმით გაეხსნა პოლიტიკური სეზონი, მთავარი თემა ჰიბრიდული სიმინდი და ამ სიმინდის ტაროების პარლამენტში ტრიალი გახდა. ნაციონალებმა „პიონერისგან“ მომზადებული მჭადიც კი გაასინჯეს ქრისტიან-დემოკრატებს.

საარჩევნო კოდექსის ცვლილებები და მასზე დებატები უკვე ანეკდოტურია. ოპოზიციის სერიოზული მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე, რაც, ასე თუ ისე, იქნებოდა საშუალება არჩევნების სამართლიანად და გამჭვირვალედ ჩატარებისა, ხელისუფლებამ უარი თქვა. ახლა კინკლაობა პარლამენტში იმაზეა, უნდა შეიქმნას თუ არა საარჩევნო სიების დამზუსტებელი სახელმწიფო კომისია. სიები რომ არჩევნების გაყალბების ჭიპია და ოცი წლის მანძილზე მისი დაზუსტება, არაერთი მცდელობის მიუხედავად, რატომ ვერ მოხერხდა, ეს ყველამ ვიცით. ახლა ხელისუფლება ოპოზიციას სთავაზობს, მოდით, კარდაკარ გადავამოწმოთ და დავაზუსტოთ ამომრჩევლის რაოდენობაო. ერთი შეხედვით, მომგებიანი წინადადებაა, მაგრამ ადგილობრივი არჩევნების წინ რომ დაითვალეს ცალ-ცალკე და ამაში თითეულმა ას-ასი ათასი ლარი მიიღო ბიუჯეტიდან, რა მერე? განახევრებულ საქართველოში 3 მლნ 600 ათასი ამომრჩეველი აღმოჩნდა. მერე კი ისლუკუნეს იმ ოპოზიციურმა პარტიებმა, ჩვენი აღმოჩენილი დარღვევები და შესწორებები ცესკომ არ გაითვალისწინაო, მაგრამ ესეც რა? ის, რომ ნაცმოძრაობა დიდხანს იწონებდა თავს არჩევნების დემოკრატიულობის ხარისხით, ოპოზიცია კი სიებზე ბევრს ველარ ლაპარაკობდა, რადგან პასუხისმგებლობა მათაც ჰქონდათ აღებული მათ გადამოწმებაზე. პასუხად მაშინვე იღებდა სამართლიან არგუმენტს, დაგეთვალათ მერე, ვინ გიშლიდათ, თუ არ დაითვალეთ, ის ფული სად წაიღეთო.

მაშინ ასი ათასი ლარის ხარჯვის ანგარიში მხოლოდ სალომე ზურაბიშვილმა წარადგინა. ზურაბ ნოღაიდელს დღემდე დასდევენ „კარდაკარის“ ფულის არგადახდის გამო მისი ყოფილი აქტივისტები.




საარჩევნო კოდექსზე მაშინაც მიდიოდა მოლაპარაკებები და მაშინაც დატოვა ხელისუფლებამ გაღიმებული მაგიდასთან მჯდომი ოპოზიცია. ახლაც გამოიყოფა ფული სიების გადამოწმების პროექტზე და პასუხისმგებლობაც ისევ დაეკისრებათ ამის მსურველ პოლიტიკურ ძალებს, რომელთა შორის ჯერჯერობით ქრისტიან-დემოკრატები, ახალი მემარჯვენეები, მრეწველები, ედპ, თორთლაძისა და დავითაიას პარტიები არიან.

ისინი თამამად აცხადებენ, რომ პასუხისმგებლიანი პოლიტიკური ძალები არიან და პასუხისმგებლობას იღებენ, ოღონდ, რისი იმედით, რთული სათქმელია. ის უკვე ცნობილია, რომ ერთი წლის შემდეგ ოპოზიცია თამამად კვლავ ვეღარ იწუწუნებს სიებზე, ხელისუფლება კი უფრო წელგამართული იქნება.

მთელ ამ უინტერესო და პრაქტიკულად არაფრისმომცემ ბაკქანალიას პოლიტიკური გარიგების სუნი დაჰკრავს. ცოტა ღიმილისმომგვრელია ახალი მემარჯვენეების მხრიდან ქადილი, რომ ცოცხალი თავით არ დათმობენ საარჩევნო კოდექსიდან ვიდეოთვალისა და მარკირების წესის ამოღებას. მამუკა კაციტაძის პრეტენზიულ ტონს, ხელისუფლებას ამის უფლებას არ მივცემთო, მაშინვე მოჰყვა პავლე კუბლაშვილის დამთმობი ტონი, მზად ვართ, ამ პუნქტებზე ვისაუბროთო. ღმერთო, შეგცოდე და თითქოს წინასწარ არიან მოლაპარაკებულები, მოდი, ჩვენ ამ მუხლებს ამოვიღებთ, მერე თქვენ იხმაურეთ, მერე ჩვენ დავთმობთ და თქვენი საქმეც გაკეთდებაო. ეს მხოლოდ ეჭვია. სიმართლე კი ისაა, რომ გაზაფხულზე საბურთალო-ვაკის გზაზე რომ შეხვდნენ ერთმანეთს ერთ-ერთ საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილას კუბლაშვილი და კაციტაძე „რვიანის“ საარჩევნო თუ სხვა საქმეების მოსაკვარახჭინებლად, მერე ახლებმა ქრისტიან-დემოკრატებთან ერთად გააექვსიანეს ლეგენდარული რვიანი. ვიდეოთვალის, მით უმეტეს მარკირების წესის დაბრუნებაზე თვალების ბრიალი მხოლოდ ჭიქაში ხელოვნურად ატეხილი ქარიშხალია.

ვიდეოთვალი ბევრ საარჩევნო უბანში არც იდგა ან არ ფუნქციონირებდა და, თუ ფუნქციონირებდა, მისგან ჩანაწერის მიღება პრაქტიკულად შეუძლებელი იყო. 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნებისას მაშინდელმა სახალხო დამცველმა სოზარ სუბარმაც ვერ მიაღწია ვიდეოთვალის ჩანაწერების მიღებას, არაერთგზის მოთხოვნის მიუხედავად. სამაგიეროდ კარგად გამოიყენეს ის ნაცებმა ხალხის დასაშინებლად რეგიონებში, თუ ჩვენ არ მოგვცემთ ხმას, ეს ვიდეოთვალი დააფიქსირებს და მერე თქვენს თავს დააბრალეთო.

მარკირებაზე ლაპარაკი საერთოდ არ ღირს. საარჩევნო უბნებში ამას უფრო თამაშის სახე ჰქონდა. ზოგი ამომრჩეველი თვითონ ამბობდა უარს მის დასხმაზე, ზოგს იქით არ ასხამდნენ და ამოწმებდნენ.

ამ უსუსურ პუნქტებზე ყურადღების გადატანით ჩრდილში მოექცა კოდექსში ახალი ჩანაწერი, რომელიც ოპოზიციის მოსყიდვის მუხლადაა ცნობილი და ხუთპროცენტ ბარიერგადალახული პოლიტიკური ძალა, რომელიც წინასწარ გააკეთებს განაცხადს, ერთჯერადად მილიონ ლარს მიიღებს საარჩევნო კამპანიის დასაფინანსებლად, აქედან სამასი ათას ლარს — სატელევიზიო რეკლამისთვის, ანუ მესამედი პირდაპირ წავა სატელევიზიო მედიაში, რომელსაც ხელისუფლება აკონტროლებს. სწორედ ამ მილიონ ლარად გაყიდვას სდებს ბრალად ოპოზიციის ნაწილი ქრისტიან-დემოკრატებს და ახალ მემარჯვენეებს. ორჯერ გაიზარდა საარჩევნო სუბიექტებისადმი შემოწირულობათა ზღვარი. ბევრ ქვეყანაში ეს არის იმ ფულის ლეგალიზების, გათეთრების საშუალება, რომლის გამოჩენაც პარტიებს არ სურთ. არც ეს მუხლი ასხამს წყალს ოპოზიციის წისქვილზე. ჩვენთან ვის სწირავენ არჩევნების დროს ფულს, ამას დიდი გამოცნობა არ უნდა. ხელისუფლებასა და კიდევ ოპოზიციის იმ ნაწილს, რომელზეც ხელისუფლება მისცემს „დაბროს“.

ოპოზიციის დიდ იმედს საარჩევნო კოდექსის ისე შეცვლაზე, რომელიც არჩევნების სამართლიანობას უზრუნველყოფს, სასიკეთო პირი არ უჩანს. უფრო პოლიტიკურ თამაშს ჰგავს. ხელისუფლება ამით დემოკრატიულობანას თამაშობს, რომელსაც მისგან ყველა საერთაშორისო დონეზე მუდმივად მოითხოვენ, ოპოზიციის ნაწილი კი ამ თამაშში ჩართვით ხეირს ელოდება, სავარაუდოდ, მომავალ პარლამენტში ადგილებს. თუმცა, ისევ მათი ყოფილი თანამოაზრეები ამბობენ, რომ „გადამგდები“ ხელისუფლება პირობას არ შეასრულებს.

# რაში ხარჯავს „პიკ“-ი 18 მილიონს

## „პირველი არხის“ შენობა იყიდება, „მეორე არხი“ კი ქუთაისში გადადის?

შალვა ჯოხა ე

**საზოგადოებრივი მაუწყებელი ახალ სეზონს რამდენიმე მნიშვნელოვანი სიახლით შეხვდა. მთავრობამ მას საკმაოდ სოლიდური თანხა ჩამოაჭრა, თუმცა რუსულენოვან პიკ-ს, პირიქით, დაფინანსება გაუზარდა. მოგეხსენებათ, პიკ-იც საზოგადოებრივი მაუწყებლის ერთ-ერთი არხია. ასევე, სამომავლოდ, ხელისუფლების კიდევ ერთი წამოწყების გამო, მეორეარხელებს არჩევანის გაკეთება მოუწევთ — ან ქუთაისში გადაბარგდნენ, ან სამსახური დატოვონ.**



ცოტა ხნის წინ კი გავრცელდა კულუარული ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ საზოგადოებრივი მაუწყებლის საკმაოდ პრესტიჟულ ადგილას მდებარე შენობას გაყიდვას უპირებენ. ეს ინფორმაცია მით უფრო სარწმუნოა, რომ შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე უზარმაზარი მშენებლობა მიმდინარეობს და ამ ადგილს გაცილებით დიდი ფასი ედება. ითქვა ისიც, რომ, მაუწყებელი ქალაქის ცენტრიდან საკმაოდ მოშორებით უნდა გადავიდეს. არხის ხელმძღვანელობამ ეს ინფორმაცია ფაქტობრივად, დაადასტურა. ოფიციალური ინფორმაციით, მისამართის შეცვლის მიზეზად, შესაძლოა, შენობის ავარიულობა მართლაც იქცეს. თუმცა, საამისოდ ჯერ თანხები ვერ გამოიძებნა. თუკი ახლა არ ჰყოფნით თანხა, მომავალში, ალბათ, უფრო გაუჭირდებათ, რადგანაც მაუწყებლის ბიუჯეტი შეთხელდა. თუმცა, არაა გამორიცხული, მალევე გამოჩნდეს ინვესტორი, რომელიც მაუწყებლის შენობას დაეპატრონება...

საზოგადოებრივი მაუწყებლისათვის თანხის ჩამოჭრას რაც შეეხება, მთავრობის გადაწყვეტილებით, ფინანსთა სამინისტრომ საზოგადოებრივ მაუწყებელს ბიუჯეტი 4 900 000 ლარით შეუმცირა და ეს თანხა მთავრობის სარეზერვო ფონდში გადაამისამართა.

სარეზერვო ფონდიდან ერთი მილიონი ლარი ისევ საზოგადოებრივ მაუწყებელს დაუბრუნდება, თუმცა ეს თანხა მაუწყებლის შემადგენლობაში შემავალი კონკრეტული შპს-სთვის, „ქეი 1“-სათვის არის განკუთვნილი. ცნობისათვის, „ქეი 1“ მაუწყებლის რუსულენოვან არხ „პირველ კავკასიურს“ (პიკ-ს) მართავს. ამ ცვლილებით, „პირველი კავკასიურის“ ბიუჯეტი 2011 წელს სულ 18 მილიონი ლარი იქნება.

მართალია, პიკ-ის დაფუძნებას საკმაოდ დიდი საერთაშორისო სკანდალი მოჰყვა, თუმცა მას მერე არხზე მრავალი სიახლეა.

თავს დროზე, სამაუწყებლო ბაზარზე „ქეი 1“-ის გამოჩენასაც დიდი ხმაური ახლდა თან. კომპანიის 60%-ს რობერტ პარსონსი ფლობს, რომელიც მართვის უფლების გადაცემასთან ერთად „პიკის“ გენერალური დირექტორი გახდა. რობერტ პარსონსი ბრიტანეთის მოქალაქეა, თუმცა ქართველების სიძე გახლავთ, რეჟისორ ნინო კირთაძის მეუღლეა. ამ წყვილის დასახასიათებლად ისიც უნდა ითქვას, რომ მათ საკმაოდ თბილი ურთიერთობა აქვთ მიხეილ სააკაშვილთან. თუმცა, ამ დეტალის აღნიშვნასთან ერთად, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ პარსონსი ნამდვილი პროფესიონალია, სხვადასხვა დროს მუშაობდა „ბიბისის“ რუსულენოვან და სხვა საერთაშორისო სამსახურებში, ასევე, იყო „ფრანს 24“-ის საერთაშორისო ამბების რედაქტორი, მუშაობდა რადიო „თავისუფლების“ ქართულ სამსახურში. კომპანიის მეორე მესაკუთრე, 40% წილის მფლობელი ეკატერინე კოტრიკაძე არხის საინფორმაციო სამსახურს ხელმძღვანელობს. პიკამდე კოტრიკაძე ტელეკომპანია „ალანიას“ წამყვანი იყო, ასევე მუშაობდა „არ-ტი-ვი-აი“-სა და „ეხო მასკვის“ კორესპონდენტად.

კოტრიკაძე-პარსონსი ქართულ სამაუწყებლო ბაზარზე ახალი კომპანიით ერთი წლის წინ შემოიჭრნენ, როცა მოულოდნელად „პირველი კავკასიურის“ მართვის უფლებით შპს „ქეი 1“ სათვის გადაცემის შესახებ გახდა ცნობილი. ეს კომპანია კოტრიკაძემ და პარსონსმა შარშან, 6 ივლისს დააფუძნეს (ორგანიზაციის იურიდიული მისამართი კოტრიკაძის საცხოვრებელია) და რამდენიმე დღეში, 12 ივლისს, სსიპ საზოგადოებრივ მაუწყებელს შპს „ქეი 1“-თვის მესამე არხის მართვის უფლებით გადაცემასთან დაკავშირებით წინადადებით მიმართეს. ახლად დაფუძნებულმა კომპანიამ მთავრობისა და მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს გადაწყვეტილებებით, პიკ-ის მართვის უფლება მარტივად მიიღო. შარშან შპს „ქეი 1“-ს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი 7 მილიონი ლარი გადაეცა. წელს კი, როგორც აღვნიშნეთ, ბიუჯეტი მნიშვნელოვნად გაეზარდა.

„ქეი 1“- მა მართვის უფლებების მიღებასთან ერთად, აიღო ვალდებულება, რომ კვარტალში ერთხელ სსიპ „საზოგადოებრივ მაუწყებელს“ მის მიერ განხორციელებული საქმიანობის შესახებ სრულ ანგარიშს წარუდგენდა. ამით, „ქეი 1“-ის საქმიანობა გამჭვირვალე იქნებოდა, თუმცა ჯერჯერობით საზოგადოებისთვის არც ერთი ანგარიში არ არის ხელმისაწვდომი, სადაც პიკ-ის ხარჯები იქნება ასახული. საჯარო რეესტრის მონაცემებით, 2011 წლიდან შპს „ქეი 1“ საქართველოს ბანკის კრედიტორია. კომპანიას არსებული და სამომავლო მთელი მოძრავი ქონება დაგირავებული აქვს. აღსანიშნავია, რომ მალე პარსონსი არხს დატოვებს და მას ხელმძღვანელად კოტრიკაძე ჩაენაცვლება. ამ ახალგაზრდა ხელმძღვანელს მოადგილედ ქართულ ტელემედიაში ცნობილი ისეთი სახე ეყოლება, როგორიც ალეკო ფარულავაა. ცხადია, ასეთი მმართველების ხელში პიკ-ი ხელისუფლების რუპორი იქნება და არხის მესვეურთა დაპირება იმის შესახებ, რომ ჟურნალისტების სარედაქციო დამოუკიდებლობა შენარჩუნდება, კითხვის ნიშნის ქვეშ დადგება.

ოპოზიციისათვის დათმობილი „მეორე არხი“ კი, ფაქტობრივად, დედაქალაქიდან გადააქვთ. ახალი პარლამენტის გახსნასთან დაკავშირებით, ეს არხი ქუთაისში გადაინაცვლებს. საზოგადოებრივი მაუწყებლის ხელმძღვანელის, გია ჭანტურიას თქმით, იქიდან გამომდინარე, რომ „მეორე არხი“ საპარლამენტო ტელევიზიაა, მისი ძირითადი ბირთვი 2012 წლიდან ქუთაისში იმუშავებს, თბილისში კი თანამშრომელთა შეთხელებული შემადგენლობა დარჩება.

„ახალი პარლამენტის გახსნასთან დაკავშირებით ტელევიზიას ბევრად მეტი სამუშაო სწორედ ქუთაისში ექნება, ამიტომ „მეორე არხის“ ძირითადი როგორც ტექნიკური, ისე სარედაქციო ნაწილი ქუთაისში განთავსდება. დედაქალაქში არსებულ პოლიტიკურ პარტიებს კი „მეორე არხის“ თბილისში დარჩენილი შემადგენლობა მოემსახურება. ვისაც სურვილი ექნება, ქუთაისში წავა, ხოლო თუ არ მოინდომებენ, ტელევიზია ადგილობრივი კადრებით დაკომპლექტდება“, — აცხადებს ჭანტურია.

# დავით გულუა: „არავის მივცემ იმის უფლებას, რომ სოხუმის დაცემა სამხედროებს დააბრალოს!“

## რატომ არ ჩააბარა შევარდნა ემ გაგრის მიმართულება გია ყარყარაშვილს

გულიკო ბალა ე

**გენერალი დავით გულუა აცხადებს, რომ სოხუმის დაცემას წინ უ ლოდა 1882 წლის 2 ოქტომბერს გაგრის დაცემა. როგორც 2§ სექტემბრის სოხუმის დაცემა გამოიწვია 2§ ივლისის ხელშეკრულებით ქართული ჯარის განიარაღებამ, ასევე გაგრის დაცემა გამოიწვია ქართველების განიარაღებამ და ე.წ. სამშვიდობო პროცესმა.**



დავით გულუა

### ინტერვიუ გენერალ დავით გულუასთან

***— ბატონო დავით, ხვდებოდით, რომ აფხაზეთის ომის დროს მტერი 27 ივლისის ე.წ. სამშვიდობო შეთანხმებას დაარღვევდა?***

— მხოლოდ კი არ ვხვდებოდით, ტელევიზიით გამოვდიოდით და ყველაფერს ხმამაღლა ვაფიქსირებდით.

***— ალბათ ამის თაობაზე შევარდნაძეს საქმის კურსში პირადად აყენებდით?***

— მეტსაც გეტყვით — მე და თემურ ხევსურიანმა (თემურ ხევსურიანი ახლაც გენერალია და მუშაობს) 13 სექტემბერს შევარდნაძეს დოკუმენტი გადავეცით. ჩავიწერეთ ფაქტი, როცა რუსი მაღალჩინოსანი სამხედრო ე.წ. სამშვიდობო ძალებს აძლევდა ბრძანებულებას, რომ კონფლიქტის დაწყების შემთხვევაში ჩვენს წინააღმდეგ ებრძოლათ. ეს იყო მნიშვნელოვანი მტკიცებულება, სადაც მთლიანად იყო ჩაწერილი რუსი სამხედრო პირის ბრძანება და საუბარი ე.წ. სამშვიდობო ძალებთან. ზუსტად ჩანაწერის მიტანის შემდეგ გაიტანეს მთელი არტილერია. ასე რომ, ყველამ ყველაფერი იცოდა.

***— როგორ, 13 სექტემბერს თქვენ აცნობეთ შევარდნაძეს, მოსალოდნელი იყო ხელახალი შემოტევა და არტილერია მაინც გამოიტანა?***

— შევარდნაძესაც ვაცნობეთ და საქართველოს მთელ ხელმძღვანელობას, რომ იგეგმებოდა შემოტევის დაწყება, მაგრამ არტილერია მაინც გამოიტანა. 13 სექტემბერს შევარდნაძეს შემოტევის გეგმის ჩანაწერი რომ დავუდეთ, მეორე დღეს დარჩენილი შეიარაღებაც თვითმფრინავებში დატვირთეს და ისე გამოიტანეს.

***— რით ხსნიდა შევარდნაძე ამ სიტუაციაში დარჩენილი იარაღის გამოტანას?***

— ჰკითხეთ, რით ხსნიან. ახლა დაიწყებენ, იქ მივედით და 17 კაცი, სადაც უნდა მდგარიყო და არც ერთი კაცი არ დაგვხვდაო. როცა მთელი არტილერიით, ავიაციით, ზღვით გიტევენ და იწვება ყველაფერი, იქ კაცი გაგიჩერდება? ვის უნახავს ასეთი ომი. მე დავით გულუა, აფხაზეთის შს მინისტრი ვამბობ, რომ მეც ვარ დამნაშავე, მეც არ გავაკეთე ის, რაც გასაკეთებელი იყო. მეტი უნდა გამეკეთებინა. ყველამ უნდა აიღოს თავის თავზე თავისი წილი პასუხისმგებლობა. ისე გამოჰყავთ, თითქოს ვინც დაიღუპა, ისინი იყვნენ მტყუანები. გამოხტება ვიღაც ავანტიურისტი (ვინ გრანტებს ეძებს და ვინ ხვალინდელ მომავალს) მიადგება მეომრებს, ასე არ შეიძლება.

***— თქვენ რის გაკეთება შეგეძლოთ და არ გააკეთეთ?***

— ალბათ, უნდა დაგვეპატიმრებინა ესენი, ყველა მოღალატე და ქვეყანა დამშვიდდებოდა.

***— შევარდნაძეც?***

— შევარდნაძე, არ ვიცი, საერთოდ ვამბობ.

***— აბა, მაშინ ვინ უნდა დაგეპატიმრებინათ? მთავარი შევარდნაძე იყო.***

— შევარდნაძის დაპატიმრება არ შეიძლებოდა. არ შეიძლება ჯარი მთავარსარდლის წინააღმდეგ გამოდიოდეს. ეს არც ერთ ფორმაციაში არ შეიძლება. ჯარი მთავარსარდალს უნდა ემსახუროს. არ შეიძლება მთავარსარდლის წინააღმდეგ წასვლა.

***— თუ თვითონ მთავარსარდალი ღალატობს ქვეყანას და ეს აშკარაა, მაშინ?***

— მაშინ საზოგადოებამ უნდა გამოუტანოს განაჩენი.

***— მოქმედ მავარსარდალს საზოგადოებამ განაჩენი როგორ უნდა გამოუტანოს? მოქმედს კი არა, აგერ გადაყენებული კაცს ვერაფერს ეუბნებიან.***

— არის და იყოს. კი არ ვერჩი, რას ზიხარ კრწანისში-მეთქი. უკეთესი იქნება, შევარდნაძემ თქვას, რომ სექტემბერი მისი დიდი შეცდომა იყო.

***— სასამართლო რომ გაიმართოს და დაგკითხონ, შევარდნაძეზე რას იტყვით?***

— სასამართლო დაგვიანებულია. სასამართლო 15 წლის წინ უნდა გამართულიყო. ვიღაც-ვიღაცებს ვეტყვი, ნუ მოეკიდებიან ამ თემას, როგორც საკუთარ ბოსტანს.

***— 15 წლის წინ შევარდნაძე იყო, სასამართლო როგორ გაიმართებოდა. წაგებული ომის მთავარსარდალს პასუხისმგებლობა შემდგომმა ხელისუფლებამაც კი არ მოკითხა.***

— რა ვუყოთ. აქ ბევრი ასპექტია. არ ვამბობ, არავითარი პრობლემები არ იყო და ვიღაცამ ძალით გააფუჭა ყველაფერი. არ უნდათ თავის მართლება. ეს გამაღიზიანებელია.

***— ხშირად საუბარია იმაზე, რომ ჟიული შარტავას გადარჩენა შეიძლებოდა.***

— ამაშიც გამოჩნდა მეორე მხარის სახე. ერთად იყავი კომისიაში, ერთად შრომობდი. შემდეგ ღალატით თავს დაესხი, ცოცხალი აიყვანე და დახვრიტე. ის იყო მშვიდობიანი პიროვნება, დახვრეტა როგორ შეიძლებოდა. დარჩენილ ძალას არ ჰქონდა იმის საშუალება, შეეტია და სოხუმი ხელმეორედ აეღო. არ იყო ამის მორალურ-ფსიქოლოგიური მდგომარეობა და არც პირადი შემადგენლობა. მას ვერავინ დაეხმარებოდა. მინისტრთა საბჭო მდებარეობს სოხუმს ცენტრში. იმ დროისთვის სოხუმი მთლიანად ალებული იყო. ერთი ხიდი იყო დარჩენილი და ის ხიდით იბომბებოდა. ბომბები სეტყვასავით მოდიოდა. როგორც გადავიარეთ არ ვიცი. ასეთი სიტუაციაში უვნებელი რომ გადარჩე, ამის ასიათასიდან ერთი შესაძლებლობაა. რა ძალებით მიეხმარებოდი. რაღაც მომენტამდე დახმარება შეიძლებოდა. ძალიან ბევრმა გამოაღწია, მაგრამ აქ საუბარია იმ მომენტზე, როცა გზა ჩაიკეტა. ჟიული არ გამოვიდა. ძნელია იმის წარმოდგენა, კაცს ეფიქრა იმაზე, რომ მას რაიმე ზიანს მიაყენებდნენ. ვინც მართლა მშვიდობის მომხრე იყო და ყველაფერი გააკეთა მშვიდობისთვის, ის კაცი დახვრიტეს, ხოლო ვინც ყველა უბედურება გააკეთა, მას კატარღა გამოუგზავნეს. სად არის აქ ლოგიკა? მოეცათ ის ძალა, რომელიც მქონდა განიარაღებამდე და შემოტევის დაწყებამდე, ჟიულისაც გავათავსუფლებდი და ქალაქის ნახევარსაც. ჯარის განიარაღება და სექტემბრის ტრაგედია საქართველოს იმჟამინდელი ხელისუფლების დანაშაული იყო.

***— სოხუმის დაცემას წინ უძღოდა გაგრის დაცემა...***

— გაგრის დაცემა იყო კლასიკური მაგალითი იმისა, თუ როგორ მოახერხა საქართველოს ხელისუფლებამ გაგრის ჩაბარება.

***— ჩაბარებაზეა აქ საუბარი და არა დაცემაზე?***

— დიახ, გაგრა ჩააბარეს. აბა, რა ჰქვია იმას, რაც გააკეთეს? ერთი მხარე შეიარაღებული იყო, მეორე კი განიარაღებული.

***— ქართველი მოსახლეობა განაიარაღეს?***

— გაგრაში ქართული ჯარი განაიარაღეს. გაგრიდანაც გამოიტანეს იარაღი. იქაც სამშვიდობო პროცესი იყო. გარდა ამისა, ჯარს საერთო ხელმძღვანელი არ დაუნიშნეს. მახსოვს დეპუტატი გაგრიდან ჯონი ლატარია იხვეწებოდა, ხალხი არ ხართ, ჯარს ერთი უფრო დაუნიშნეთო. სუფრაზე ხუთი კაცი რომ ჯდება თამადას ირჩევენ. შეიძლება 3 ათასი კაცი იჯდეს და უთხრა, მიდით, რაც გინდათ ის გააკეთეთო? ამას შეცდომა რანაირად უნდა დაარქვა?

***— ყველაფერი შეგნებულად კეთდებოდა?***

— ყველაფერი გაკეთდა, რომ გაგრა

გაგრძელება მე-11 გვერდზე

# ბიძინა კვერნაძეს წიგნი მიუძღვნეს

ეკა ირემაშვილი

**თიბისი გალერეამ კულტურული ღონისძიებების მორიგი სეზონი გახსნა და პირველი ღონისძიება კომპოზიტორ ბიძინა კვერნაძეს მიუძღვნა. თიბისი გალერეაში შეკრებილ საზოგადოებას სანდრო ყანჩელის ავტორობით შედგენილი კრებული „ხანდაზმული ვარ, ხან არა..." წარედგინა. წიგნი რევაზ გაბრიაძის ილუსტრაციებით არის გაფორმებული. კრებულში შესულია ბიძინა კვერნაძის ცხოვრების ეპიზოდები, უცნობი ფრაზები და იუმორისტული გამონათქვამები.**



ბიძინა კვერნაძის წიგნის წარდგენა კონცერტით დაგვირგვინდა, რომელზეც კომპოზიტორის სიმღერები ქართული ესტრადის დედოფალმა ნანი ბრეგვაძემ შეასრულა. მასთან ერთად ეკა მამალაძემ და ნატალია ქუთათელაძემაც იმღერეს. კრებულში შესულია ბიძინა კვერნაძის ცხოვრების ეპიზოდები და იუმორისტული გამონათქვამები. კომპოზიტორისადმი მიძღვნილი წიგნის წარდგინებას მისი ოჯახის წევრები, მეგობრები, კომპოზიტორები, მომღერლები და მისი შემოქმედების თაყვანისმცემლები ესწრებოდნენ.

ბიძინა კვერნაძე გასული წლის ზაფხულში, 82 წლის ასაკში გარდაიცვალა. კომპოზიტორის 80 წლის იუბილე კი სხვადასხვა კულტურული ღონისძიებებით აღინიშნა. საიუბილეოდ გამოიცა სქელტანიანი წიგნიც, რომელიც მთლიანად კომპოზიტორის შემოქმედებას მიეძღვნა. ბიძინა კვერნაძემ 30-ზე მეტი ფილმისა და სპექტაკლისთვის დაწერა მუსიკა, რომელიც დღემდე პოპულარულია.

როგორც წიგნის ავტორმა სანდრო ყანჩელმა განაცხადა, ამ წიგნზე მუშაობა მან ჯერ კიდევ ბიძინა კვერნაძის სიცოცხლეშივე დაიწყო, თუმცა მის დასრულებას კომპოზიტორი ველარ მოესწრო. მასალა, რომელიც კრებულშია შეტანილი, ავტორმა ოჯახის წევრებთან ერთად შეარჩია და სწორედ მათთან ერთად გადაწყვიტა, რა შეეტანა წიგნში და რა დაეტოვებინა კრებულს მიღმა.

**ნუგეშა მესხი, ბიძინა კვერნაძის მეუღლე:**

— ჩემი მეუღლე უსაზღვრო იუმორით იყო დაჯილდოებული. ჩვენ ხანგრძლივი მუშაობის შემდეგ წარვადგინეთ ქართველი საზოგადოების წინაშე წიგნი, რომელშიც ბიძინას იუმორია თავმოყრილი. არაჩვეულებრივი საღამო იყო, მისმა კოლეგებმა გაიხსენეს ბიძინა, იმღერეს მისი სიმღერები. ძალიან დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ყველას, ვინც ბიძინას წიგნის გამოცემაში დაეხმარა. ვფიქრობ, მან საზოგადოებას არა მარტო თავისი ნაწარმოებებით შეაყვარა თავი, არამედ თავისი იუმორით. ეს წიგნი ჩემი ცხოვრების ნაწილია, უფრო სწორად, მთელი ჩემი ცხოვრება, რადგან ყველა ეპიზოდი ჩემს თვალწინ მოხდა. სანამ ბიძინა ცოცხალი იყო და მის გვერდით ვიყავი, ეს ყველაფერი ყოველდღე და ყოველ წამს ხდებოდა. ბევრი ითხოვდა, გამოცემულიყო ასეთი სტილის წიგნი ბიძინაზე და სანდრომაც ეს წიგნი სწორედ რომ დროულად გამოსცა.

**სანდრო ყანჩელი, წიგნის ავტორი:**

— ამ წიგნზე მუშაობა ჯერ კიდევ კომპოზიტორის სიცოცხლეში დავიწყე. ერთად ვარჩევდით კრებულში შესატან მასალას. სამწუხაროდ, ბატონი ბიძინა გარდაიცვალა და კრებულზე მუშაობა უკვე მის ოჯახის წევრებთან ერთად გავაგრძელე. ამ წიგნზე დაახლოებით 2 წელი ვიმუშავე. ეს ყველაფერი ჯერ კიდევ ბატონი ბიძინას ცხოვრების პერიოდში დაიწყო და ჩაისახა. მასალის გადარჩევა ბატონი ბიძინას თანდასწრებით ხდებოდა. სამწუხაროდ, მე ვერ მოვასწარი ამ წიგნის გამოცემა მისი ცხოვრების პერიოდში. არავინ ველოდით, რომ ასე უეცრად დაგვტოვებდა. მაგრამ როგორც ამბობენ, იქაც მიუვიდოდა ამბავი, იმის თაობაზე, რომ საზოგადოება კმაყოფილი დარჩა ამ გამოცემით. ძალიან დიდი იყო მოთხოვნა, რომ ბიძინას წიგნი გამოცემულიყო. მართლა დიდხანს ვკრებდი მასალას და ოჯახთან შეთანხმებით მას საბოლოო სახე მივეცით.

**ნანი ბრეგვაძე, მომღერალი:**

— ბიძინას თავისი სტილი ჰქონდა. თან ისეთი სტილი, რომელიც სხვა არავის გააჩნდა. თავისი ჰარმონიულობით ატყვევებდა მსმენელს. მთელი ჩემი ცხოვრება და შემოქმედების საუკეთესო წლები სწორედ ბიძინა კვერნაძესთან მაქვს გატარებული. ბიძინას იუმორი ყველასთვის კარგად იყო ნაცნობი. წიგნში ძალიან ბევრი რამე არ არის შესული, ბიძინა კვერნაძე ყოველთვის ხუმრობით საუბრობდა და ყოველივე ამის შეტანა წიგნში წარმოუდგენელია. მე მასთან ყოველი შეხვედრა მაბედნიერებდა. ძალიან ძნელია ბიძინაზე ერთი სიტყვით რამის თქმა, ძალიან ბევრ რამეზე შეიძლება ისაუბრო. ის იყო როგორც დიდებული კომპოზიტორი და ხელოვანი, ის ასევე, დიდებული ადამიანიც გახლდათ. ის ყოველთვის ხუმრობით საუბრობდა და ყოველივე ამის შეტანა წიგნში წარმოუდგენელია. სამწუხაროდ, წიგნი წაკითხული არ მაქვს, მაგრამ ვიცი, რომ ჩემი ერთ-ერთი საყვარელი სამაგიდო წიგნი გახდება. ერთი სული მაქვს, როდის წავიკითხავ, ძალიან მაინტერესებს, რა არის შეტანილი მასში. ძალიან კარგი გამოცემაა. ამ წიგნით ჩემთვის ბიძინა კიდევ ერთხულ გაცოცხლდება. ერთი ამოსუნთქვით წავიკითხავ. დარწმუნებული ვარ, ვისიამოვნებ კიდევ ერთხელ მისი სხარტი გამონათქვამებით. ძალიან ძნელია ბიძინაზე რამე ერთი სიტყვით თქვა, მაგრამ მასზე ძალიან ბევრის ლაპარაკიც არ შეიძლება. ბიძინა იყო დიდი კომპოზიტორი და დიდებული პიროვნება.

**გია ყანჩელი, კომპოზიტორი:**

— მე მხვდა ბედნიერება, ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნით ვყოფილიყავი ბიძინას გვერდით. ის იყო ჩემი მასწავლებელი, არა მარტო კონსერვატორიაში, არამედ მის გარეთაც. არ მახსოვს, დამეწეროს ნაწარმოები და მისთვის არ მენახვებინოს. არ მიმეღოს შენიშვნები. მე მის მელოდიებს ღვთაებრივს ვუწოდებ. ბიძინა დაჯილდოვებული იყო განსაკუთრებული ნიჭით. ჩვენ ბევრი კომპოზიტორი გვყავდა, ვინც ბრწყინვალედ წერდა სიმღერებს, მაგრამ ბიძინა იყო აბსოლუტურად განსხვავებული, მე ვიტყოდი, თავისი პოეზიით.

**დავით ევგენიძე, კომპოზიტორი:**

— ბატონი ბიძინა ჩემი უსაყვარლესი კომპოზიტორია. მისი მუსიკა ბედნიერს მხდის. სასიამოვნოა, რომ ის ასეთივე კარგი იყო იუმორში, ურთიერთობაში და ეს წიგნი არის ერთ-ერთი პატარა შეხება ბიძინას ნიჭიერებასთან. დიდი მადლობა სანდროს, რომ ამ დიდი კომპოზიტორის იუმორი და მისი ცხოვრების უმნიშვნელოვანესი ეპიზოდები წიგნად აკინძა.

**თამარ კირვალიძე, თიბისი ბანკის წარმომადგენელი:**

— თიბისი გალერეამ მორიგი კულტურული სეზონი გახსნა და გახსნა მართლაც რომ გენიალური ქართველი კომპოზიტორის, ბატონი ბიძინა კვერნაძის წიგნის პრეზენტაცია-კონცერტით. მსგავსი საღამოების მოწყობა ჩვენი პრიორიტეტია. ჩვენ ძალიან ბედნიერები ვართ, რომ ხელს ვუწყობთ ასეთი ხელოვნების საღამოების და მათი ნამუშევრების პრეზენტაციების მოწყობას. ბატონი ბიძინას საღამო ჩვენთან უკვე მეორედ მოეწყო და ვფიქრობ, მომავალშიც ხშირად გაგრძელდება. ეს არ იყო უბრალოდ წიგნის წარდგინება, ეს იყო ულამაზესი პრეზენტაცია-კონცერტი და წიგნის ორიგინალური წარდგინება ქართველი საზოგადოებისთვის. სიმბოლურია, რომ ჩვენი ბანკის კულტურული სეზონი ქართული ესტრადის დედოფალმა ნანი ბრეგვაძემ გახსნა.

# ნიაზ დიასამიძე ვარდების მოედანზე იმღერებს

ეკა ირემაშვილი



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი თბილისის მერიის მხარდაჭერით პირველკურსელებისთვის ვარდების მოედანზე გრანდიოზულ გალაკონცერტს აწყობს, რომლითაც მათ სწავლის დაწყებას მიულოცავს.

პირველკურსელებისთვის გამართულ ღონისძიებაში ნიაზ დიასამიძის, თსუ „გორდელასა" და ანსამბლ „უნივერსიტეტის" კონცერტი გაიმართება. კონცერტში მონაწილეები პირველკურსელებისთვის როგორც ახალ, ასევე ძველ სიმღერებსაც შეასრულებენ. ეს საჩუქარი სპეციალურად პირველკურსელებისთვის დაიგეგმა. როგორც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში განმარტავენ, ეს ტრადიციაა, რომელიც მომავალშიც აუცილებლად გაგრძელდება. პირველკურსელების მსგავსად ახალი სასწავლო წლის დაწყება პირველკლასელებსაც მიულოცეს. განახლებულ რიყის პარკში მათთვის „სტუდია 123"-ის კონცერტი გაიმართა.


## ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები

პროექტის ფარგლებში შესაძლებელი გახდა ტაძრის შიგნით და ეზოში ჩაგვეტარებინა არქეოლოგიური გათხრები. ახალმა აღმოჩენებმა შეცვალა ტაძრის ისტორია. ის, რაც ისტორიულად ცნობილი იყო, დღეს ფაქტითაც დასტურდება — აღმოჩენილ იქნა პირველი ტაძრის საძირკველი და წმიდა ცოტნე აღმსარებლის საოჯახო საძვალე. არქიტექტორების, ხელოვნებათმცოდნეებისა და ისტორიკოსების ჯგუფი მუშაობს ამ საკითხების შესწავლაზე. პარალელურად ბატონ ბუბა კუდავას (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორი) ხელმძღვანელობით გამოსაცემად მზადდება წიგნი „ხობის მონასტერი".

ტაძარში დამონტაჟდა ახალი კანკელი, იწერება ახალი ხატები, გამოიცვალა სარკმლები, დასრულდა იატაკის ფილების დაგება; მიმდინარეობს საპატრიარქო რეზიდენციის მშენებლობა. ტაძარსა და რეზიდენციაში დამონტაჟდა გათბობის სისტემა.

მზადდება პროექტი წმიდა ცოტნე აღმსარებლისა და მისი ოჯახის წევრების საძვალის მოსაწყობად.

დასამზადებელია საეკლესიო ავეჯი; შესაცვლელია განათების სისტემა, ტაძრის ძირითადი კარები.

იმისათვის, რომ შევძლოთ დაწყებული სამუშაოების დასრულება, გვჭირდება თანადგომა.

გახდით მონასტრის მეგობარი.

გვჯერა, თქვენი თანადგომით შევძლებთ გავუფრთხილდეთ წინაპართა დანატოვარს და თავად გავხდეთ ღირსეული წინაპარი.




იცხოვრეთ მომავალისთვის.

უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.

**საბანკო რეკვიზიტები:**

ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის" ხობის ფილიალი
ბ/კ: 220 101 465
ანგ. N 36 010 892 GEL;
136 180 892 USD;
236 180 892 EUR



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.

ან დარეკოთ: მაგთი, ჯეოსელი, ბილაინი — 700 607; ახალი ქსელები — 700 608; სილქნეტი — 608 608 (ზარის ღირებულებაა 1 ლარი).

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი
იღუმენია ანა (მუსელიანი)



## SMS-განცხადებები - 3090

● იყიდება კასპის რაიონ სოფელ ხოვლეში 2-სართულიანი საცხოვრებელი სახლი, 1000 კვ. მეტრი ფართით, ყველანაირი ხეხილიანი ბაღით, აგრეთვე 1000კვ. მ. მიწის ნაკვეთი ცალკე. ტელ.: 599-27-17-95.

● იყიდება უხმარ მდგომარეობაში ავერლოკი, ფასი - 500 ლარი, საკერავი მანქანა, ფასი - 400 ლარი. ტელ.: 790-75-45-78. შოთა.

● გთავაზობთ გარჩეულ მზესუმზირის გულებს, სასარგებლოა გულსისხლძარღვთა დაავადებებისთვის, ხსნის გულძმარვას, მოზარდებში ხელს უწყობს სიმაღლეში ზრდას. ტელ.: 599-61-55-58.

## განცხადებები

● მკურნალობა უმაღლესი შედეგებით: ოსტეოქონდროზი, სმენისა და მხედველობის დაქვეითება, თავის ტკივილი, თავბრუსხვევა, უძილობა, კუჭნაწლავის დაავადებები, რადიკულიტი, ჰეპატიტი, სახსრების დაავადება, კიდურებში სიცივე და დაბუჟება, მასტიტი, ნეფრიტი, შარდსასქესო სისტემის დაავადებები, პროსტატიტი, ნეიროდერმიტი და სხვა. ტელ: 595 45 50 35; 599 97 85 46 ბ-ნი ლევანი.

● ლომთათიძე — პოლიკნიკის დირექტორი მკურნალობს: ფრჩხილების სოკოს, კანის დაავადებებს, ფურუნკულს, ტროპიკულ წყლულს, თმის ცვენას, ბუასილს უოპერაციოდ, ეგზემას, ფსორიაზს, მარილების დაგროვებას, პროსტატიტს, A,B,C ჰეპატიტს, მეჭეჭებს, პაპილომებს, ხორცმეტებს, ფეხების ოფლიანობას, თვალების გარშემო ცხიმგროვას. მის: ალმაშენებლის №93, ტელ: 2-96-38-27; 893-39-04-87 ირინა. კონსულტაცია უფასოა.

● იყიდება, მცხეთის რაიონის სოფელ ვაზიანში (თბილისიდან 30 კმ-ში), 2000 კვ.მ. საკარმიდამო მიწის ნაკვეთი ხეხილით, სასმელი და სარწყავი წყლით (შეიძლება ნაწილ-ნაწილად). 1 კვ.მ.-ის ფასი 2 დოლარი. ტელ: 568-657-486; 253-15-87.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ან 234-02-38 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14; 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● მაღალკვალიფიციური პროფესორ-მასწავლებლები მოამზადებენ აბიტურიენტებს, მაგისტრანტებსა და მოსწავლეებს ეროვნული და საატესტატო გამოცდებისთვის ყველა საგანში, ოთხი საგანი 160 ლარი. ტელ: 239-08-42; 599-48-39-13.

● წონაში დაკლება 5-15 კგ, გასუქება 2-5 კგ. აგრეთვე ვმკურნალობ კუჭნაწლავის პრობლემებს, გასტრიტს, კოლიტს, შეკრულობას, კუჭის წყლულს, უნებლიე შარდვას, პროსტატიტს, იმპოტენციას უკუჩვენების გარეშე, ამერიკული მცენარეული პროდუქციით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 274-81-41, 571-33-01-61.

● ინგლისურ ენას ვასწავლი ყველა ასაკის მსურველს ტრადიციული მეთოდით, ნელი ტემპით, მაღალ სამეცნიერო დონეზე, ათვისების დაბალუნარიანებსაც. ტელ: 295-32-12.

● იყიდება 3-ოთახიანი იზოლირებული ბინა პრესტიჟულ სახლში, მარჯანიშვილის მოედანზე, სამისდღემშიო რჩენის საწყისებზე. ტელ: 295-32-12.

# პლეი ოფისთვის ბრძოლა გამძაფრდა

### ლელო — აია 18:16

**ლელო:** ჯოგლიძე (კოპაძე), ხეცოიძე (მჭედლიშვილი), ანდღულაძე, ხუციშვილი, ზაალიშვილი, ყიასაშვილი, კაჭარავა; სანიკიძე (კვერნაძე), ჭყონია, სუჯაშვილი, ქოიავა, დაუშვილი (ხიპაშვილი), მძინარიშვილი, კოლელიშვილი (სურგულაძე), აზალაძე

**6 ჯარიმა:** ყიასაშვილი

**აია:** ხამაშურიძე, ძნელაძე, კუხიანიძე (აბრამიძე), გიორგაძე (ზვიადაძე), გოშაძე, სინაურიძე, გოგია; ლომიძე (სულუხია), გურეშიძე, ჩხიკვაძე (მატკავა), მეტრეველი (არაბიძე), ჩიტაიშვილი, რევიშვილი, დგებუაძე (ცირეკიძე), ძაგნიძე (თხელიძე)

**2 ლელო:** ძნელაძე

**2 ჯარიმა:** სინაურიძე

ტურის ცენტრალური შეხვედრა დაძაბული გამოდგა და ჩემპიონატის ლიდერის მარცხით დასრულდა. ამ წაგებამ ქუთაისელებს ვერაფერი დააკლო, რადგან რეგულარული პირველობის მოგება უკვე დაბევებული ჰქონდათ, ლელოებს კი ოთხეულში შესვლისა და ჩემპიონობისთვის ბრძოლის გაგრძელების კარგი შანსი მიეცათ.

პირველი ტაიმის შემდეგ ისე ჩანდა, თითქოს „აია" წაუგებელ სერიას გააგრძელებდა, მაგრამ ასე არ ფიქრობდა ამინდი. დიახ, მატჩის მიმდინარეობისას ძლიერი ქარი ქროდა, რომელიც თითო ტაიმით თითო გუნდს ეხმარებოდა.

პირველ ტაიმში ქარი სტუმართა მეგობარი იყო და ლელო თითქმის ვერ ახერხებდა მათ ნახევარზე გადასვლას. ხელდახელ თამაშის საშუალებას მეტოქე არ აძლევდა, ფეხით თამაშისას კი — ამინდი. რიონისპირელები კი მეთოდურად უტევდნენ და უპირატესობა პირველ ტაიმში ლელოსა და 2 ჯარიმის ფონზე საკმაოდ სოლიდური მოიპოვეს — 11:0.

როგორც გაირკვა, ეს საკმარისი არ აღმოჩნდა. მეორე ნახევარში სიტუაცია შეიცვალა, ახლა ზურგქარი „ლელოს" მხარეს იყო და ტაქტიკაც შეიცვალა. თბილისელებმა აქცენტი ჯარიმის კარში დარტყმაზე აიღეს. მეორე ნახევარი ახალი დაწყებული იყო, როდესაც ყიასაშვილმა თავისი პირველი ჯარიმა გაიტანა და სხვაობა შეამცირა. ჯარიმის დარტყმა სინაურიძემაც სცადა, მაგრამ ამჯერად ქარმა მას შეუშალა ხელი. 53-ე წუთზე ყიასაშვილმა კიდევ ერთი ზუსტი ჯარიმა შეასრულა, მაგრამ ორიოდე წუთში ბესიკ ხამაშურიძემ ცენტრის სიახლოვეს დაცვის ხაზი გაჭრა, ბურთი მარჯვნივ ძნელაძეს მიუვიდა და მანაც მეორე ლელო გაიტანა. სინაურიძეს რეალიზაცია გაუფუჭდა, მაგრამ „აია" უკვე სოლიდურად დაწინაურდა — 16:6 და თითქოს მატჩის ბედიც აქ გადაწყდა, მაგრამ „ლელო" არ გატყდა.

„აია" ხშირად ჯარიმდებოდა და ყიასაშვილმა ჯარიმით სხვაობა შეამცირა. მერე გატანა უკვე საკუთარი ნახევრიდან სცადა, მაგრამ მიზანმა უმტყუნა, მეორე ტაიმის შუაში კი მისივე 40 მეტრიდან შესრულებული არეკნი ძელმა აისხლიტა. მალე ამავე მანძილიდან უკვე ჯარიმის შესრულების უფლება მიიღო და შანსი ხელიდან არ გაუშვა, მერე კი უფრო შორიდან, საკუთარი ნახევრიდან ზუსტად დაჰკრა და ჩამორჩენა მინიმუმამდე დავიდა — 15:16. ქარის გამო „აია" მეორე ნახევარში ჯარიმას კარში ველარ ურტყამდა და ხელდახელ თამაშს ამჯობინებდა, მაგრამ ხიფათს ვერ ქმნიდა, თუმცა ცდილობდა ბურთი შეენარჩუნებინა, მაგრამ მატჩის მიწურულს მეტოქის 22-ში ბურთი დაკარგა, ყიასაშვილმა კარგი კონტრშეტევა წამოიწყო და ქუთაისელები დაჯარიმდნენ. შეხვედრის დასრულებამდე ორიოდე წუთიღა რჩებოდა, ყიასაშვილმა დაარტყა და კარს ოდნავ ააცილა. „აიამ" დარჩენილი დრო კი გაიყვანა, მაგრამ ბურთი აუტში არ გადააგდო და დაისაჯა, რადგან მეტოქემ აართვა და იძულებული გახდნენ, ისევ დაჯარიმებულიყვნენ. დრო უკვე ამოწურული იყო, ყიასაშვილმა დაახლოებით 40 მეტრიდან ზუსტად დაჰკრა და „ლელოს" დრამატულ შეხვედრაში 18:16 მოაგებინა.

სანამ „ლელო" გამარჯვებას ზეიმობდა, ქუთაისელი მორაგბეებისგან მილოცვებს იღებდა, ტრიბუნიდან მსაჯ ამირხანაშვილის მისამართით გინება გაისმა, რომელიც ტრიბუნაზე საქმის გასარჩევად და მაგინებლების საცემად აიჭრა. მას ორივე გუნდის მორაგბეები მიყვნენ, მაგრამ ისინი სიტუაციას არ ძაბავდნენ და მოჩხუბრებს აშველებდნენ. ცხადია, მაყურებლის საქციელს ვერავინ მოიწონებს, მაგრამ, ვფიქრობთ, არც მსაჯი უნდა იქცეოდეს არაპროფესიონალურად.

### ლოკომოტივი — ხარები 20:3

ამ მოგებით ლოკომოტივმა საქმე გამოიკეთა და სასურველ ოთხეულს დაუბრუნდა. ჩემპიონმა ტაიმი 12:0 მოიგო, მერე კი მისი ბოლომდე მიყვანა აღარ გასჭირვებია.

### არმია — ყოჩები 37:0

აქაც ამინდმა იქონია გავლენა — პირველი ტაიმი არმიელებმა ზურგქარის დახმარებით 34:0 მოიგეს, ხოლო შემდეგ მეტოქესთან ერთად ქართან ჭიდილიც უხდებოდათ და მხოლოდ 3 ქულას გამორჩნენ.

ამ მარცხით ყოჩები ელიტას დაემშვიდობა და გაისად უკვე პირველ ლიგაში ითამაშებს.

### არმაზი — აკადემია 18:12

ორივე გუნდი ცდილობს, სენსაცია მოახდინოს და იმ ოთხეულში მოხვდეს, სადაც მათ არავინ ელოდა. ამიტომაც იყო, მატჩი დაძაბული რომ გამოდგა და გამარჯვება არმაზელებს დარჩათ. ჯერჯერობით პლეი ოფში მოხვედრის შანსი არც ერთ გუნდს არ დაუკარგავს.

გაირკვა ისიც, რომ ავსტრალიური ფლეი ოფის პირველ ეტაპზე „აია" „არმიას" უმასპინძლებს და ამ წყვილის გამარჯვებული პირდაპირ ფინალში ითამაშებს, ხოლო დამარცხებულს იქ მოხვედრის შანსი კიდევ ექნება.

დანარჩენი ორი საგზურისთვის „ლელო", „ლოკომოტივი", „არმაზი" და „აკადემია" იბრძვიან.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.აია | 12 | 11 | 0 | 1 | 305:144 | 22 |
| 2.არმია | 12 | 8 | 1 | 3 | 279:168 | 17 |
| 3.ლელო | 12 | 6 | 0 | 6 | 270:253 | 12 |
| 4.ლოკომოტივი | 12 | 6 | 0 | 6 | 214:197 | 12 |
| 5.არმაზი | 12 | 5 | 1 | 6 | 232:251 | 11 |
| 6.აკადემია | 12 | 4 | 3 | 5 | 203:225 | 11 |
| 7.ხარები | 12 | 4 | 0 | 8 | 139:248 | 8 |
| 8.ყოჩები | 12 | 1 | 1 | 10 | 151:307 | 3 |

# საქართველომ ისევ პირველი ტაიმი იბრძოლა

### საქართველო — არგენტინა 7:25

**საქართველოს ნაკრები:** 15. მალხაზ ურჯუკაშვილი, 14. ლექსო გუგავა, 13. დავით კაჭარავა, 12. თედო ზიბზიბაძე, 11. ალექსანდრე თოდუა, 10. ლაშა ხმალაძე, 9. ირაკლი აბუსერიძე; 1. ვასილ კაკოვინი, 2. აქვსენტი გიორგაძე, 3. დავით



ქუბრიაშვილი, 4. ლევან დათუნაშვილი, 5. ვახტანგ მაისურაძე, 6. გიორგი ჩხაიძე, 7. ვიქტორ კოლელიშვილი, 8. მამუკა გორგოძე

**სათადარიგოები:** 16. ჯაბა ბრეგვაძე, 17. გოდერძი შველიძე, 18. გიორგი ნემსაძე, 19. ილია ზედგინიძე, 20. ბიძინა სამხარაძე, 21. მერაბ კვირიკაშვილი, 22. ლაშა მალაღურაძე

**ლ:** ხმალაძე; გ: ურჯუკაშვილი

**არგენტინის ნაკრები:** 15. ლუკას ამოროსინო, 14. ჰორასიო აგულა, 13. მარსელო ბოსხი, 12. ფელიპე კონტეპომი, 11. ხუან იმჰოფი, 10. სანტიაგო ფერნანდესი, 9. ნიკოლას ვერგალო; 1. მარკოს აიერსა, 2. მარიო ლედესმა, 3. ხუან ფიგალო, 4. მარიანო გალარსა, 5. პატრისიო ალბასეტე, 6. ხულიო კაბელო, 7. ხუან ლეგუსამონი, 8. ლეონარდო სენატორე

**სათადარიგოები:** 16. ავგუსტინ კრევი, 17. მარტინ სკელსო, 18. ტომას ვალეხოსი, 19. ალეხანდრო კამპოსი, 20. ალფრედო ლალანე, 21. ავგუსტინ გოსიო, 22. მარტინ როდრიგესი

**3ლ:** იმჰოფი, კონტეპომი, გოსიო;

**2გ:** კონტეპომი, ვოსხი;

**2ჯ:** კონტეპომი

საქართველოს მორაგბეთა ნაკრებმა მსოფლიო თასი დაასრულა. ბოლო მატჩი რიჩი დიქსონის შეგირდება არგენტინელებთან გამართეს და 7:25 დამარცხდნენ. არადა, პირველი ტაიმის შემდეგ ბორჯღალოსნები მეტოქეს ამარცხებდნენ.

ჩვენებს ისევ რაღაც დააკლდათ და ეს რაღაც ალბათ ბობოლა გუნდებთან თამაშების ნაკლებობაა. ისევ კარგად ჩატარებული პირველი ტაიმი და ისევ გადაღლილობის ფონი მეორე ტაიმში.

თამაშის პირველი ნახევარი ისე მიმდინარეობდა, მგონი, იმედი, ქართველთა გარდა, შოტლანდიელებსაც მიეცათ. რა იმედი ჰქონდათ სქოთებს? თუ ჩვენები არგენტინას 8 ქულით დაამარცხებდნენ, შემდეგ ეტაპზე ისინი გადიოდნენ, მაგრამ ძალა აღმართს ხნავს და ჩვენებმა სქოთთა იმედები ბოლომდე ვერ გაამართლეს.

დიქსონის გუნდის ყველაზე თვალსაჩინო პროგრესი დაცვაში თამაშია. ჩვენები კარგად უმკლავდებოდნენ მეტოქის იერიშებს. მართალია, ხშირად ამას ჯარიმის ზღვარზე აკეთებდნენ, მაგრამ ფელიპე კონტოპემის ფეხი სიზუსტით ვერ გამოირჩეოდა და ორი ისეთი საჯარიმო ააცილა, გასატანი რომ ჰქვია.

თუმცა, ერთ მომენტში არგენტინელებმა მაინც იძალეს და ხუან იმჰოფმა ბურთი ჩვენი ჩათვლის მოედანში შეიტანა — კონტეპომმა კი რეალიზაცია ააცილა — 0:5.

ამ ლელომ ქართველები ვერ გატეხა და პირველი ტაიმის ბოლოს შესანიშნავი კონტრშეტევა წამოიწყეს. კარგად ითამაშა ალექსანდრე თოდუამ, რომელსაც მხარი ლაშა ხმალაძემ აუბა და ბურთი მეტოქის ჩათვლის მოედანში იოლად შეიტანა. მალხაზ ურჯუკაშვილმა ზუსტად გარდასახა და შესვენებაზე ქართველები უპირატესობით გავიდნენ — 7:5.

მეორე ტაიმში ქართველები გარკვეული დრო კიდევ უწევდნენ წინააღმდეგობას მეტოქეს, შემდეგ კი ყველაფერი თავის ადგილზე დადგა და არგენტინელებმაც ქულების მოგროვება დაიწყეს. თუმცა, ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ამაში გარკვეულწილად მსაჯიც წაეხმარათ, რომელმაც ჩვენთვის გაუგებარი ჯარიმები დადო არგენტინელთა სასარგებლოდ და კონტეპომიმ ორჯერ იხეირა — 7:11.

ჯერ არაფერი იყო გადაწყვეტილი, თუმცა იმავე კონტეპომიმ, ხოლო შემდეგ ავგუსტინ გოსიომ ლელოები მიითვალეს და არგენტინამ 25:7 მოიგო.

**საბოლოო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ინგლისი | 4 | 4 | 0 | 0 | 137:34 | 18 |
| 2.არგენტინა | 4 | 3 | 0 | 1 | 90:40 | 14 |
| 3.შოტლანდია | 4 | 2 | 0 | 2 | 73:59 | 11 |
| 4.საქართველო | 4 | 1 | 0 | 3 | 48:90 | 4 |
| 5.რუმინეთი | 4 | 0 | 0 | 4 | 44:180 | 0 |

## შედეგები

### ფეხბურთი

**ინგლისი. პრემიერლიგა**

ევერტონი-ლივერპული ... 0:2
ასტონ ვილა-უიგანი ... 2:0
ბლექბერნი-სიტი ... 0:4
ვულვზი-ნიუკასლი ... 1:2
მანჩესტერი-ნორვიჩი ... 2:0
სანდერლენდი-ვესტ ბრომვიჩი ... 2:2

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

ბარნსლი-ქოვენთრი ... 2:0
ბლექპული-ბრისტოლი ... 5:0
იფსვიჩი-ბრაიტონი ... 3:1
კრ.პალასი-ვესტ ჰემი ... 2:2
ლიდსი-პორთსმუთი ... 1:0
მილუოლი-ბარნლი ... 0:1
პიტერბრო-დონკასტერი ... 1:2
რედინგი-მიდლსბრო ... 0:0
საუთჰემპტონი-უოტფორდი ... 4:0
ჰალი-კარდიფი ... 2:1
ლესტერი-დერბი ... 4:0

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

ვილიარეალი-სარაგოსა ... 2:2
ოსასუნა-მალიორკა ... 2:2
რასინგი-რაიო ... 1:1
ვალენსია-გრანადა ... 1:0
მალაგა-ხეტაფე ... 3:2

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

დეპორტივო-გვადალახარა ... 4:0
ბარსელონა ბ-საბადელი ... 0:1
კარტახენა-ალკოიანო ... 1:2
ლას პალმასი-მურსია ... 1:1
უელვა-ალმერია ... 0:1
უესკა-კორდობა ... 0:1
ერკულესი-ალკორკონი ... 1:0

**იტალია. სერია ა**

რომა-ატალანტა ... 3:1
ინტერი-ნაპოლი ... 0:3

**იტალია. სერია ბ**

ბარი-ლივორნო ... 1:0
გროსეტო-ასკოლი ... 3:3
გუბიო-ვერონა ... 1:1
მოდენა-ბრეშა ... 1:1
პესკარა-ალბინოლეფე ... 5:3
რეჯინა-იუვე სტაბია ... 1:2
ჩიტადელა-ნოჩერინა ... 1:3
ემპოლი-პადოვა ... 2:4

**გერმანია. ბუნდესლიგა**

ლევერკუზენი-ვოლფსბურგი ... 3:1
ნიურნბერგი-მაინცი ... 3:3
დორტმუნდი-აუგსბურგი ... 4:0
ფრაიბურგი-გლადბახი ... 1:0
ჰოფენჰაიმი-ბაიერნი ... 0:0
ჰერტა-კიოლნი ... 3:0

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

ინგოლშტადი-ბოხუმი ... 3:5
კოტბუსი-ზანკტ პაული ... 1:4

**საფრანგეთი. 1 ლიგა**

დიჟონი-აიაჩო ... 1:1
კაენი-ნიცა ... 1:1
ლორიენი-ვალანსიენი ... 2:0
ნანსი-ევიანი ... 1:1
სენტ ეტიენი-ოსერი ... 1:1
სოშო-ტულუზა ... 3:0
ბორდო-მონპელიე ... 2:2

**საფრანგეთი. მე-2 ლიგა**

ლე ავრი-ნანტი ... 1:1

**ჰოლანდია. ეჰედივიზიონი**

უტრეხტი-ვალვაიკი ... 3:0
ვიტესი-ჰერენვენი ... 1:1
როდა-ბრედა ... 4:3

**პორტუგალია. ა ლიგა**

ბენფიკა-ფერეირა ... 4:1

**რუსეთი. პრემიერლიგა**

ტერეკი-ნალჩიკი ... 0:1
როსტოვი-კრ.სოვეტოვი ... 1:0
ვოლგა-ამკარი ... 0:0
დინამო-კრასნოდარი ... 2:1

**შოტლანდია. პრემიერლიგა**

დანდი-მოზერველი ... 1:3
ინვერნესი-სტ.მირენი ... 2:1
კილმანროკი-სტ.ჯონსონი ... 1:2
რეინჯერსი-ჰიბერნიანი ... 1:0

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

ინსბრუკი-კაფენბერგი ... 3:1
ადმირა-რაპიდი ... 4:3
ნოიშტადი-მატერსბურგი ... 1:2

**ბელგია. პროლიგა**

ვესტერლო-ვარეგემი ... 1:1
გენტი-ევერლე ... 6:1
კორტრაიკი-მეხელენი ... 1:0
მონსი-ლოკერენი ... 3:3
სერკლი-სტ.ტრუიდენი ... 2:2

**შვეიცარია. სუპერლიგა**

ბაზელი-სერვეტი ... 3:0
ქსამაქსი-თუნი ... 4:0

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

ოფი-ერგოტელისი ... 1:0
არტომიტოსი-პანეთოლიკოსი ... 2:1

**თურქეთი. სუპერლიგა**

ქარაბუქი-ორდუ ... 1:2
ფენერბახჩე-ისთამბული ... 4:2
ანთალია-სივასი ... 2:2

**ჩეხეთი. გამბრინუსლიგა**

პრჟიბრჟამი-სპარტა ... 0:3
ლიბერეცი-დუკლა ... 1:2
ჟიჟკოვი-ბოჰემიანსი 1905 ... 0:1

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

ხოჟუვი-ვიძევი ... 3:1
იაგელოანია-ზაგლებიე ... 3:1
კრაკოვია-ლეხი ... 3:0

**უკრაინა. პრემიერლიგა**

კრივბასი-ობოლონი ... 1:0
ჩერნომორეცი-ტავრია ... 1:0
ვოლინი-კარპატი ... 0:2

**დანია. სუპერლიგა**

სილკებორგი-ოლბორგი ... 1:1

**შვედეთი. ალსვენსკა**

გიოტებორგი-მიალბი ... 0:1
აიკი-გაისი ... 2:1

**ნორვეგია. ტიპელიგა**

ვიკინგი-ჰაუგესუნდი ... 1:1

**ირლანდია. პრემიერ დივიზიონი**

სლიგო-გელვეი ... 7:1

**აშშ. მლს**

ჰიუსტონი-ჩიკაგო ... 1:1
ნიუ ინგლენდი-სიეტლი ... 1:2
ტორონტო-ნიუ იორკი ... 1:1
კოლორადო-დალასი ... 1:0
ლოს ანჯელესი-სოლტ ლეიკი ... 2:1
სან ხოსე-კანზასი ... 1:1

**ბრაზილია. სერია ა**

ბაია-ავაი ... 3:2
ფლუმინენსე-სანტოსი ... 3:2
პალმეირასი-ამერიკა ... 1:1

**არგენტინა. აპერტურა**

რაფაელა-ლანუსი ... 2:1
ველეჟი-სან მარტინი ... 1:0

### კალათბურთი

**ევროლიგა. საკვალიფიკაციო ეტაპი**

რიტასი-ციბონა ... 88:71
გალათასარაი-ვილერბანი ... 93:83
შარლერუა-ალბა ... 74:63

*თორნიკე შენგელია: 5 ქულა*

ხიმკი-ნიმბურკი ... 79:86

### ფრენბურთი

**ევროპის ჩემპიონატი**

**ქალები**

იტალია-გერმანია ... 0:3
სერბეთი-თურქეთი ... 3:2

### რაგბი

**მსოფლიო თასი**

არგენტინა-საქართველო ... 25:7
ახ.ზელანდია-კანადა ... 79:15
უელსი-ფიჯი ... 66:0
ირლანდია-იტალია ... 36:6

### ჩოგბურთი

**ატპ. ბანგკოკი. პაეი**

**ფინალი**

მიურეი-იანგი ... 6:2;6:0

**ატპ. კუალა ლუმპური. პაეი**

**ფინალი**

ტიპსარევიჩი-ბაგდატისი ... 6:4;7:5

**ვტა. ტოკიო. პაეი**

**ფინალი**

ზვონარევა-რადვანსკა ა. ... 3:6;2:6

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

# პირველკურსელებმა მარჯანიშვილის სახლ-მუზეუმში ფიცი დადეს

**ეკა ირემაშვილი**

შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის პირველკურსელები ყვარელში ჩავიდნენ და კოტე მარჯანიშვილის სახლ-მუზეუმში საზეიმო ფიცი დადეს.

მარჯანიშვილის განახლებულ სახლ-მუზეუმში ფიცის დადების ტრადიცია კომპანია „რედიქსის" ინიციატივით 4 წლის წინ აღდგა. წელს ცერემონია უკვე მეოთხედ გაიმართა. პირველკურსელთა ფიცი რეჟისორმა გიზო ჟორდანიამ წაიკითხა. ფიცის დადების ცერემონიალს თეატრალური უნივერსიტეტის რექტორი გოგი მარგველაშვილი, რეჟისორები, მსახიობები და კომპანია „რედიქსის" ხელმძღვანელი ლაშა პაპაშვილი ესწრებოდნენ.

— საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში, იმ დროს თეატრალურ ინსტიტუტში, 80-იან წლებში შემოღებულ იქნა პირველკურსელთა ფიცის დადების რიტუალი. სტუდენტები ფიცს დებდნენ, რომ ერთგულად ემსახურებოდნენ სამშობლოს და როგორც პროფესიონალები, დაიცავდნენ ქართული ეროვნული კულტურის ტრადიციებს, — განაცხადა თეატრალური უნივერსიტეტის წარმომადგენელმა ჯაბა სიხარულიძემ.

თეატრალური უნივერსიტეტის პირველკურსელთა ფიცის დადების ცერემონია პირველ ხანებში თელავსა და ყვარელში, კოტე მარჯანიშვილის სახლის მარანში ტარდებოდა. რიტუალის დროს რომელიმე ცნობილი მოღვაწე ახალბედა სტუდენტებს სახეზე უსვამდა გრიმს, როგორც გარდასახვის სიმბოლოს.

**ლაშა პაპაშვილი, კომპანია „რედიქსის" გენელარული დირექტორი:**

— მარჯანიშვილების სახლ-მუზეუმის რესტავრაციამდე დარწმუნებულნი ვიყავით, რომ ეს ადგილი აღდგენის შემდეგ კულტურული ღონისძიებების ხშირი მასპინძელი გახდებოდა და ასეც მოხდა. აქ ყოველწლიურად იმართება თეატრალური პრემია „დურუჯის" გადაცემის სადღესასწაულო ცერემონია, უკვე ტრადიციად იქცა პირველკურსელების „ნათლობის" სიმბოლური რიტუალის ჩატარება. ასე რომ, ჩვენი მიზანი მიღწეულია. მოხარული ვარ, რომ ქართული თეატრალური სამყაროს წარმომადგენლებისთვის დაუვიწყარი დღეების ჩუქების შესაძლებლობა მოგვეცა.

**გიზო ჟორდანია, რეჟისორი:**



გიზო ჟორდანია

— ეს არის უძველესი ტრადიცია, რომელიც საბედნიეროდ, 4 წელია ისევ აღდგა. სიმბოლურია, რომ პირველკურსელები საზეიმო ფიცს სწორედ კოტე მარჯანიშვილის სახლ-მუზეუმში დებენ, რომელიც განახლებული და ბრწყინვალეა. ბედნიერი ვარ, რომ წელს მომეცა საშუალება პირველკურსელებისთვის ფიცი სწორედ მე წამეკითხა. ვულოცავ ამ არაჩვეულებრივ ბავშვებს თეატრის ჯადოსნურ სამყაროში შემობიჯებას. მათ რომ ვუყურებ, ვრწმუნდები, რომ საქართველოს არაჩვეულებრივი მომავალი თაობა ჰყავს.



გოგი მარგველაშვილი

**გოგი მარგველაშვილი, თეატრალური უნივერსიტეტის რექტორი:**

— კოტე მარჯანიშვილის სახლ-მუზეუმში უკვე ოთხი წელია პირველკურსელთა დიდი ჟრიამული დგება. ეს მივიწყებული ტრადიცია ისევ აღდგა და თეატრალურის პირველკურსელებს გრიმს სიმბოლურად უსვამენ ცნობილი და წარმატებული მსახიობები, როგორც გარდასახვის სიმბოლოს. ვულოცავ მათ ამ ბედნიერ დღეს, წარმატებებს ვუსურვებ თეატრის არაჩვეულებრივ სამყაროში და ვუსურვებ, სიცოცხლის ბოლომდე ასეთი ჟრიამული ყოფილიყოს მათ გულებში.

# რას გადაწყვეტს გია ყანჩელი?

**ეკა ირემაშვილი**

მას შემდეგ, რაც რობერტ სტურუამ რუსთაველის თეატრში დარჩენის გადაწყვეტილება მიიღო, გაურკვეველია, რა გადაწყვეტილებას მიიღებს კომპოზიტორი გია ყანჩელი, რომელიც რობერტ სტურუას სპექტაკლების მუსიკალური გამფორმებელია.

რობერტ სტურუას საბოლოო სიტყვა ჯერ არ უთქვამს. როგორც რუსთაველის თეატრში აცხადებენ, თეატრის მმართველს ზაალ ჩიქობავასა და რეჟისორს შორის კონკრეტული მოლაპარაკება ჯერ არ გამართულა.

ამის მიუხედავად, რობერტ სტურუამ სოციალურ ქსელ „ფეისბუქში" საკუთარ გვერდზე გია ყანჩელის ის წერილი გაავრცელა, რომელიც მაესტროს სპექტაკლ „ნადირობის სეზონის" დასრულების შემდეგ უნდა წაეკითხა. წერილი 25 სექტემბრით არის დათარიღებული:

„ბატონ რობერტ სტურუასთან ერთად ვემშვიდობები ჩემს საყვარელ რუსთაველის თეატრს, რომელსაც „ხანუმადან" და „კავკასიური ცარცის წრიდან" მოყოლებული და „ნადირობის სეზონით" დამთავრებული, შევწირე ნახევარი საუკუნე. მადლიერებით და სიყვარულით ყველა თაობის მსახიობების და ყველა თაობის მაყურებლის მიმართ".

ეს წერილი გია ყანჩელმა რობერტ სტურუას მისწერა, რეჟისორმა კი იგი სოციალურ ქსელში გამოაქვეყნა. როგორც რეჟისორმა განმარტა, წერილი „ნადირობის სეზონის" დასრულების შემდეგ გამოთხოვებისას უნდა წაეკითხა, მაგრამ გადაიფიქრა.

— ბევრი მეკითხება, რა ეწერა გიას წერილშიო? მართლაც, ისე ვღელავდი, რომ ვერ გითხარით, რა ეწერა მის წერილში. ამოვიღე ჯიბიდან და რა წერილი იყო, ახსნა დამავიწყდა. ვაქვეყნებ. მიხვდებით, ალბათ, რომ მართლა ვაპირებდი თეატრთან გამოთხოვებას. გიამ მთხოვა, ეს წერილი წაიკითხეო დამშვიდობების ჟამს... მაგრამ გადავიფიქრე. დანარჩენი იცით, — წერს რეჟისორი საკუთარ გვერდზე.

რუსთაველის თეატრში „ნადირობის სეზონმა" სრული ანშლაგით ჩაიარა. სპექტაკლის დასრულების შემდეგ თეატრის დასმა რობერტ სტურუა ხელში აიყვანა. მოგვიანებით კი მაესტროს ბუტაფორიასთან ერთად სურათებიც გადაიღო.

— ფიქრობენ, რომ საერთოდ წავალ საქართველოდან, მაგრამ ეს ჩემი სამშობლოა და მე შევიცვალე აზრი. რაც შემრჩა ამ თეატრიდან, ეს არის ჩემი მეგობრების და დასის სიყვარული და მე დავუჯერებ მათ, — განმარტა რეჟისორმა.

რუსთაველის თეატრის საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი ელენე კვირცხალია აცხადებს, რომ როგორც კი თეატრის მმართველსა და რობერტ სტურუას შორის მოლაპარაკება შედგება, ამის შესახებ, რუსთაველის თეატრი ოფიციალურად განაცხადებს და გადაწყვეტილებასაც საჯაროდ გამოაქვეყნებს.

ვინაიდან საბოლოოდ ოფიციალური დოკუმენტის დონეზე ჯერ არ არის გადაწყვეტილი, დარჩება თუ არა რუსთაველის თეატრში რობერტ სტურუა რიგით რეჟისორად, ასევე უცნობია, რა გადაწყვეტილებას მიიღებს კომპოზიტორი გია ყანჩელი.

# „მის საქართველო 2011" ჟანეტა ქერდიყოშვილი გახდა

დასაწყისი მე-12 გვერდზე

აღიარებული ყველაზე პრესტიჟული და გრანდიოზული სილამაზის კონკურსების „მის მსოფლიოს", მის სამყაროს", „მის ინტერკონტინენტალის" ლიცენზიის ოფიციალური მფლობელი. ყველა სილამაზის კონკურსი მთელ მსოფლიოში საკმაოდ რეიტინგულია და მას მილიონობით ადამიანი ადევნებს თვალს.

წელს კონკურსში „მის საქართველო 2011" მონაწილეობის სურვილი 300-მდე გოგონამ გამოთქვა. სილამაზის კონკურსისთვის საუკეთესოების შესარჩევად მისმა ორგანიზატორებმა მთელი საქართველო მოიარეს. კომპეტენტურმა ჟიურიმ კი საბოლოოდ საუკეთესო ოცეული შეარჩია. საქართველოს ყველაზე ლამაზი გოგონას ტიტულისთვის ბრძოლა 17-დან 25 წლამდე გოგონებს შეეძლოთ. საუკეთესო ოცეულში მოხვდნენ — ლელა იაკობიძე, სალომე ხომერიკი, ნანა ბლიაძე, ნინო შავგულიძე, მარიამ ქისტაური, მზევინარ სამუკაშვილი, ჟანეტა ქერდიყოშვილი, თინათინ შენგელია, ირინე ჩიხლაძე, ანა ხუციშვილი, ნინო ნაზლაიძე, მარიამ ხატიაშვილი, ალექსანდრა ლატარია, ნინო ინასარიძე, ნონიკო კახაძე, მარიამ კვახაჯელიძე, მარიამ მშვილდაძე, თამარ ცხაკაია, თაკო თევდორაშვილი, ნინო მასპინძელაშვილი. სილამაზის კონკურსის ფინალისტები თბილისის, რუსთავის და ბათუმის მკვიდრები იყვნენ.

კონკურსის ჟიურიმ ფინალისტი გოგონებიდან ტოპ ხუთეული დაასახელა, რომელშიც სალომე ხომერიკი, ნინო მასპინძელაშვილი, ნონიკო კახაძე, ჟანეტა ქერდიყოშვილი და ანი ხუციშვილი შევიდნენ. მათ შორის კი საპრიზო ადგილები ასე გადანაწილდა — „მის საქართველო 2011" გახდა კონკურსანტი ნომერი 6, 19 წლის თბილისელი ჟანეტა ქერდიყოშვილი. გამარჯვებული ია კიწმარიშვილმა დაასახელა. ის რიგით მეცხე სილამაზის კოკნურსის გამარჯვებულია. ჟანეტას სიმაღლე 175 სანტიმეტრია. პარამეტრები კი — 85-61-91. გამარჯვებული სწავლობს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ჟურნალისტიკის ფაკულტეტის III კურსზე. ფლობს ინგლისურ, იტალიურ და რუსულ ენებს. მისი ოცნება ტელეწამყვანობაა. გამარჯვებულს დიადემა 2010 წლის მის საქართველომ, დეა არაყიშვილმა გადასცა.

— ეს არის ყველაზე მაგარი მომენტი ჩემს ცხოვრებაში. ვგრძნობ, რომ რადიკალურად შეიცვალა დღეიდან ჩემი ცხოვრება. მადლობა ღმერთს, რომ დღეს ეს გვირგვინი თავზე მადგას, — განაცხადა ჟანეტა ქერდიყოშვილმა.

პირველ ვიცე მის საქართველოდ სალომე ხომერიკი დასახელდა, მეორე ვიცე მისი ნინო მასპინძელაშვილი გახდა, მესამე და მეოთხე ვიცე მისების ტიტულები კი ნონიკო კახაძემ და ანა ხუციშვილმა გაინაწილეს. სილამაზის კონკურსი ბათუმის ხელოვნების ცენტრში ჩატარდა და ჟიურიმ მის საქართველოსა და ვიცე მისების დასახელების გარდა, ლამაზმანთა შორის გამარჯვებულები კიდევ რამდენიმე ნომინაციაში — „მის მეგობრობა", „მის ფოტოგენურობა", „მის გრაცია", „მის ექსტრავაგანტულობა", „მის ინტელექტი" გამოავლინა. სულ გოგონებმა 12 სხვადასხვა ნომინაციაში გაიმარჯვეს. ისინი საქართველოს სხვადასხვა კონკურსებზე „მის მსოფლიოზე", „მის სამყაროზე", „მის ტურიზმზე" წარდგებიან. სილამაზის კონკურსის სპონსორებმა კი ფინალში მონაწილეებისთვის ფასიანი საჩუქრები დააწესეს.

— ყველა გოგონა იმსახურებდა გამარჯვებას, მაგრამ მგონია, რომ ჟიურიმ სწორი გადაწყვეტილება მიიღო და საუკეთესოთა შორის საუკეთესო გოგონა — ჟანეტა ქერდიყოშვილი შეარჩია, რომელიც ორ კვირაში უკვე მის მსოფლიოზე მიემგზავრება. იმედი მაქვს, ქართველი კონკურსანტი „მის მსოფლიოზე" წარმატებას მოიპოვებს, — აღნიშნა ია კიწმარიშვილმა.

სილამაზის კონკურსის ფინალისტები ჟიურის წინაშე კოქტეილის კაბებით, საცურაო კოსტიუმებით და საღამოს კაბებით წარდგნენ. როგორც „იმიჯ ცენტრის" ხელმძღვანელმა ია კიწმარიშვილმა აღნიშნა, საუკეთესო ხუთეული შეირჩა და ყველაფერი კარგად ჩატარდა. გამარჯვებული „მის მსოფლიოს" კონკურსზე წარდგება, რომელიც ნოემბერში ამჯერად უკვე დიდ ბრიტანეთში, ლონდონში ჩატარდება. წელს მის მსოფლიოს ტიტულის მოსაგებად 120 ქვეყნის წარმომადგენელი იბრძოლებს. საპატიო ტიტულის გარდა, „მის საქართველომ" ჯილდოდ ზარაფხანასგან სამკაული მიიღო. გასული წლებისგან განსხვავებით, წელს „მის საქართველო" ერთ-ერთი გამორჩეული ჯილდოს — ავტომანქანის გარეშე დარჩა. სამაგიეროდ, გამარჯვებული ბათუმის ბავშვთა სახლში მივიდა და პატარებს საჩუქრები გადასცა.

# კროსვორდი



1. მუსლიმანთა დღესასწაული; 2. ცდომილი ანუ ...; 3. სახელმწიფო აზიაში; 4. ხელზე მოსამსახურე მამაკაცი; 5. ასო „ნ"-ს სახელწოდება; 6. პირველი ქალი დედამიწაზე; 7. ... უილენშპიგელი; 8. მდინარე რუსეთში; 9. ეკლიანი ბალახი; 10. თევზსაჭერი ბადე; 11. ნახევარკუნძული ეგვიპტეში; 12. თაღი; 13. კითხვითი ნაცვალსახელი; 14. ბუნებრივი საღებავი; 15. ყურძნის ჯიში; 16. სუსტი არაყი; 17. ატმოსფერული მოვლენა; 18. ამერიკული ავტომარკა; 19. სუბტროპიკული მცენარე; 20. იატაკის საცხი; 21. წელიწადის მეთორმეტედი; 22. ... ფროიდი; 23. ლეიბის, საბნის შიგნითა პირი; 24. ნაგვის ასაღები ნიჩაბი; 25. ქრისტეს პერანგი; 26. უმაღლეს სასულიერო პირთა თავსარქმელი; 27. ციურ სხეულთა ერთიანი სისტემა; 28. ... რაიანი; 29. მეორე ნოტი; 30. მზის სისტემის პლანეტა; 31. ვერდის ოპერა; 32. ისტორიული მუზეუმი ლონდონში; 33. ძვირფასთვლებიანი გვირგვინი; 34. მდინარე იტალიაში.

*შეადგინა ოლივერ კოხიამ*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

### კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. სალათი; 2. იყალთო; 3. სათაფლია; 4. ჩხოუში; 6. დეპოზიტი; 8. ქენონი; 11. ხოდაბუნი; 12. დეკორტი; 16. ჩეიზი; 17. მყესი; 18. პრესა.

**თარაზულად:** 1. სპრინტი; 5. შკოდა; 7. კალმახი; 9. ამალთეა; 10. მურტალო; 13. ნამიბია; 14. ლოპოტი; 15. კები; 19. ჰონვედი; 20. წყალტუბო; 21. შიომღვიმე; 22. დიქცია.

### კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. ისაკაძე; 2. ჰამამი; 3. ბაკურიანი; 4. პრიზმა; 5. ლამპარდი; 7. ვერე; 11. ძილქუში; 13. პუბლიკა; 15. ტვინი; 16. გეიშა; 18. ღვინო; 19. ვეკუა.

**თარაზულად:** 6. საბვეი; 8. დარჯაკი; 9. ბაირამი; 10. ანდერძი; 12. ნივეა; 14. დაგერი; 17. ნაბელლავი; 30. ღრუბელი; 21. ანგალი; 22. ნადური; 23. მასმედია.

სპორტი

# რუმინეთმა საქართველოს კლასით მოუგო

## საქართველო — რუმინეთი 5:11

(2:2, 2:1, 1:4, 9:4)

**საქართველო:** ჭუმბურიძე, ქენქაძე, ელაჩა, პოპოვიჩი, კოდრიჩი (1), ლაითაძე, ჩომახიძე (2), ბალათურია (1), რურუა, გეგელაშვილი, ნიკოლეიშვილი (1), დავითიანი, სტრუიჩი

**რუმინეთი:** სტონესკუ, რადუ (3), ნიგრინი (2), დიაკონუ, იოსეფი, ბუსილა (2), ჩიოვინუ, მატეი, გოანტა, გეორგესკუ (2), გიბანი (1), კადარი (1), დრაგუშინი

თბილისის საწყლოსნო კომპლექს „ოლიმპიკში" ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის პლეი ოფის პირველ მატჩში საქართველოს წყალბურთელთა ნაკრებმა ევროპის 12 საუკეთესო გუნდს შორის მოსახვედრად რუმინელებს უმასპინძლა და 5:11 დამარცხდა.

საქართველოს ნაკრებს ტრავმების გამო მარკო ელეზა და მარინო ფანიჩევიჩი ვერ ეხმარებოდნენ და ალბათ ამიტომაც არ იყო გასაკვირი განაცხადში ნაკრების მწვრთნელ ზვიად დავითიანის მოხვედრა. რუმინელები კი თავიანთი ოპტიმალური შემადგენლობით იყვნენ ჩამოსული, რომელთაც კოსმინ რადუ (წელს გამართულ მსოფლიოს ჩემპიონატზე 20 გატანილი ბურთით ბომბარდირი გახდა) კაპიტნობდა. რადუმ, ჩვენდა სამწუხაროდ, თავი არც ოლიმპიკის აუზში შეირცხვინა და ივან სტრუიჩის კარი სამჯერ აიღო. თუმცა, მივყვეთ თანმიმდევრობით.

დასაწყისი ისეთი იყო, ასეთი სხვაობით მარცხს ვერავინ წარმოიდგენდა. მეტიც, მაყურებელთა უმრავლესობა უკვე სენსაციისთვისაც გამზადებული იყო, მაგრამ კლასმა და გამოცდილებამ თავისი გაიტანა.

რევაზ ჩომახიძის აქტიური თამაშის წყალობით ჩვენები დაწინაურდნენ — ჩვენი ყველაზე გამოცდილი წყალბურთელის წინააღმდეგ მეტოქემ უხეშად ითამაშა და კოტე გეგელაშვილმა ოთხმეტრიანი პენალტით ანგარიში გახსნა. იქვე რუმინელებმა საპასუხო ბურთი გაგვიტანეს. მალევე ჩომახიძის წინააღმდეგ ისევ იუხეშეს, ქართველებმა რიცხობრივი უპირატესობა მოიპოვეს და მარკო კოდრიჩმა ჩვენები ისევ დააწინაურა. პირველი პერიოდის მიწურულს რუმინელებმა წონასწორობა აღადგინეს — 2:2.

მეორე მეოთხედში ჩვენები დაცვაში უფრო ყურადღებით თამაშობდნენ და მხოლოდ ერთი ბურთი გაუშვეს, თავის მხრივ კი მიხეილ ბალათურიამ და ჩომახიძემ ორჯერ აიღეს მეტოქის კარი და დიდ შესვენებაზე ერთბურთიანი უპირატესობით გავედით — 4:3.

მეორე ტაიმის დასაწყისში ჩომახიძემ უპირატესობა 2 ბურთამდე გაზარდა — 5:3. სწორედ აქ გაჩნდა სენსაციური გამარჯვების იმედი, მაგრამ ამის შემდეგ აუზში რუმინელები გაბატონდნენ. ჩვენებმა დარჩენილ 13 წუთში ბურთის გატანა ვერ მოახერხეს, აქედან ზედიზედ ოთხჯერ მეტობაში იყვნენ, საპასუხოდ კი 8 გოლი გაუშვეს და დიდი ანგარიშით დამარცხდნენ.

**ვლადიმერ ისელიძე, საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი:**

— რუმინეთის ნაკრები რეიტინგით მსოფლიოში მეექვსე ადგილზეა და ძალიან ძლიერი გუნდი ჰყავთ. თუმცა, ბიჭებს რომ ჩვენი დარიგებები გაეთვალისწინებინათ, შეგვეძლო შეხვედრა ნორმალური ანგარიშით დაგვესრულებინა. მათ შორიდან დარტყმები აკრძალული ჰქონდათ, მაგრამ მაინც ურტყამდნენ.

შეგახსენებთ, რომ საქართველოსა და რუმინეთის ნაკრებების განმეორებითი მატჩი 29 ოქტომბერს გაიმართება.

პ.ს. მატჩის წინ ტექნიკური გაუმართაობის გამო ვერ მოხერხდა საქართველოს ეროვნული ჰიმნის ჩართვა და მისი შესრულება მაყურებელს მოუხდა.

# ეროვნულ ჩემპიონატში 11 გუნდი ითამაშებს, დადიანის მემორიალზე — 7

საქართველოს 2011-12 წლების საკალათბურთო სეზონი სტარტს 15 ოქტომბერს აიღებს. საქართველოს კალათბურთის ფედერაციაში 21-ე ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილეობის მსურველთა განაცხადის შეტანის ვადა 30 სექტემბერს ამოიწურა და, როგორც გაირკვა, ახალ სეზონში სუპერლიგაში ამჟამადაც 11 გუნდი ითამაშებს. ესენი არიან: „არმია", თსუ, „ქუთაისი", „სოხუმი", შსს, თსსუ, სტუ, „რუსთავი", „ბათუმი", „დინამო" და ახალი კლუბი, რომლის სახელიც ჯერჯერობით უცნობია.

ჩემპიონატს გამოეთიშა სსაუ — საქართველოს სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტის გუნდი დაიშალა. ამ გუნდმა სამი წელი იარსება და ამ ხნის განმავლობაში ეროვნულ თასთან ერთად ვერცხლისა და ბრინჯაოს მოპოვება შეძლო.

21-ე ეროვნული ჩემპიონატი 15 ოქტომბერს დაიწყება, თუ რა სისტემით ჩატარდება ჩემპიონატი, ჯერჯერობით უცნობია.

საქართველოში საკალათბურთო სეზონი კი ტრადიციულად დუდუ დადიანის მემორიალით გაიხსნება. ცნობილი ქართველი კალათბურთელისა და ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტის ხსოვნის ტურნირი განახლებულ საკალათბურთო აკადემიის დარბაზში გაიმართება.

დუდუ დადიანის მემორიალი 6 ოქტომბერს დაიწყება, ხოლო 10 ოქტომბერს ფინალური შეხვედრა გაიმართება.

მემორიალში 7 გუნდი მიიღებს მონაწილეობას, რომლებიც ორ ჯგუფში იქნებიან განაწილებულნი. ტურნირში არ ითამაშებენ თავდაცვის სამინისტროს გუნდი „არმია" და „სოხუმი", რომლებიც ევროტურნირში მონაწილეობენ და ტურნირისთვის საგანგებოდ ემზადებიან — „არმია" სლოვენიაში იქნება შეკრებაზე, ხოლო „სოხუმს" 4 და 11 ოქტომბერს ბელარუსის „მინსკთან" ევროჩელენჯის საკვალიფიკაციო რაუნდის მატჩები ელის.

დადიანის ხსოვნის ტურნირზე ჯგუფებში გუნდები სუპერლიგის გასული სეზონის რეგულარული ჩემპიონატის შედეგების შესაბამისად განაწილდნენ და საბოლოოდ ასეთი სურათი მივიღეთ:

**ა ჯგუფი:** თსუ, შსს, სტუ, დინამო.

**ბ ჯგუფი:** ქუთაისი, თსსუ, რუსთავი.

6, 7 და 8 ოქტომბერს ჯგუფური ეტაპის მატჩები გაიმართება, 9-ში დასვენების დღეა, ხოლო 10 ოქტომბერს ჯგუფებში პირველ ადგილზე გასული გუნდები ფინალურ შეხვედრაში ერთმანეთს დუდუ დადიანის თასისთვის გაეჯიბრებიან.

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

# დავით გულუა: „არავის მივცემ იმის უფლებას, რომ სოხუმის დაცემა სამხედროებს დააბრალოს!"

დასაწყისი მე-7 გვერდზე

ჩაებარებინათ. მერე მზად ჰქონდათ პასუხები და უცებ იმ ხალხში იძებნებოდა დამნაშავე. მექანიზმი მუშაობდა, ვისთვის დაებრალებინათ დანაშაული.

— *ქართველებში?*

— რა თქმა უნდა. ხალხმა განიცადა უბედურება, დაარბიეს, შეატოვეს მტერს. თავს შიშველი ხელებით იცავდნენ, ყოველგვარი ორგანიზებისა და იარაღის გარეშე. მანამდე სოხუმში ჩვენს დაჯგუფებას გია ყარყარაშვილი ხელმძღვანელობდა. დაენიშნათ გაგრაში გია, რატომ არ დანიშნეს? ჯარი გია ყარყარაშვილისთვის ჩაებარებინათ. ყველა თავისთვის იყო. რომ ეტყოდი, წამოდი, რაღაც აქედან შემოტევა მზადდებაო, გიპასუხებდა: მე, ძმაო, სანამ ის კაცი არ მომცემს ბრძანებას, ვერ წამოვალ. მე ჩემი უფროსი მყავსო. ყველას თავისი უფროსი ჰყავდა. ყველა მაშინ იომებდა, როცა თვითონ მოუნდებოდა. ეს იყო საოცრება. ამიტომ მოვითხოვეთ სრულიად ახალგაზრდა კაცის, 27 წლის გია ყარყარაშვილის დანიშვნა. ის იყო ერთადერთი, ვისაც ჰყავდა ორგანიზებული დანაყოფები, შეეძლო მოეთხოვა და ებრძანებინა. ჩანდა, რომ ის იყო მეთაური. მოვითხოვეთ, ის დაენიშნათ, პასუხიმგებლობა ჰქონდა ახალგაზრდაა. კი დავლუპეთ, მაგრამ...

— ***მაშინ ამბობდნენ, თითქოს შევარდნაძეს ყარყარაშვილის დანიშვნა კიტოვანმა სთხოვა.***

— არა. ყარყარაშვიის დანიშვნას მე, გენო ადამია და კიდევ რამდენიმე პიროვნება კატეგორიულად მოვითხოვდით.

— ***ახლა ამბობენ, შევარდნაძემ 27 ივლისს ხელი იმიტომ მოაწერა ხელშეკრულებას, ქართულ ჯარს იარაღი აღარ ჰქონდა. შექმნილ სიტუაციაში საბოლოოდ 10 დღის შემდეგ, 2 თვის შემდეგ, თუ სამი თვის შემდეგ. მაინც მაინც დავმარცხდებოდით***

— მაშინ თვენახევრის განმავლობაში აფხაზეთიდან რა ტექნიკა და რა შეიარაღება გამოჰქონდათ თუ არაფერი ჰქონდათ? საქართველოში, თბილისში არ იყო ამიერკავკასიის სამხედრო ნაწილების საწყობები? მთელი აზერბაიჯანი და სომხეთი აქედან გაყიდული ტყვიაწამლით და იარაღით არ მარაგდებოდა? ფულით არ გვქონდათო, რომ ამბობენ, ნახეთ 1993 წელს რამდენი კრედიტია გაცემული პოლიტიკურ პარტიებსა და ვილაცებზე. გაჰქონდათ კრედიტი დოლარებში და უკან აბრუნებდნენ კუპონებში. დაახლოებით 600-700 მილიონი დოლარი სახელმწიფომ გაფანტა შევარდნაძის პოლიტიკური გაძლიერებისთვის. ჩვენ რა, 5 მილიონი არ გვქონდა ჯარისთვის? არავის უფლებას არ მივცემ, თავისი შეცდომები და ღალატი ჯარს დააბრალოს, რადგან ასე არ ყოფილა. 27 ივლისს, როცა ხელი მოეწერა ხელშეკრულებას, გამორიცხული იყო სოხუმის აღება იმიტომ, რომ ძალა, რომელსაც უნდა შემოეტია სოხუმისთვის არ არსებობდა. აფხაზებმა მოითხოვეს 30 ათასიანი სამხედრო ფომირება და რუსებისაგან მიიღეს სასტიკი უარი. იცოდნენ, რომ სოხუმს აღებას 20-25 ათასი სამხედრო უნდა შესწიროდა და არავინ იმ დროს ამაზე ვერ წავიდოდა. რაც შეეხება, მაგალითად, ჩემს მეგობარ თენგიზ პაჭკორიას, რომელმაც სოხუმის დღესთან დაკავშირებით გარკვეულ საკითხებზე ტელევიზიით ისაუბრა, ჩემი აზრით, ის არასწორ შეფასებებს აკეთებს.

# დედამიწის მოსახლეობის რიცხოვნობა 7 მილიარდამდე გაიზრდება



დედამიწის მოსახლეობის რიცხოვნობამ მიმდინარე წლის ოქტომბერში, შესაძლოა, 7 მილიარდს მიაღწიოს. ეს იმაზე ორჯერ მეტი იქნება, ვიდრე ბოლო 50 წლის განმავლობაში იყო. 2100 წლისათვის კი ამ მაჩვენებელმა, შესაძლოა, 10 მილიარდს გადააჭარბოს. ასეთი მონაცემები ეკონომიკურ და სოციალურ საკითხებში გაეროს მოსახლეობის დეპარტამენტმა გამოაქვეყნა.

ზუსტი თარიღი, თუ როდის მიაღწევს მოსახლეობის რაოდენობა სიმბოლურ ნიშნულს, უცნობია. გაეროს მოსახლეობის ფონდი ასეთ თარიღად 31 ოქტომბერს ასახელებს და ამ დღის აღსანიშნავად სათანადო ღონისძიებებიც დაგეგმა.

კაცობრიობის განვითარების ისტორიის მანძილზე მოსახლეობის ზრდის ტემპი საკმაოდ ნელი იყო. მოსახლეობის რიცხოვნობამ მილიარდიან ნიშნულს მხოლოდ 1804 წელს მიაღწია. თუმცა მისი გაორმაგებისათვის 125 წელი გახდა საჭირო. 1800-დან 2011 წლის ჩათვლით მოსახლეობის რიცხოვნობა შვიდჯერ გაიზარდა. 1960-იანი წლებიდან კი მოსახლეობის რიცხოვნობა გაორმაგდა.

2011 წელს დედამიწაზე დაახლოებით 135 მილიონი ადამიანი დაიბადება და 57 მილიონი დაიღუპება. საერთო ნამატი 78 მილიონი იქნება. მოსახლეობის რიცხოვნობის ზრდა განვითარებული ქვეყნების ხარჯზე ხდება. გაეროს მონაცემებით, ტოპათეულში 3 განვითარებული ქვეყანა შედის: აშშ, რუსეთი და იაპონია.

ყველაზე მეტი — 1,35 მილიარდი ადამიანი ჩინეთში ცხოვრობს, მეორე ადგილზეა ინდოეთი 1,24 მილიარდი ადამიანით.

გაეროს მონაცემებით, 2050 წლისათვის დედამიწის მოსახლეობის რაოდენობა 8,1-9,3 მილიარდამდე, 2100 წლისათვის კი 10,1-10,6 მილიარდამდე გაიზრდება. მომდევნო 40 წლის განმავლობაში დედამიწის მოსახლეობის გადანაწილება მოხდება. ჩინეთი და ინდოეთი კვლავინდებურად ლიდერებად დარჩებიან, თუმცა ადგილებს გაცვლიან. ყველაზე მჭიდროდ დასახლებულ ქვეყნად ინდოეთი მოგვევლინება, ჩინეთი კი მეორე ადგილზე გადაინაცვლებს. რუსეთი და იაპონია ათეულს დატოვებენ. გაეროს პროგნოზით, მოსახლეობის რიცხოვნობის ზრდა მომავალშიც განვითარებული ქვეყნების ხარჯზე გაგრძელდება.

**მედიანიუსი**

# გენადი ონიშჩენკო: ქართულ ღვინოს რუსულ ბაზარზე დაბრუნება წლის ბოლომდე შეუძლია



გენადი ონიშჩენკო

რუსეთის ფედერაციის მთავარი სანიტარის გენადი ონიშჩენკოს განცხადებით, ქართულ ღვინოს და მინერალურ წყალს რუსულ ბაზარზე დაბრუნება წლის ბოლომდე შეუძლია.

ამის შესახებ გენადი ონიშჩენკომ სააგენტო „ინტერფაქსთან" საუბრისას განაცხადა.

— ყველაფერი ქართველ მწარმოებელზეა დამოკიდებული, — აღნიშნა ონიშჩენკომ.

მისი თქმით, რუსულ ბაზარზე დასაბრუნებლად ქართველმა მწარმოებლებმა გარკვეული მოთხოვნები უნდა შეასრულონ.

ონიშჩენკოს განცხადებით, ცოტა ხნის წინ „როსპოტრებნადზორში" ქართული ღვინის მწარმოებლებთან შეხვედრა შედგა.

— შეხვედრა ქართული ბიზნესის ინიციატივით შედგა. დადგინდა ყველა აუცილებელი პარამეტრი, ქართული პროდუქციის რუსულ ბაზარზე ნორმალური დაბრუნებისათვის. ამისათვის ერთადერთი მთავარი პირობა- რუსული კანონმდებლობის უპირობო გათვალისწინებაა, რაც პროდუქციის ხარისხის უზრუნველყოფას ეხება, — აღნიშნა ონიშჩენკომ.

მისი თქმით, მიუხედავად საქართველოს ხელისუფლების ხმაურიანი და ისტერიული განცხადებებისა, რუსულ ბაზარზე, ქართული ღვინისა და „ბორჯომის" დაბრუნების პროცესი მიმდინარეობს.

— ეს პროცესი ქართული ბიზნესისი ძალისხმევით მიმდინარეობს. მათ ესმით, რომ რუსული ბაზრის გარეშე, ქართული ეკონომიკის ამ დარგების განვითარება შეუძლებელია, — განაცხადა ონიშჩენკომ.

რუსეთმა ქართული ღვინისა და მინერალური წყლის რუსულ ბაზარზე შეტანა 2006 წელს აკრძალა, რის ოფიციალურ მიზეზადაც პროდუქციის ხარისხთან არსებული პრეტენზიები დასახელდა.

**მედიანიუსი**

# TV პროგრამა

**ოიშაბათი 3 ოქტომბეიი**

**07.30** ჩვენი დილა **11.00** სამოთხის ვაშლები **12.00, 16.00, 20.00** მოამბე **12.30** ვ. სანაიას რეპორტაჟი **13.30** მხ. ფილმი **"ჩვეულებრივი სასწაულები" 15.00** სერ. **"არავითარი საიდუმლო ჩვენს შორის" 17.00** ან. ფილმი "შეუდარებელი ადამიანი ობობა" **17.30** სილამაზის ფორმულა **18.00** მედ-ინფო **19.05** დოკ. ფილმი "ბიტლზების ქალები" **19.40** პეპეს ზღაპრები **21.00** სერ. **"არავითარი საიდუმლო ჩვენს შორის" 22.00** აუდიტორია **23.00** საფეხბურთო მიმოხილვა **00.00** ღამის საუბრები **01.00** მხ. ფილმი **"დაუვიწყარი"** (18) (რ. ლიოტა) **03.10** მოამბე **03.30** ცხოვრება მშვენიერია **04.30** საფეხბურთო მიმოხილვა

**08.00** დოკ. ფილმი **09.00** საბ. ფილმი **"მოუსვენარი ბავშვები პარიზში" 10.30** ვ. სანაიას რეპორტაჟი **11.30** დოკ. ფილმი **12.30** ქართული დოკუმენტალისტიკა **13.30** ისტორია **14.30, 17.45, 23.30** ბრიფინგის დროით **16.00** დოკ. ფილმი **17.00** მეხსიერება **19.00, 01.00** სერ. **"ზიანი"** (12) **20.00** მხ. ფილმი **"დანაშაული და გადაცდომანი" 22.00** თავისუფალი ტრიბუნა **00.00** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **02.00** მხ. ფილმი **"შესასვლელი და გამოსასვლელი"**

**07.30** დილა მშვიდობისა **10.00** სერ. **"როსალინდა"** 1-ლი ს. **11.00** სერ. **"კლონი" 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 03.30** კურიერი **12.30** სხვა ამბები **13.00** ბიზნეს კურიერი **13.30** შუა დღე **15.40** იღბლიანი ბორბალი (გან.) **17.00** სერ. **"ავრორა" 18.45** სერ. **"ახალგაზრდა ქვრივი" 19.45** სერ. **"სახლი მეზობლად" 22.00** ჯეოსტარი **23.30** მხ. ფილმი **00.00** შუა დღე **01.00** პატრული **01.30** მხ. ფილმი (სუბტ.)

**07.30** იმედის დილა **10.00** სერ. **"მოპარული ბედნიერება" 11.00, 14.00, 17.00, 20.00, 03.00** ქრონიკა **11.40** სერ. **"სიყვარულის ზღვა" 12.30** დღის შოუ **14.30** ტვ-მარკეტი **14.40** სერ. **"ყავა და ლუდი"** მე-6ს. **16.00** სერ. **"მეტოქეები" 17.40** სერ. **"სიყვარულის ზღვა" 18.40** სერ. **"როცა სიყვარული მოდის" 21.00** სერ. **"დამალული სიმართლე" 22.00** სერ. **"შუა ქალაქში" 23.00** სერ. **"გოგონა გარეუბნიდან" 23.50** მხიარულთა და საზრიანთა გუნდების ჩემპიონატი **01.15** მხ. ფილმი **"წინასწარმეტყველი"** (12) (ნ. კეიჯი) (სუბტ.) **03.10** მხ. ფილმი **"იტალიური ისტორია"** (15) (მ. ბელუჩი) (სუბტ.) **06.30** სერ. **"მარინა"** მე-8ს.

**08.00** მხ. ფილმი **10.00** სერ. **"ჩემი შეყვარებული" 11.00** ანიმაცია "ყველაზე პატარა ზოომაღაზია" **12.00, 15.15, 17.00** ტვ-მარკეტი **12.15** სერ. **"დაკარგული ქვეყანა 2" 13.00** მხ. ფილმი **15.30** პულსი **17.10** სერ. **"ტყუპები" 18.00** მხ. ფილმი **20.00** სერ. **"ელიზა 2" 21.00** სერ. **"გაუხსნელი საქმე" 22.00** მხ. ფილმი **00.00** მხ. ფილმი

**08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30** "დრო" **09.00** მუსიკა **09.30, 23.40** სერ. **"სოფია, ცოტა მადროვე" 10.30** დოკ. ფილმი **11.10, 14.10, 17.10** ინგლისურის გაკვეთილი **11.40, 15.00, 18.00** თურქულის გაკვეთილი **11.50, 21.00** სერ. **"მონტალბანო" 12.50, 19.35** სერ. **"დაშნების დედოფალი" 15.15** სერ. **"განებივრებული ლამაზმანი" 16.30** დროის ვექტორი **18.15** დოკ. ფილმი **23.00** სახლი ბათუმში **00.30** მხ. ფილმი

ერთსულოვნება **08.30** განთიადი **10.05** პატრიარქის ქადაგება **10.35** კვირიაკე **11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **12.10** მხ. ფილმი **"ცხელი ზაფხულის სამი დღე" 12.30** კონცერტი – ლ. ნემსაძე **1**-ლი ნ. **15.25** სპექტაკლი **"პეპო" 16.55** დოკ. ფილმი "ველური ბუნება" **17.25** საუბრები შ. ნადირაშვილთან **18.05** ჩვენ ვუკრავთ კლასიკას **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.00, 22.00, 00.05** სიახლენი **19.15** მხ. ფილმი **"გაზაფხული გადის" 21.05** პატრიარქის ქადაგება **21.15** სალვთისმეტყველო საუბრები **22.20** დოკ. ფილმი "ქართული ჰანგის კვალდაკვალ" **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** ერთსულოვანი ოჯახი **00.30** განთიადის სტუმარი **00.55** პერსპექტივა

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის" ნებართვით**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

**3 ოქტომბერი**

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი


აშშ დოლარი — 1,6613


ევრო —2,2702


ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,7208


რუსული რუბლი — 0,057

**აღმოსავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — 18-23, ღამით — 8-12

**დასავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 29-22, ღამით — 11-13

**სამხრეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 1§-18, ღამით — 2-19




## ამინდის პროგნოზი 3 ოქტომბრისთვის



## გაზეთ „ახალი თაობის“

## 3 ოქტომბრის ნომერთან ერთად იყიდება

# „ქართული მწერლობის საუნჯის“

## მეორე ტომი



მასში თავმოყრილია შემდეგი ნაწარმოებები:

1. **გიორგი მერჩულე** — გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება
2. **გიორგი მთაწმიდელი** — იოანეს და ექვთიმეს ცხოვრება
3. **ბორენა დედოფალი**
4. **დავით აღმაშენებელი** — გალობანი სინანულისანი
5. **არსენ იყალთოელი** — დავით აღმაშენებლის ეპიტაფია
6. **არსენ იყალთოელი** — ძეგლისწერა
7. **უცნობი ავტორი** — ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი
8. **დიმიტრი მეფე** — ღმრთისმშობლისა
9. **დიმიტრი მეფე** — შიო მღვიმელისა

## ეს წიგნი ყველა ოჯახში უნდა იყოს!

# ევროტურნირს სოხუმი უვარჯიშებელი ხვდება

**4 ოქტომბერს, 19:00 საათზე, თბილისის სპორტის სასახლეში ევროჩელენჯის საკვალიფიკაციო რაუნდის პირველი შეხვედრა გაიმართება — „სოხუმი" ბელარუსულ „მინსკი-2006"-ს უმასპინძლებს.**



„მინსკი-2006“ თბილისში დღეს დილით ჩამოვიდა და საღამოსვე სპორტის სასახლეში ვარჯიშს ჩაატარებს. რაც შეეხება ქართულ კლუბს, აქ ცოტა არეული სიტუაციაა. გავრცელებული ხმებით, ლატვიური შეკრებიდან ჩამოსულ სოხუმელებს ვარჯიშები თითქმის არ ჩაუტარებიათ. კონტრეტული მიზეზები არ სახელდება.

არადა, გუნდი ამ ტურნირისთვის საგანგებოდ ემზადებოდა, რამდენიმე უცხოელი ლეგიონერითაც გაძლიერდა და ჯგუფურ ეტაპზე მოხვედრას გეგმავდა. ძნელი სათქმელია, რა შეიცვალა უკანასკნელი დღეების მანძილზე, მაგრამ, თუ კულუარულ ხმებს დავეყრდნობით, შექმნილი პრობლემებიდან გამომდინარე, ჯგუფურ ეტაპზე მოხვედრის შანსები თანდათან მცირდება.

**მ. ჟ.**

# ასტროპროგნოზი

## 3 ოქტომბრისთვის

**ყველამ გაითვალისწინეთ!**

**წარმატებული დღეა**

**ვერძი** — ის საქმე აკეთეთ, რაც მოგწონთ. **კურო** — სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **ტყუპები** — არ დაიგვიანოთ, გაკონტროლებენ. **კირჩხიბი** — დაისვენეთ მყუდრო გარემოში, არ გადაიღალოთ. **ლომი** — ახალი საქმე გაამართლებს, იაქტიურეთ. **ქალწული** — ფულს შოულობთ, ნავაჭრით კმაყოფილი ხართ. **სასწორი** — ის საქმე აკეთეთ, რაც მოგწონთ. **ღრიანკალი** — ისე მოიქეცით, როგორც გსურთ. **მშვილდოსანი** — ფულის პრობლემა არ გაქვთ, ყველაფერი კარგად არის. **თხის რქა** — არ აჩქარდეთ, მშვიდად იმოქმედეთ. **მერწყული** — იაქტიურეთ, ყურადღების ცენტრში ყოფნა კარგია. **თევზები** — მოაწყვეთ განტვირთვის დღე, მიიღეთ ხილი და ბოსტნეული.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

# „მის საქართველო 2011“ ჟანეტა ქერდიყოშვილი გახდა



**ეკა ირემაშვილი**

სამოდელო სააგენტო „იმიჯ ცენტრმა“ ბათუმში მორიგი სილამაზის კონკურსი „მის საქართველო 2011“ ჩაატარა და ფინალისთვის შერჩეული 20 გოგონადან ტოპ ხუთეული დაასახელა.

საქართველო მის მსოფლიოს კონკურსში 2003 წლიდან ჩაერთო. ჩვენი ქვეყნის პირველი წარმომადგენელი „მის მსოფლიოზე“ ირინა ონაშვილი გახდა, რომელიც მის ტალანტად აღიარეს და ტოპ ოცეულშიც მოხვდა. „იმიჯ ცენტრი“ ოფიციალური და ექსკლუზიური მფლობელია ლიცენზიისა, რომელიც მას უფლებას აძლევს, საქართველოში მის საქართველოს სილამაზის კონკურსი ჩაატაროს. ის არის მსოფლიოში

**გაგრძელება მე-11 გვერდზე**

# კროსვორდი ა

**თარაზულად:** 1. გაუშლელი ყლორტი; 4. აშშ ანუ ...; 7. მკვახე ყურძენი; 9. ყურძნის წვენში შეზელილი ფქვილი; 11. ვერცხლის წყალი; 12. ფართოფარფლებიანი ქუდი; 13. ურანის თანამგზავრი; 17. რიაზანოვის ფილმი; 18. ზოდიაქოს ნიშანი; 19. მანძილი ორ რამეს შორის; 20. ცხოველის საკვები მრავალწლოვანი მცენარე.

**შვეულად:** 1. ბერძნული ანბანის ასო; 2. სადღესასწაულო ნამცხვარი; 3. ბარგი ანუ ...; 5. დაცლილი ვაზნა; 6. საჭმლის დამზადების ოსტატი; 8. თავისებურად მიმოქცეული მაღალი სასიმღერო ხმა; 10. უღელტეხილი ახმეტის რაიონში; 12. მალამო; 14. ერთი ეკლესიის მორწმუნე მოსახლეობა; 15. გ.დანელიას ფილმი; 16. ფეხსახსრიანი შხამიანი ცხოველი.

**შეადგინა ოლივერ კოხიამ**



# იუმორი



— თუ გინდა, რომ სიტყვა და საქმე ერთი იყოს, ხმა არ უნდა ამოიღო და არაფერი აკეთო...

***

ექიმი პაციენტს:

— თქვენი კარგი ნაცნობებიდან ვინმე ხომ არ გარდაცვლილა?

— დიახ.

— მაშინ, შემიძლია გახაროთ, რომ მალე სასიამოვნო შეხვედრა გელით.

***

— წერილი, რომელშიც მთხოვდი, ფული მასესხეო, არ მიმიღია...

***

— აი, შენი ქმარი შორეული ნაოსნობის მეზღვაურია, წლის განმავლობაში მხოლოდ ერთი კვირას ხედავ სახლში? როგორ იტან?

— ერთ კვირას როგორმე ავიტან...

***

— დიახ, დედა, თვეში 15 ათას შოულობს, მაგრამ დაბალი, სქელი და მელოტია.

— არასწორად ამბობ, შვილო, ასე უნდა თქვა, დიახ, დაბალი, სქელი და მელოტია, მაგრამ თვეში 15 ათასს შოულობს?

**გ. თ.**

# თქვენი სტიქია

**ტესტი**



***1. შაბათს საღამოს თქვენს ფანჯარაზე ჩიტი შემოჯდა, როგორ მოიქცევით?***

ა. მისი ცქერით დატკბებით. ბ. შეეცდებით დაიჭიროთ. გ. ჩიტად ქცევას მოინდომებთ. დ. პურის ნამცეცებს დაუყრით.

***2. ღამით გესიზმრათ, რომ მკვლელობის მოწმე ხართ. სად?***

ა. ამაზონის ჯუნგლებში. ბ. მთის მწვერვალზე. გ. „აღმოსავლეთის ექსპრესში“. დ. ვენეციაში.

***3. დილით კარზე ზარმა გაგაღვიძათ. ვინ შეიძლება იყოს?***

ა. უცნობი. ბ. მეგობარი. გ. ფოსტალიონი. დ. მეზობელი.

***4. სტუმრის გასტუმრების შემდეგ კიბის ბაქანზე მოულოდნელად აღმოაჩინეთ:***

ა. დანა, ბ. 10 ლარი. გ. ფლეიერი. დ. კნუტი.

***5. რას ელოდებით ამ ნაპოვნისგან.***

ა. ბედნიერებას. ბ. უბრალო შემთხვევითობაა. გ. არაამქვეყნიური ძალების ნობათია. დ. უბედურებას.

***6. საბნის ქვეშ ჩაყვინთეთ, ფერია გამოგეცხადათ და გადაგაქციათ:***

ა. ცხენად. ბ. ჭიანჭველად. გ. მერცხლად, დ. კიბორჩხალად.

***7. ფერიას გარეგნობა აღარ გახსოვთ, დაგამახსოვრდათ მხოლოდ მისი***

ა. ქერა თმა. ბ. ჩამოსხმული ხელები. გ. სავსე ტუჩები. დ. ცისფერი თვალები.

***8. ტელეფონის ზარი გაღვიძებთ. გირეკავთ:***

ა. უცნობი, რომელმაც შეცდომით აკრიფა ნომერი. ბ. შეფი. გ. ტელეფონი გაითიშა. დ. ნათესავი.

***9. შინ ბრუნდებით. სახლის ეზოში ხედავთ.***

ა. ცნობილ მსახიობს. ბ. მეზობელს. გ. ადამიანს, რომელიც ტყუპისცალივით გგავთ. დ. მოთამაშე ბავშვებს.

**პასუხებში თითოეული ვარიანტის რაოდენობის მიხედვით**

## პასუხები

**ა.** თქვენი სტიქიაა ცეცხლი. თქვენ დაუფიქრებლად ეშვებით თავგადასავლების მორევში, არ ფიქრობთ შედეგებზე, ხართ მგრძნობიარე, ფეთქებადი, საყვარელ ადამიანს ათასებიდან გამოარჩევდით.

**ბ.** თქვენი სტიქიაა მიწა. ძალიან აფასებთ გრძნობად სიამოვნებას, იცით როგორ მიიღოთ იგი, მაგრამ თავს არ კარგავთ, ამ დროს ფრთხილად მოქმედებთ.

**გ.** თქვენი სტიქიაა ჰაერი. თქვენ თავგადასავლების წინააღმდეგი არ ხართ, მაგრამ თავად არ ეძებთ მათ. სიყვარულს არ ეხუმრებით, ცდილობთ მიაღწიოთ ბალანსს მოვალეობასა და თავისუფლებას შორის.

**დ.** თქვენი სტიქიაა წყალი. ოცნებობთ იდეალურ, ნაზ სიყვარულზე, ხართ რომანტიკული, ყველას ხიბლავთ ანგელოზური გარეგნობით, რეალობა კი გულს გწყვეტთ. ოცნებები თქვენი თავშესაფარია.

**გ. თ.**